# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 18 აპრილი, 2007 წელი.

№ 68 (5669)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


# დიდი სახალხო მოძრაობის დასაწყისი

2



ლეიბორისტული პარტიის ინფორმაციით, მათ მიერ გამოცხადებულ საყოველთაო ეროვნულ გაფიცვას თბილისში კერძო და სახელმწიფო სამსახურების თანამშრომლები გამოეხმაურნენ.

როგორც პარტიის პრესსამსახურის უფროსმა ქეთევან დოლიძემ განაცხადა, დილიდან დაიკეტა ისნის რაიონში მდებარე „ნავთლუღის“ დიდი ბაზრობა. ასევე არ მუშაობდა თავისუფლების მოედნის მიწისქვეშა სავაჭრო კომპლექსის 45 მაღაზიიდან 43 მაღაზია.

ლეიბორისტული პარტიის ინფორმაციით, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 217 თანამშრომლიდან სამსახურში 107 გამოცხადდა, ხოლო ფინანსთა სამინისტროს 177 თანამშრომლიდან სამსახურში 77 მივიდა.

ქეთევან დოლიძის მტკიცებით, აღნიშნული მონაცემები „ლეიბორისტებს“ სანდო პირებმა მიაწოდეს.

ინტერპრესნიუსი

## ღვთისა და ერის კაცი



6

## რამ ააკაკანა მავანი დეპუტატი?

3

## მთავრობა თავს იკლავს?

8

## ჟურნალისტებმა უარი თქვეს ძველებურად დაქსაქსულ ცხოვრებაზე და გაერთიანება გადაწყვიტეს...

4



## „ჯადოსნური ხმები“ კეთილი საქმის სამსახურში

10



● პარტიები აქციის განახლებას აპირებენ. ოღონდ, ეს ცალკეული პარტიის მიტინგი კი არ იქნება, არამედ გაერთიანებული ხალხის აქცია



№ 68. ოთხშაბათი, 18 აპრილი, 2007 წელი.

⊙ აქცია

# რა ძალა აქვს ერთობას...

**პოლიტიკურმა მოძრაობა „ქართულმა დასმა“, „პენსიონერთა პარტიამ“ და მოძრაობა „თავისუფლების“ წევრებმა, ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის გამო, თბილისის მერიასთან ერთობლივი საპროტესტო აქცია გამართეს.**



მათი ძირითადი მოთხოვნა იყო: ხელისუფლებამ შეწყვიტოს ხალხზე ზეწოლა და ისედაც მაღალი საგადასახადო ტარიფები აღარ გაზარდოს. აქციაზე მყოფი პენსიონერები ამბობდნენ, რომ ისინი ვერ შეძლებენ დადგენილი ტარიფის გადახდას, რადგან ის მინიმალური პენსია, რასაც იღებენ, საარსებოდაც არ ყოფნით. ისინი ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას მოითხოვენ.

პენსიონერთა პარტიის თავმჯდომარის ირაკლი ნაცვლიშვილის განცხადებით, ხალხი ქუჩაში სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად გამოვიდა. მათთვის უკვე გაუსაძლისი გახდა ყოველთვიურად გაზრდილი ტარიფები. სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანებისთვის გაცემული საბუთი ფარატინა ფურცლად დარჩა.

საპროტესტო აქციაზე შეძახილები ისმოდა მთავრობის გადაყენების შესახებ. განსაკუთრებით აქტიურობდნენ პარტია „თავისუფლების“ წევრები, რომლებიც ამბობდნენ, რომ სააკაშვილმა ქართველი ხალხი მონებად აქცია და მოსაკრებელი მხოლოდ ისტორიული უბნებიდან ხალხის გასაყრელად დააწესა. მას სურს, რომ ხალხის ხარჯზე „თეთრი სახლი“ აიშენოსო.

„ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ, რომელიც აქციას დაგვიანებით შეუერთდა, განაცხადა, რომ ხალხი ერთად უნდა დადგეს თავისი უფლებების დასაცავად. მან ყველა ოპოზიციურ პარტიას თანადგომისკენ მოუწოდა. საპროტესტო აქციის დასრულების შემდეგ გაიმართა პრესკონფერენცია. პოლიტიკური პარტიის ლიდერებმა ხალხს რეგიონებიდანაც მოუწოდეს. მათი თქმით, თუ თითოეული ოჯახიდან რამდენიმე წევრი მოვა, აქცია ბევრად მასშტაბური გახდება და საერთო მიზნის მისაღწევად ბრძოლა გაცილებით ადვილი იქნება.

პარტიები აქციის განახლებას აპირებენ. ოღონდ, ეს ცალკეული პარტიის მიტინგი კი არ იქნება, არამედ გაერთიანებული ხალხის აქცია. ამით ხელისუფლებას უნდა დაანახონ, თუ რამხელა ძალა აქვს ერთობას.

**მაია კილასონია, მირანდა ფორჩხიძე**

# დიდი სახალხო მოძრაობის დასაწყისი

**ლეიბორისტულმა პარტიამ გამოცხადებული საყოველთაო ეროვნული გაფიცვის შედეგები სპეციალურ პრესკონფერენციაზე შეაჯამა.**

როგორც პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, აქციამ, რომელშიც მონაწილეობა ათეულ ათასობით ადამიანმა მიიღო, წარმატებით ჩაიარა.

მისი ინფორმაციით, აქციას მოსწავლეების, მათი მშობლების, კერძო პირებისა და ინტელიგენციის გარდა, სახელმწიფო დაწესებულებების თანამშრომლებიც შეუერთდნენ, რომელთა ნაწილიც სამსახურებში არ გამოცხადდა.

– ეს მოხდა იმ ტერორის გათვალისწინებით, რასაც ხელისუფლება ახორციელებს. მათ გაბედეს და ჩვენს აქციას სახელმწიფოს გადასარჩენად შეუერთდნენ. ეს არის დიდი სახალხო მოძრაობის დასაწყისი,– განაცხადა ნათელაშვილმა, რომელიც მიიჩნევს, რომ კარგი გაზაფხული დაუდგა და აქციებს მომავალში უფრო აქტიურად დაგეგმავს.

– ხალხი ეთანხმება გადაწყვეტილებას, რომ პრეზიდენტი უნდა გადადგეს და პარლამენტი უნდა დაიშალოს, – აღნიშნა ნათელაშვილმა, რომლის ინფორმაციით, დილით პიკის საათებში თბილისის ქუჩებში სატრანსპორტო საშუალებები ან ცარიელები ან ნახევრად ცარიელი მოძრაობდნენ.

ნათელაშვილმა მადლობა გადაუხადა იმ ადამიანებს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ლეიბორისტებს და გაფიცვაში მიიღეს მონაწილეობა, ასევე იმათ, ვისაც მონაწილეობის მიღება უნდოდა და ობიექტური მიზეზის გამო ეს ვერ მოახერხა.

ნათელაშვილი მადლობას პოლიტიკურ მხარდამჭერებსაც უხდის.

**ინტერპრესნიუსი**

## ხოფის ბაზრობის მოვაჭრეთა აქცია

ბათუმის სახელმწიფო თეატრის წინ ხოფის ბაზრობის მოვაჭრეთა საპროტესტო აქცია გაიმართა. ისინი ლეიბორისტების მიერ გამოცხადებულ გაფიცვას შეუერთდნენ.

აქცია დილით ხოფის ბაზრობაზე დაიწყო, სადაც ლეიბორისტთა წარმომადგენლებიც მივიდნენ.

აქ შეკრებილი მოვაჭრეები აცხადებდნენ, რომ ისინი, სხვა მოთხოვნებთან ერთად, ბაზრობაზე სალარო-აპარატების დაკანონებასაც აპროტესტებენ. მათ მოთხოვნებს ლეიბორისტებიც მხარს უჭერენ.

**ინტერპრესნიუსი**

⊙ ენერგოპროტესტი

# თუ გაზი გინდათ, კოკოითს ელაპარაკეთო

## ევროპასაც ყელში ამოუვიდა

**აღმოსავლეთ ევროპას, სახელდობრ, ყოფილ სოციალისტური ბანაკის წევრებს უშუალოდ აქვთ ნაწვნევი რუსის ჩექმის სიხისტე და სიმძიმე. ამიტომ კარგად უწყიან, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნები სულ ფუჭად უქონავენ თავს რუსეთს.**

მოსკოვმა გაიწია და მისი მადის დაოკება მხოლოდ შესატყვისი ძმედებებით არის შესაძლებელი. ამიტომ აღმოსავლეთელები სამიტის გამართვას აპირებენ. მასზე ენერგოშემცველებზე რუსეთის მონოპოლიას გააპროტესტებენ და „ძველ“ ევროპასაც შეუძახებენ, რუსეთთან რევერანსები არა ჭრის, პირიქით, ეს მადას უფრო უდიდებს, შევერთდეთ და ერთად შევუტიოთ ენერგოაგრესორსო.



სამიტზე ჩვენი და აზერბაიჯანის პრეზიდენტებიც არიან წვეულნი. პოლონეთის პრეზიდენტი (სწორედ ეს ქვეყანაა ზემოთქმულის მოთავე) საქართველოში სტუმრობისას ამაზეც ესაუბრა სააკაშვილს.

ეს წამოწყება რა შედეგს გამოიღებს, საკითხავია. მოსკოვს არც ცრემლებისა სჯერა და არც მუშტი აშინებს, მაგრამ, ეტყობა, ევროპასაც ყელში ამოუვიდა რუსეთის ზღვარგადასული თავხედობა და მის ასალაგმავად რაღაც საშუალებებს ეძებს.

რუსეთმა კი ამჯერად დელიკატურად გაგვაფრთხილა, გაზის მიწოდება, სარემონტო სამუშაოების გამო, შესაძლოა, ორ-სამი დღით შევწყვიტოთო. ეს პირველია, ჩრდილო მეზობელი ასეთ პატივს რომ გვდებს. მანამდე გაზსადენზე სულ დივერსიები ხდებოდა.

იმასაც ამბობენ, რუსეთმა ულტიმატუმი წაუყენა საქართველოს – ან კოკოითთან მოლაპარაკებებს განაგრძობთ, ან ვერც გაძვირებულ გაზს ეღირსებითო. აზერბაიჯანის ამარა კი ვერ დავრჩებით. მით უფრო, რომ ეს ქვეყანაც, ჯერ თავო და თავოო, ანგარიშს უწევს რუსეთს. ისიც ითქვა, თითქოს ამჯერად კოკოითელები, კონფლიქტის მთელი ხნის მანძილზე, მოსალაპარაკებლად თბილისქალაქს პირველად დააფასებენო. სავარაუდოდ, სანაკოევის ფაქტორმა გაჭრა. სეპარატისტებიცა და რუსეთიც მართლა შეუშფოთებია ე. წ. ალტერნატიული პრეზიდენტის მზარდ პოპულარობას მოსახლეობაში. თუ ასე გაგრძელდა, კოკოითს უჯარო გენერლობა უწერიაო და, ასეთი პირობა წაუყენეს საქართველოს – იქნება მოლაპარაკებები მხოლოდ კოკოითთან, იქნება გაზიც. არ იქნება და გაზსაც დაემშვიდობეთო. მოარული ხმებით, ასეა. გამართლდება თუ არა ზემოთქმული, ამას ძალზე მალე შევიტყობთ.

**კოტე სალარიძე**

⊙ აქტუალური თემა

# კოვზანაძე თუ პატარაია?

## ოპოზიციას კი კონტროლის პალატის თავმჯდომარედ თავისი კაცი უნდა

**კონსერვატიული პარტია მიიჩნევს, რომ კონტროლის პალატის თავმჯდომარის კანდიდატურა, უმჯობესია, ოპოზიციამ წამოაყენოს. ამ იდეას მემარჯვენეები და მრეწველებიც იზიარებენ. მათი აზრით, უფრო ლოგიკური იქნება, თუ სახელმწიფო დაწესებულებების მიერ გახარჯულ თანხას ოპოზიციის წარმომადგენელი გააკონტროლებს. „ვფიქრობ, აშკარაა, რომ ოპოზიციის წარდგინებით დანიშნულ კანდიდატს მთავრობის ხარჯების შემოწმების დროს დარღვევების პოვნის გაცილებით მეტი მოტივაცია ექნება, ვიდრე მმართველი პარტიისას“, აცხადებს კონსერვატორების ლიდერი კახა კუკავა.**

ოპოზიცია დარწმუნებულია, რომ თუ კონტროლის პალატის თავმჯდომარეს ხელისუფლება დანიშნავს, ამ უწყებისგან ობიექტურობას არ უნდა ველოდოთ. **„უყაირათოდ იხარჯება ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტი. ერთადერთი ორგანო, რომელსაც ამის კონტროლის საშუალება აქვს, კონტროლის პალატაა, მაგრამ, სანამ კონტროლის პალატის თავმჯდომარეს ხელისუფლება დანიშნავს, ის მისი მორჩილი იქნება“**, – აღნიშნავს მემარჯვენეების ერთ-ერთი ლიდერი მანანა ნაჭყებია.

კანდიდატურა ოპოზიციას ჯერ არ დაუსახელებია. მისი აზრით, ასეთ საპასუხისმგებლო პოსტზე ისეთი ადამიანი უნდა დაინიშნოს, ვისაც პოლიტიკასთან კავშირი არა აქვს. მმართველ პარტიაში აცხადებენ, რომ ამ საკითხზე ოპოზიციასთან მოლაპარაკებებს არ გამორიცხავენ. თუმცა, მათთვის მისაღებია არსებული მოდელი, რომლის თანახმადაც, კონტროლის პალატის თავმჯდომარის დანიშვნის უფლება პარლამენტის თავმჯდომარეს აქვს.

**„ბუნებრივია, კანდიდატურის დასახელების უფლება პარლამენტის თავმჯდომარეს აქვს. არ ვიცი, რას გვთავაზობს ოპოზიცია. დაველოდოთ. როცა კონკრეტული წინადადება იქნება, კონკრეტულ გადაწყვეტილებასაც მაშინ მივიღებთ“**, – განმარტავს ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი.

საერთო კანდიდატურის შერჩევამდე ოპოზიცია კონტროლის პალატას სასამართლოში უჩივის. ამ უწყების წინააღმდეგ კონსერვატორებმა ადმინისტრაციული სარჩელი შეიტანეს. საქმე ის გახლავთ, რომ კონსერვატიულმა პარტიამ ერთი თვის წინათ კონტროლის პალატის მიერ 2005 წელს ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურში ჩატარებული რევიზიის შედეგები გამოითხოვა. კონტროლის პალატამ უპასუხა, მასალებს გრიფი „საიდუმლო“ ადევსო. კონსერვატორები აცხადებენ, რომ საქართველოში მოქმედი არც ერთი კანონი არ იძლევა ასეთი ინფორმაციის გასაიდუმლოების უფლებას. უფრო მეტიც, – მათი თქმით, ასეთ შემთხვევაში გასაიდუმლოება კანონით იკრძალება. კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის იაკობ მესხიას განმარტებით, **„ეს ინფორმაცია საქართველოს კონტროლის პალატამ არ გაამჟღავნა და სრულიად სამართლიანად დაადო გრიფი „საიდუმლო“.**

მტყუან-მართალს სასამართლო გაარკვევს. მიიღებს თუ არა მმართველი პარტია ამ უწყების თავმჯდომარის პოსტზე ოპოზიციის წარდგენილ კანდიდატურას, ესეც ახლო ხანებში გაირკვევა. მანამდე კი თუ კულუარულ ხმებს დავუჯერებთ, კონტროლის პალატის თავმჯდომარის ყველაზე რეალური კანდიდატურა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძეა. იგი კონტროლის პალატაში მის შესაძლო გადაყვანას ოფიციალურად არ ადასტურებს, თუმცა დეტალურად ლაპარაკობს ამ მაკონტროლებელი სტრუქტურის გეგმებზე. მისი თქმით, რამდენიმე ხანში კონტროლის პალატა ელექტრონულ შეფასებაზე უნდა გადავიდეს, რისთვისაც კადრების გადამზადება არის აუცილებელი.

კოვზანაძე ერთადერთი კანდიდატურა არ არის. ლაპარაკია მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე დავით პატარაიაზეც. ის ნინო ბურჯანაძის ყოფილი სტუდენტია და, როგორც ამბობენ, პარლამენტის თავმჯდომარესთან ახლო ურთიერთობა აქვს. არჩევანი საბოლოოდ კოვზანაძესა და პატარაიას შორის უნდა გაკეთდეს. შეთანხმებულ კანდიდატურას პარლამენტის თავმჯდომარე უახლოეს ხანებში წარადგენს.

**მზია გელენავა**

● რა დიდი კვლევა-ძიება უნდა იმას, რაც ისედაც ზედაპირზე ძევს? ამა თუ იმ თანამდებობის პირის ძმასა თუ ბიძაშვილს, მის გათანამდებობისპირებამდე „ტილი რომ ჭამდა“ და გათანამდებობისპირებიდან ცოტა ხანში სასახლეც რომ წამოჭიმა და ძვირფასი „ინომარკით“ დაგრიალებს, ვითომ, საიდანაო?!

მაშ, რა შეგვრჩა ხელთ? ხელისუფლების მომდევნო ფარსი.



◎ „რიტორიკული“ კითხვები

# 7. „უაზრო ხმაური არ მსურს, უაზრო დუმილი მიჭირს“...

## მოლაყბე თუმც ყრუმ დაღალა, იქნებ ვეღირსოთ პასუხს?

*იცინის, იცინის, კვდება სიცილით...*

*ვინ?*

*ვინ და, სახელისუფლებო და საპარლამენტო უმრავლესობა!*

*რაზე იცინის?*

*რაზე და, საპარლამენტო თუ პარლამენტს გარეთ დარჩენილი ოპოზიციის „ყიყინზე“, „გაჩმახებაზე“ და კიდევ ათას რამეზე.*

*კიდევ ვის დასცინის?*

*ვის და, თუნდაც თქვენს მონა-მორჩილს და, საერთოდ, მასმედიას — წერეთ და ილაქლაქეთ რამდენიც გინდათ, მერე კი თავად იკითხეთ და მოისმინეთ თქვენივე ნაცოდვილარი, ჩვენ კი კვლავაც ურყევად გავატარებთ ჩვენს უსწორეს პოლიტიკასო.*

*ასეა, მააშ!!!*

*ახლა რომელი კასიუს კლეი მე ვარ, სრულიად უმრავლესობას ვერკინო და დავანოკაუტებინო თავი.*

*ამიტომ ამჯერად საპარლამენტო თუ პარლამენტს გარეთ მყოფი უმრავლესობის კონკრეტულ წარმომადგენლებს შევეხმიანები რიგრიგობით.*

*იქნებ მათ მაინც მიპასუხონ.*

*თუ არა და, მაშინ, მართლაც, „ჩააწყვეთ რიგში ცამეტი ტყვია, ცამეტჯერ უნდა“...*

*გეგონათ, პოეტივით დავაბოლოებდი — მოვიკლა თავიო?*

*ნურას უკაცრავად, ბატონებო, საკუთარი თავი, ჯერჯერობით მაინც, მჭირდება.*

*ამიტომაც პირდაპირ შეკითხვის ადრესატზე გადავიდეთ.*

*პირველი ადრესატია საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი ბესო ჯუღელი, რომელსაც, სხვათა შორის, ურყევად სწამს, რომ დღეს ჩვენში ეკონომიკის ნახტომისებრი წინსვლა და შესატყვისი კეთილდღეობა აქსიომაა!*

### „ცოტაცა, შვილო, ცოტაცა და“...

**პირდაპირ გული დამეწვა, როდესაც გუშინწინდელი „ასავალ-დასავალი“ წავიკითხე. უფრო სწორად, როდესაც მისი პირველი გვერდი გადავათვალიერე, რომელზეც გაზეთის ამ ნომერში გამოქვეყნებული უმნიშვნელოვანესი მასალების სათაურებია გამოტანილი.**

**იმდენი ფული არა მაქვს, რომ შვილი საზღვარგარეთ გავაგზავნო სასწავლებლადო, ამბობს თურმე ბატონი ბესო.**

თურმე-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ პირველ გვერდზე გამოტანილი ამ სათაურის ხილვის შემდეგ, მისი საცოდაობით გულდამწვარმა (არადა, მართლაც ქვის გული უნდა გედოს მკერდში, რომ საკუთარი უსასოობით შეძრული მშობლის მიერ წამოძვითინებული ამ სიტყვების მხილველი თვითონაც მშობელი არ შეწუხდე!ძ მასალა მთლიანობაში უკვე ვერ წავიკითხე.

რას იზამ, ადამიანები ვართ: მარტო ვასო გოძიაშვილის კინოგმირ უსტაბაშს კი არა ჰქონია „სლაბი გული“.

განსაკუთრებით რატომ შემეცოდა, იცით, ბატონი ბესო?

რატომ და...

ცუდი და მძიმე ასატანი ის კი არ არის, რომ არ იცი, რა არის კარგი, არამედ ის, რომ კარგად იცი, რა არის კარგი, მაგრამ მისი გაკეთების საშუალება არ გაქვსო, — ნათქვამია.

**ბატონმა ბესომ კი, ამ ჭეშმარიტმა დენდმა, კარგად იცის, რა არის კარგი, კარგად იცის, კერძოდ ის, რომ ყველაზე კარგი და მომგებიანი კაპიტალდაბანდება სწორედ შვილის განათლებაში ჩადებული სახსრებია!**

თორემ სხვები, დანარჩენი ქართველობა, მათ შორის, თქვენი მონა-მორჩილიც, დღენიადაგ მხოლოდ მიწიერზე, უზოდიშოდ ვიტყვი, მარტო მუცლის ამოყორვაზე რომ ვფიქრობთ, მაღალ მატერიებზე, სწავლა-განათლებაზე კი არც რა გვსმენია ოდესმე და არც ახლა ვიცით რამე, რა შესაცოდებელი ვართ?

**„ჩვენ ვართ ლორები და სალაფავის თქვლეფას ერთმანეთს არასდროს ვაცლით“,** — ბრძანა პოეტმა კონკრეტული ფაქტის გამო (ისევე, როგორც კონკრეტული ფაქტით შეძრულმა დიდმა აკაკიმ უთხრა სათქმელი საქართველოსძ.

**ეს, ნათქვამი, ალბათ, პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო ბატონმა ბესომ და ამიტომაც ბრძანა წარბშეუხრელად, ვგონებ, შარშან თუ შარშანწინ, რა მოხდა მერე, თუ ხალხს (იგულისხმება მთქვლეფავიძ უჭირს, მოითმინოსო.**

**ისე, დაკონკრეტებით მაინც კი არ თქვა, როგორც გიორგი ეუზნება, მახარაშვილი, თავის ვაჟს გოდერძის „ცოტაცა, შვილო, ცოტაცა და...“**

**არაო, არანაირი კონკრეტიკაო, მოითმინოსო და მორჩაო.**

**თუ არაოდა, გზაც იქით ჰქონიაო!**

**ახლა მე არ მომთხოვოთ მის ნაცვლად მისამართის დაკონკრეტება.**

რაღა ბევრი გავაგრძელო, გული დამეწვა-მეთქი, მოგახსენეთ.

**ამიტომაც რამდენიმე კონკრეტული რჩევა მინდა შევკადრო საკუთარი უფულობა-უძლურობით გულდამწვარს (თვითონ რომ დღენიადაგ მშობელ მამასავით გვმოძღვრავს, ხომ კარგია!ძ.**

შვილმა გულში გაიარა, შვილიშვილმა — გულისგულშიო, ნათქვამია.

აქედანაც ჩანს შვილიშვილის პრიმატიც.

> **უაზრო ხმაური არ მსურს,**
> **უაზრო დუმილი მიჭირს,**
> **უკეთუ არ გამცემ პასუხს —**
> **შეკითხვის წამართვი ნიჭი.**
>
> **მუხრან მაჭავარიანი**

**ამიტომაც გეძვირფასებათ იგი, შვილიშვილი, და მის თითო კოცნაში, როგორც თავადაც განაცხადეთ ტელევიზიით, ას დოლარს იხდით, ბატონო ბესო.**

**შემოგბედავთ და (ღმერთმა დამიფაროს, ჩემს სოფლელ გლეხებს კი არ გადრით, რომლებიც, მდაბიონი, საკუთარ შვილიშვილებს თითო კოცნაში ოცდაათ დოლარსღა უხდიანძ, გირჩევთ, თქვენც, დროებით მაინც, იქნებ ასის ნაცვლად ორმოცდაათი დოლარი გადაუხადოთ გულისგულში გამვლელ შვილიშვილს, რათა მეორე ორმოცდაათი მხოლოდ გულში გამვლელი შვილის განათლების მისაღებად გადაინახოთ?!**

და კიდევ: ეს რა ჩვევა გვაქვს ქართველებს, სანამ არ მოვკვდებით, შვილი, სამოცისაც რომ იყოს, მაინც პატარა გვგონია!

**ზრდასრული შვილის გამო რად უნდა ითუთქავდეთ სათუთ და ქართველი ხალხის კეთილდღეობისთვის მოსაფრთხილებელ გულს ასე გამეტებით?**

საკუთარ თავს ვერ მიხედავს? თქვენი ტანჯვა-წვალებით წამოწყებულ-გამართულ ბიზნესს და დაგროვილ ქონებას თუ არაფერს მიუმატებს, ვერ გაუფრთხილდება მაინც?

**თქვენ ხომ თქვით ტელევიზიითაც და პრესითაც, თანაც მრავალჯერ, — როგორც კი დეპუტატად ამირჩიეს, ჩემი ბიზნესი შვილს გადავუფორმეო!**

**ჰოდა, მის გამო უნდა წუხდეთ კი არა, აქეთ უნდა გინახავდეთ და ფუფუნებითაც გაცხოვრებდეთ ის შვილი!**

**ყოველ შემთხვევაში, ჩვენ, მდაბიოებმა, ასე ვიცით — ასაკში შესულ მშობლებს შვილები ვინახავთ...**

ეჰ, ბატონო ბესო, სათქმელი კიდევ ბევრია, მაგრამ მეტის თქმის უფლებას ამჯერად თავს ვერ მივცემ.

**ამიტომ, თუ ჩემს რჩევას გაითვალისწინებთ, ხომ კარგი, ხოლო თუ არ დამეთანხმებით რამეში და ამას რაიმე ფორმით შემატყობინებთ ან მაგრძნობინებთ, მაშინ, მოგიკვდეთ ჩემი თავი, დაწვრილებით ჩამოგიკაკლავთ მთელ სათქმელს.**

**ასე რომ, ცოტაცა, ბატონო ბესო, ცოტაცა და...**

**რუსლან რუსია**

◎ ფარსი

# რამ ააკაკანა მავანი დეპუტატი?

## ქურდს ქუდი ეწვისო...

**პარლამენტში თანამდებობის პირთა ქონებრივი და ფინანსური დეკლარაციების ახალ ფორმებს შემოიღებენ. ა. წ. პირველ ივნისამდე კვლავ ძველი ფორმები იქნება, მერე კი პარლამენტი სათანადო კანონპროექტს განიხილავს. მასში თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო ვალდებულებები ახლებურად იქნება განსაზღვრული.**

თუ ძველი ფორმები შესავსებად რთული იყო — დეპუტატთა თქმით, საამისოდ ლამის მთელი საგადასახადო კოდექსის შესწავლა უწევდათ, ახალი ფორმა ბევრად გამარტივებულია. ასევე, დაზუსტდება, ვინ იგულისხმება „თანამდებობის პირებში“ და იმ ორგანოს, ვინც დეკლარაციებს მიიღებს, მათი შემოწმების უფლება ექნება.

თითქოსდა, ყველაფერი რიგზეა: ზუსტად გვეცოდინება, ვინაა თანამდებობის პირი, ისინიც ტვინს აღარ დაანთხევენ დეკლარაციების შევსებას და აქედან გამოთავისუფლებულ გონებას ქვეყნისა და ხალხის სასიკეთოდ მოიხმარენ. თანაც, რასაც დეკლარაციებში ჩაწერენ, ადრინდელივით „ფაიზალად“ კი არ გასაღდება, შეამოწმებენ. მაგრამ... მაგრამ ის, რომ ქურდს, თურმე კუდი ეწვის. თანაც, ხან ისე ძალიან ეწვის ხოლმე, ჭკვას ძალას ველარ ატანს და საჩუმათოდ მოსაგვარებელს, უდროო დროს, საჯაროდ წამოაძახებინებს ხოლმე.

დეკლარაციაზე მსჯელობისას პარლამენტის ბიუროს სხდომაზე უმრავლესობის წევრს ბატონ ელდარ კვერნაძეს წამოსცდა, ძმისა და ბიძაშვილის ქონებაზე პასუხი არ უნდა ვაგოთო. ამ ფრაზის შემდეგ კი მთელი წინა ლათაია ახალი ფორმებისა და შიგ ჩაწერილის შემოწმების შესახებ, ყოველგვარ აზრს კარგავს.

ჯერ ესა ვთქვათ: გვახსოვს, როგორ მოძღვრავდა ჩვენი პრეზიდენტი საპატრულო პოლიციის პირველ ნაკადს, შენი ძმა რომ იყოს დამნაშავე და მხოლოდ შენ იცოდე ეს, რას იზამდიო. რასა და მყისვე ძეროში ვტაცებდი ხელსო, იყო ყოჩაღი პასუხი. როგორ გაიზადრა ბატონი პრეზიდენტი და აღტაცებულმა შესძახა, აი, პოლიციის ახალი სახე, ეს ტალიკ-ტალიკა ბიჭები იქნებიან კანონიერებისა და სამართლიანობის ქვაკუთხედნიო. ახლა გამოძიებასთან თანამშრომლობაზე, ვინმე მამაძაღლი მეზობლისა თუ ნათესავის საააშკარაოზე გამოყვანაზე რამდენს „გვეჩიჩინებიან“ რეკლამებითა თუ სხვადასხვა ცხელი ხაზით?

მაშ, ყოველი პატიოსანი მოქალაქის მოვალეობა დანაშაულის გამოაშკარავებაში სახელმწიფოსთვის დახმარების გაწევაა. არა აქვს მნიშვნელობა, ვინაა ის — დედა, მამა, ძმა, და თუ გარე ბიძაშვილ-მამიდაშვილი. იცი, რომ რაღაც იხიმანდრა? ეგრევე პოლიციაში უნდა გაქანდე და ამხილო!

ბატონი ელდარი კი ამბობს, ძმისა და ბიძაშვილის ქონების გამო, არ უნდა დავისაჯოთო. დიახ, არ უნდა დაისაჯონ, მაგრამ თუ იმ ძმასა თუ ბიძაშვილს ქონება უპატიოსნოდ აქვს ნაშოვნი — და ჩვენში სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა — ხომ უნდა განაცხადო ამის შესახებ? ასე არ იზამ? მაშინ, წესითა და სამართლით, დანაშაულს ფარავ. მათი ქონების გამო — არა, მაგრამ ამისთვის კი უნდა აგო პასუხი. რიგითი მოქალაქეებისგან მოითხოვდე და შენ, კანონმდებელი პირუკუ იქცეოდე? თუმცა, ჩვენში კანონი ხომ მხოლოდ ყოვლად უუფლებოთათვის, ანუ სწორედ რიგითთათვის ითხზვება.

დეკლარაციების შემოწმება სწორედ ამის გამო კარგავს აზრს. რა რჯის ამა თუ იმ თანამდებობის პირს, რომ თავად გაიფორმოს ბიზნესი? მით უფრო, რომ ამას კანონიც უკრძალავს? აგერ არა ჰყავს ის ძმა თუ ბიძაშვილი? ლობისტი თავად იქნება, ყველაფერს მოაკვარახჭინებს — ხალხის საცხოვრებლებიდან გამოდევნა იქნება ეს, სხვადასხვა ბიზნესმენისთვის ამ საქმის ჩამორთმევა თუ დიდ წილში ჩაჯდომა და ცრუმაგიურ პირებს — ნათესაობას ჩამოურიგებს, ნაღებს კი თავად მოხდის.

ჰოდა, აქვს კი აზრი კიდევ თანხის ხარჯვას იმ რაღაც ახალი ფორმების შექმნა-დაბეჭდვაზე, მერე კიდევ პარლამენტის სხდომაზე დეპუტატების „მოცდენას“ და მათი „ღრმააზროვანი“ მოსაზრებების მოსმენას ამ კანონპროექტის თაობაზე? ხომ ყველამ იცის, ძაღლის თავი სადაცაა დამარხული? ის შემოწმებაც, თუგინდ ობიექტური იყოს, „ალალს“ როგორ „ააფრენს“, თუ არაფერი იქნა?!

ან რა ფორმებია საჭირო იმის დასადგენად, რომელი თანამდებობის პირი, ფაქტობრივად, რა ქონებას ფლობს. კუკავასთვის ხომ უცებ „მოაყომარეს?“ ან რა დიდი კვლევა-ძიება უნდა იმას, რაც ისედაც ზედაპირზე ძევს? ამა თუ იმ თანამდებობის პირის ძმასა თუ ბიძაშვილს, მის გათანამდებობისპირებამდე „ტილი რომ ჭამდა“ და გათანამდებობისპირებიდან ცოტა ხანში სასახლეც რომ წამოჭიმა და ძვირფასი „ინომარკით“ დაგრიალებს, ვითომ, საიდანაო?!

მაშ, რა შეგვრჩა ხელთ? ხელისუფლების მომდევნო ფარსი.

**კონსტანტინე გურგენიძე**

№ 68. ოთხშაბათი, 18 აპრილი, 2007 წელი.

# ჩვენ

● ყრილობაზე მკაცრად დაისვა მიტაცებული ქონების კვლავ ჟურნალისტებისთვის, შემოქმედებითი კავშირისთვის დაბრუნების საკითხი



◉ ყრილობა — ნიშანსვეტი

## ჟურნალისტებმა უარი თქვეს ძველებურად დაქსაქსულ ცხოვრებაზე და გაერთიანება გადაწყვიტეს...

**„გავერთიანდეთ და ერთობლივი ძალისხმევით დავიცვათ ჩვენი უფლებები, ქონება და ის ღირებულებები, ოდითგანვე რომ ექვირფასებოდა საქართველოს ჟურნალისტთა ამქარს“,** — ამ სულისკვეთებით წარიმართა საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ყრილობა კინოს სახლში, სადაც 15 აპრილს თავი მოიყარეს ჟურნალისტებმა დედაქალაქიდან და რეგიონებიდან.

შეკრებილნი გულისტკივილით საუბრობდნენ, რომ უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც შემოქმედებითი კავშირის უმოქმედობამ მძიმე დაღი დაასვა ქართულ ჟურნალისტიკას, — დაქსაქსული და გათითოკაცებული ყოფნა-არყოფნამდე მივიდა. მწვავე საუბარი გაიმართა კავშირის ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით. რამდენიმე ადამიანის უკანონო ქმედებებმა თვით ჟურნალისტთა სახლიც დაანაწევრა და ერთ დროს ინტენსიური შეხვედრების, ძველი და ახალი თაობის ჟურნალისტთა დაახლოება-დამეგობრების ადგილზე ახლა იშვიათად თუ გამოჩნდება ვინმე. ბევრისთვის მხოლოდ წარსულის ტკბილ მოგონებად იქცა აქ გამართული საღამოები, ფართოდ აღნიშნული ქართული ჟურნალისტიკის დღე.

ყრილობაზე მკაცრად დაისვა მიტაცებული ქონების კვლავ ჟურნალისტებისთვის, შემოქმედებითი კავშირისთვის დაბრუნების საკითხი.

შექმნილი მძიმე მდგომარეობის დაუყოვნებლივ გამოსწორების მიზნით ყრილობამ დაამტკიცა ცვლილებები შემოქმედებითი კავშირის წესდებაში და ახლა ის სრულ შესაბამისობაშია ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობასთან; აირჩია მმართველი ორგანოები — შემოქმედებითი კავშირის გამგეობა, სარევიზიო, ეთიკის და უფლებების დაცვის კომისიები.

ჟურნალისტებისთვის განსაკუთრებით აქტუალური იყო კავშირის ხელმძღვანელობის არჩევნები, რადგან კავშირის უმოქმედობას გარკვეულწილად ხელს უწყობდა მათი არალეგიტიმურობა. ყრილობის დელეგატებმა მოითხოვეს, რომ კავშირისთვის ეხელმძღვანელა გამოცდილ, პროფესიონალ და ჟურნალისტთა წრეებში ავტორიტეტულ ადამიანს.

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის 15 აპრილის ყრილობამ კავშირის თავმჯდომარედ აირჩია ცნობილი ჟურნალისტი **გურამ გოგიაშვილი,** მოადგილეებად — **ვასილ ბარნოვი, მარინა ბასილაშვილი** და **ბონდო მძინარაშვილი.**

ყრილობის დასრულებისთანავე შეიკრიბა კავშირის ახლადარჩეული გამგეობა. **„ყველას გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი ხედვა, თუ როგორ გესახებათ კავშირის გამოყვანა ამ მძიმე მდგომარეობიდან. კავშირმა უნდა დაიბრუნოს ავტორიტეტი და ის ანგარიშგასაწევი გახდება ხელისუფლებისთვისაც. ჩვენ არ ვუპირისპირდებით არავის, ქართველი ჟურნალისტები ყოველთვის საქვეყნო საქმეს ვემსახურებოდით და ახლაც მზად ვართ, ქვეყანას მხარში ამოვუდგეთ. მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ჩვენი უფლებების შელახვის ხარჯზე. ჩვენ ასევე მზად ვართ თანამშრომლობისთვის ყველა ჟურნალისტთან, ვისაც გული შესტკივა კავშირზე, არც ძველ ხელმძღვანელობასთან საუბარს გავურბივართ, მაგრამ კავშირს უნდა დაუბრუნდეს ის ქონება, რომელიც მას ეკუთვნის. მჯერა, ერთობლივად შევძლებთ მდგომარეობის გამოსწორებას და ყველა სირთულეს გადავლახავთ, აღვადგენთ კავშირის ავტორიტეტს“,** — განაცხადა ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარემ გურამ გოგიაშვილმა და გამგეობის წევრებს სთხოვა, აქტიურად იღვაწონ კავშირის გაძლიერებისთვის.

**მახარე მახაროზლიძე**

◉ გაზის ტარიფი

## კი პოპ-ლა, მაგრამ ჩვენ ყოვლისშემძლენი არ გახლავართ!

***— თქვენ უკვე გაეცანით „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ სემეკის 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილების პროექტს, — განუცხადა ჟურნალისტებს კომისიის ღია, საკმაოდ ემოციური სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ სახელდახელო პრესკონფერენციაზე უწყების თავმჯდომარემ გიორგი თავაძემ. — გაზგამანაწილებელი კომპანიების დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, სემეკმა ობიექტურად დაადგინა ის ტარიფები, რომლებიც საქართველოში 1 მაისიდან ამოქმედდება.***

თუმცა სემეკი პოლიტიკაში არ ერევა, მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მეზობელი ქვეყანა უკვე დიდი ხანია იმას ცდილობს, რომ საქართველო უგაზოდ დატოვოს და, ამ მიზნის მისაღწევად, ახდენს როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ ზეწოლას. აქედან გამომდინარე, მაშინ, როცა წლეულს იანვრიდან



რუსეთმა ათასი კუბური მეტრი გაზის ფასი 235 დოლარამდე, ანუ ორჯერ და მეტად გაგვიძვირა, სემეკის მიერ ახალი, მომატებული ტარიფების დადგენა გასაკვირი არ უნდა იყოს. ტარიფი კი, უწინარესად, გახლავთ მომსახურების საფასური, რომელშიც შედის ბუნებრივი გაზის ფასი, ტრანსპორტირების, ასევე მომხმარებლისთვის მიწოდების ღირებულება და სხვადასხვა სახეობის გადასახადები.

კიდევ ერთხელ ხაზი მინდა გავუსვა იმ გარემოებას, რომ სემეკში მუშაობენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რათა მომხმარებელთა ინტერესები მაქსიმალურად ყოფილიყო გათვალისწინებული. აქვე იმასაც დავძენ, რომ გაზგამანაწილებელი კომპანიები გაზის ტარიფის გაზრდას ჯერ კიდევ მაშინ მოითხოვდნენ, როცა რუსეთიდან მიღებული ყოველ ათას კუბურ მეტრ ბუნებრივ გაზში საქართველო მხოლოდ 110 დოლარს იხდიდა.

ამდენად, სხდომაზე ზოგიერთმა ძაფრ გამოთქმას სემეკის მისამართით ვერაფრით გავიზიარებთ. იმასაც მოგახსენებთ, რომ, სტატისტიკური მონაცემებით, მსოფლიოში დაახლოებით 2,5 მილიარდ კაცს არც გაზი აქვს, არც ელექტროენერგია, რადგან ეს, ბატონებო, საკმაოდ ძვირად ღირებული ფუფუნებაა. ამ დროს კი, წარსულ ზამთარში ჩვენს მოსახლეობას არც ერთი დაკლებია, არც მეორე. ამის კომენტარი, ვფიქრობ, ზედმეტია.

* * *

სემეკის 16 აპრილის სხდომა ხმაურიანი და ვნებათა ღელვით აღსავსე რომ იქნებოდა, ეს, ჩემი აზრით, ყველამ, რომ იტყვიან, შინაურმაც და გარეულმაც, კარგად იცოდა. ამის მთავარი მიზეზი კი ის გახლდათ, რომ, ერთი მხრივ, სემეკი და გაზგამანაწილებელი კომპანიები, მეორე მხრივ კი მთელი რიგი პოლიტიკური პარტიები, კერძოდ, ლეიბორისტები, პენსიონერები, „ქართული დასის“ წარმომადგენლები ერთმანეთისგან არსებითად განსხვავებულ პოზიციებზე იყვნენ.

ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის ოფიციალური აზრი ზემოთ მოგახსენეთ, რაც შეეხება პოლიტიკოსთა მოსაზრებებს, ისინი, უწინარესად, ბატონ თავაძისგან ჯერ დადგენილების პროექტის ქსეროასლების დარიგებას ითხოვდნენ, რათა საკითხის განხილვა ფუჭსიტყვაობად არ გადაქცეულიყო. ამასთან, ისინი აცხადებდნენ, რომ გაზზე სამომხმარებლო ტარიფის გაზრდისას სემეკმა მოსახლეობის, პირველ ყოვლისა, მისი სოციალურად დაუცველი ფენების ინტერესები არ გაითვალისწინა.

**— ტარიფის ზრდა მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესებასა და სამომხმარებლო პროდუქციაზე ფასების მომატებას გამოიწვევს,** — განაცხადა, კერძოდ, ლეიბორისტმა გიორგი გუგავამ. თავის მხრივ კი „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ აღნიშნა, რომ **შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ უკან ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი დგას, გაზის ტარიფის გაზრდა კი სოციალურ და ეკონომიკურ კოლაფსს გამოიწვევს.**

აღსანიშნავია, რომ მთლიანად სემეკმა 17 გაზგამანაწილებელი კომპანიის სატარიფო განაცხადი განიხილა, მათ შორის არიან სს „იტერა-საქართველო“, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“, შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“, შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“, რეგიონალური კომპანიები.

საბოლოო ანგარიშით, როგორც ვიუწყებოდით, **თბილისში მოსახლეობა ერთ კუბურ მეტრ გაზში გადაიხდის (დღგ-ს ჩათვლით) 50,62 თეთრს; ქუთაისში — 50,7; კასპში — 55,0; გორში — 51,3; ზუგდიდში — 49,3; დუშეთში — 44,98; მცხეთაში — 50,8; ბორჯომში — 49,6; მარნეულში — 49,3; გურჯაანში — 48,3; რუსთავში — 50,2; სამტრედიაში — 52,0; თელავში — 53,0; ზესტაფონში — 47,34; ქარელში — 52,34; ჭიათურაში — 50,35 და ყაზბეგში — 25,45.**

აქვე იმასაც დავძენ, რომ როგორც თბილისში, ასევე ზოგიერთ რეგიონში მაღალი და საშუალო (სამრეწველო) წნევებით მიღებული გაზის ტარიფი სამომხმარებლოზე რამდენადმე დაბალია.

საგულისხმოა ისიც, რომ გაზის ტარიფის მომატებას „მომხმარებელთა ინტერესების დამცველთა“ ასოციაციის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა, ხოლო შპს „ყაზტრანსგაზი-თბილისის“ აღმასრულებელი დირექტორის სანჯარ შოკაევის განცხადებით, რუსეთიდან ბუნებრივი გაზის მოწოდება 2-3 დღის განმავლობაში შეწყდება.

პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებმა გიორგი თავაძეს რამდენიმე შეკითხვა დაუსვეს. კერძოდ, ლაპარაკი იყო იმის თაობაზე, თუ რამდენად გამოიწვევს ელექტროენერგიაზე ფასის სავარაუდო ზრდას ბუნებრივ გაზზე ტარიფის მომატება.

**— მოგეხსენებათ, ბუნებაში მუდმივი არაფერია, გაზზე ფასის მომატება, თავისთავად, აისახება თბოსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ტარიფზეც, მაგრამ, საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ ელექტროენერგიის ტარიფში არის სხვა კომპონენტები, რომლებიც, იმედია, ზაფხულში, როცა მასზე ტარიფის მომატებიდან ერთი წელი შესრულდება, სემეკი გადახედავს მას და ვეცდებით, რომ იგი აღარ გაიზარდოს, — აღნიშნა ბატონმა თავაძემ, თუმცა დასძინა: — მაგრამ, ნურც ის დაგავიწყდებათ, რომ ჩვენ ყოვლის შემძლენი არ გახლავართ და ობიექტურ რეალობას ვერსად გავექცევით.**

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ თანამშრომლობა

## ფრანგული „კომანდანტი ბუანი“ ბათუმში

***ფრანგულ-ქართული სამხედრო თანამშრომლობის ფარგლებში 16 აპრილს ბათუმის პორტში ღუზა ჩაუშვა საფრანგეთის სახელმწიფო-საზღვაო ძალების სწრაფმავალმა პატარა მზვერავმა გემმა (ავიზოძ „კომანდანტ ბუანმა“. 9 საათზე პორტის ბაქანზე შესრულდა საფრანგეთისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნები, რის შემდეგ საფრანგეთის ელჩმა ბატონმა ფილიპ ლეფორმა, გემის კაპიტანმა ერვე კუბლემ და საქართველოს სამხედრო საზღვაო ძალების წარმომადგენელმა ერთმანეთს მეგობრული სიტყვებით მიმართეს.***

საფრანგეთის ფლოტის 35 გემი მუდმივად იმყოფება მსოფლიოს ყველა ზღვაში, გარდა ამისა, პატრულირებენ ატომური წყალქვეშა რაკეტმზიდი ნავები, ხოლო ჰაერიდან ზვერავს 12 საჰაერო ხომალდი.

„კომანდანტი ბუანი“ მეორე გემია, რომელიც ატარებს საფრანგეთის ლეგენდარული გმირის „ბიზონის“ კაპიტნის ბუანის (1892-1940ძ სახელს. 1940 წელს საზღვაო ბრძოლების დროს „ბიზონი“ დაზიანდა და კაპიტანი ბუანი გემთან ერთად ჩაიძირა.

„კომანდანტი ბუანი“ წყალში 1983 წლის 23 აპრილს ჩაუშვეს, ხოლო სამხედრო დავალებების შესრულება წელიწადნახევრის შემდეგ დაიწყო. იგი ფლობს წყალქვეშა გემების წინააღმდეგ სანაპირო ბრძოლების ოსტატობას. მას იყენებენ როგორც საზღვაო მისადგომების დასაცავად, ისე ზღვაში კონტროლის, ესკორტირებისა, გარემოს დაცვისა და სხვა ამოცანების შესასრულებლად.

გემს მფარველობას უწევს საფრანგეთის ქალაქი აჟენი.

ბათუმში ჩამოსულ გემის ეკიპაჟს, ელჩის მონაწილეობით საქართველოს სამხედრო და სამოქალაქო ხელმძღვანელობასთან მრავალი ოფიციალური შეხვედრა ელოდება.

მოსახლეობას საშუალება აქვს, 17 და 18 აპრილს დაათვალიეროს გემი, რომელიც 19 აპრილს დატოვებს ბათუმს.

მეგობარი სამხედრო მეზღვაურების ჩამოსვლას დაემთხვა ფრანგი მომღერლის კალიზის გასტროლები საქართველოში. 18 აპრილს ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრში ის იმღერებს ფრანგულ და ბერძნულ ენებზე.

**რამაზ სურმანიძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**
**ქ. ბათუმი.**



# თვალსაზრისი

● არსებითად გაახალგაზრდავდა სახელმწიფო სამსახურის კორპუსი, საიდანაც უმიზეზოდ დაითხოვეს 50 წელზე უხნესი თითქმის ყველა თანამშრომელი. ახალი ხელმძღვანელობა ყველა თანამშრომლისგან მოითხოვდა განცხადების დაწერას სამსახურის დატოვების სურვილის შესახებ



◎ დრო, რომელშიც ვცხოვრობთ

# საქართველო: „რევოლუცია" მარშზე



ყველაზე უფრო ნათლად საქართველოს პოლიტიკური სისტემის ეს ნიშანი გამოჩნდა მაშინ, როცა პოლიტიკური ხელმძღვანელობის ბრძანებით კერძო ფირმები, რომლებსაც არაფერი აკავშირებდათ მეღვინეობასა და მევენახეობასთან, იძულებული გახდნენ შეესყიდათ ყურძენი კახელი გლეხობისაგან და ამ გზით გადაერჩინათ მთავრობა მათი პროტესტისაგან. **შევარდნაძის დროს, რომლის წინაშეც იდგა სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნისა და გაძლიერების ამოცანა, ვითარდებოდა პოლიტიკური ალიანსი მმართველ ელიტასა და ბიუროკრატიას შორის. ეს ემყარებოდა ურთიერთგაცვლისა და ურთიერთხელსაყრელობის საბაზრო პრინციპებს — მაშინდელი მმართველი ელიტის მხარდაჭერის სანაცვლოდ ბიუროკრატიამ მიიღო შესაძლებლობა, რომ ადმინისტრაციული ხელისუფლება პირადი მიზნებისათვის გამოეყენებინა. ასეთ პირობებში ბიუროკრატიამ ახალი სოციალური სტრატიფიკაციის ფორმირების ფუნქცია მოიპოვა.**

სახელმწიფო და საზოგადოება გადაიქცა ბიუროკრატიის მძევლად, რომელიც ბურჟუაზიის ფორმირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ მოგვევლინა, ე.ი. ადმინისტრაციული ხელისუფლება ტრანსფორმირდება ეკონომიკურ ხელისუფლებად. ამის ყველაზე უფრო მკაფიო მაგალითია მაშინდელი კავშირგაბმულობის მინისტრი ინჯია, რომელიც სწორედ თავისი მინისტრობის საშუალებით გადაიქცა მილიონერად, მსხვილ მაგნატად კომუნიკაციების სფეროში. ბიუროკრატიის ყოვლისშემძლეობის პირობებში, სუსტი სახელმწიფო კონტროლისა და აღრიცხვის პირობებში მასობრივ ხასიათს იძენს ველური პრივატიზაცია და ბიზნესის ფუნქციონირება კანონის დარღვევით, რაც ცალკეული ჩინოვნიკების გამდიდრებისა და ახალი სტრატიფიკაციური სტრუქტურის ფორმირების წყაროდ იქცევა.

სახელმწიფო სტრუქტურებში დაკავებული ადგილები (პოლიცია, პროკურატურა, უშიშროება, საგადასახადო და ა.შ.ძ ხელს უწყობდა ჩინოვნიკის სტატუსის შეცვლას ეკონომიკურ სისტემაში. ამის საფუძველზე მიმდინარეობდა სახელმწიფო ინსტიტუტების შერწყმა კერძო სექტორთან, რაც აბრკოლებდა სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუციონალიზაციის პროცესს, რადგანაც ქმნიდა და ავითარებდა სახელმწიფო მოსამსახურეების კერძო ეკონომიკურსა და ბიზნეს ინტერესებს. ეს იწვევდა შიდაპოლიტიკური კურსის გატარების პარალიზებას და სახელმწიფო ინტერესების რეალიზაციას უმორჩილებდა კერძო ინტერესებს.

ამიტომ სახელმწიფოს მშენებლობის შემდგომი განვითარება საჭიროებდა სახელმწიფო დისციპლინის გაძლიერებას, ბიუროკრატების ქცევების მკაცრად დამორჩილებას კანონისადმი, ადმინისტრაციული ხელისუფლებისას — კანონმდებლობისადმი, ადმინისტრაციული ხელისუფლების გადაქცევას პოლიტიკური კურსის გატარების ინსტრუმენტად. **ნოემბრის გადატრიალების შემდეგ პოლიტიკურმა ელიტამ კურსი აიღო ბიუროკრატიის სრულ დამორჩილებაზე და მის გადაქცევაზე საკუთარი ნების გამტარებლად. კურსი, რომელიც ტარდება სახელმწიფოს მშენებლობის სფეროში, გვაგონებს ვ.ი.ლენინის მიერ „სახელმწიფოსა და რევოლუციაში" აღწერილი ძველი სახელმწიფო მანქანის მსხვრევასა და ახლის შექმნას. საქართველოს პოსტკომუნისტური ისტორიის მთელი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა თანდათანობითი ცვლილებები სახელმწიფო მანქანის სტრუქტურაში.**

მაგრამ ნოემბრის გადატრიალების შემდეგ ვლინდება სახელმწიფო მანქანიდან ყველაფერი იმის განდევნისაკენ მისწრაფება, რაც დარჩენილი იყო კომუნისტური წარსულისაგან, მისი სტრუქტურისა და ფუნქციონირების მიახლოება დასავლურ სტანდარტებთან. შეიძლება გამოიყოს ძველი სახელმწიფო მანქანის ნგრევის სამი მიმართულება: 1ძ ახალი სტრუქტურების შექმნა, რომლებიც ცვლიან ძველ, საბჭოთა სტრუქტურებს; 2ძ ცვლილებები ბიუროკრატიის რეკრუტირების წესში; 3ძ ცვლილებები საკადრო პოლიტიკაში. ყველაზე უფრო ნათლად ეს ჩანს სამართალდამცავი სტრუქტურების მაგალითზე. გადატრიალების შემდეგ უქმდება სამართალდამცავი ორგანოების ძველი სტრუქტურები და იქმნება ახალი. მაგალითად, გაუქმდა ავტოინსპექცია და შეიქმნა პოლიციის პატრული, რომელმაც ავტოინსპექციის ფუნქციებთან ერთად შეითავსა ქუჩის დანაშაულთან ბრძოლის ფუნქციებიც. სამართალდამცავი სტრუქტურებიდან მასობრივად იქნენ განთავისუფლებულნი ძველი კადრები, რომელთა ადგილიც დაიკავეს ახალგაზრდებმა.

რადიკალური ცვლილებები მიმდინარეობს ბიუროკრატიის რეკრუტირების წესებში. შემოღებული იქნა დანიშვნები საკონკურსო გამოცდების საფუძველზე. რეკრუტირების ასეთ მეთოდს შეეძლო ხელი შეეწყო ბიუროკრატიის რეკრუტირების ბაზის გაფართოებისათვის, მისი გამჭვირვალობის გაზრდისათვის და ამის საფუძველზე აღნიშნულ პროცესზე საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერებისათვის, ჩინოვნიკების პატიოსნებისა და მათი პროფესიონალიზმის ამაღლებისათვის. კონკურსი შეიძლება გამხდარიყო აგრეთვე დამსახურების, გამოცდილებისა და ცოდნის საფუძველზე აღმავალი სოციალური მობილურობის გაძლიერების ძლიერ ფაქტორად და ამგვარად ხელი შეეწყო პოლიტიკური სისტემის სტაბილიზაციისათვის, საზოგადოების დემოკრატიზაციისა და მერიტოკრატიის ფორმირებისათვის. მაგრამ **პოლიტიკური და კლანობრივი ინტერესები მნიშვნელოვნად ასუსტებენ რეკრუტირების ახალი წესის დადებით ეფექტს და მას აქცევენ მმართველი ელიტის პოლიტიკური და კლანობრივი ინტერესების დემოკრატიულ კომუფლაჟად. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ საზოგადოებაში არ არსებობენ ძალისა და გავლენის ისეთი ცენტრები, რომლებიც დააბრკოლებდნენ მმართველი ელიტის სისტემატურ მისწრაფებას საკუთარი ხელისუფლების გაფართოებისაკენ.**

არსებითი ცვლილებები მიმდინარეობს საკადრო პოლიტიკაში. მის თავისებურებებს განსაზღვრავს მმართველი ელიტის რწმენა, რომ ძველი გამოცდილება და კადრები გამოუსადეგარია ახალ პირობებში, რადგანაც აბრკოლებენ დასავლური სტანდარტების დანერგვას, არ შეუძლიათ შეითვისონ მუშაობის ახალი მეთოდები. ამიტომ „ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველოში ჩატარდა სახელმწიფო მოსამსახურეების მასობრივი გათავისუფლება და ახალი თანამშრომლების მიღება საკონკურსო შერჩევის საფუძველზე. ამის შედეგად **არსებითად გაახალგაზრდავდა სახელმწიფო სამსახურის კორპუსი, საიდანაც უმიზეზოდ დაითხოვეს 50 წელზე უხნესი თითქმის ყველა თანამშრომელი. ახალი ხელმძღვანელობა ყველა თანამშრომლისგან მოითხოვდა განცხადების დაწერას სამსახურის დატოვების სურვილის შესახებ, ხოლო შემდეგ კი უკვე „საკონკურსო" შერჩევით ღებულობდნენ ახალ კადრებს. მეორე ეტაპზე კანდიდატების ნაწილი, რომლებიც უმაღლეს შეფასებებს იღებდნენ, ტესტირებაში გადიოდნენ ე.წ. „გასაუბრებას", რაც ხელმძღვანელობას საშუალებას აძლევდა, თავისი სუბიექტური ინტერესის მიხედვით შეერჩია კანდიდატები (მაგალითად, ასე მოხდა მერიაშიძ.**

**ისეთ პირობებში, როცა არ არსებობს ხელისუფლების შტოების დაყოფის, ურთიერთკონტროლისა და ურთიერთშეკავების რეალურად მოქმედი მექანიზმები, საზოგადოებრივი კონტროლი ხელისუფლების განხორციელებაზე, პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული მმართველობა, საკონკურსო სისტემა საკადრო პოლიტიკის სფეროში იქცევა ვოლუნტარიზმისა და სუბიექტივიზმის საფარველად. უზარმაზარ მასშტაბებს იძენს პატრონაჟი.**

ის ვრცელდება არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ აგრეთვე ადმინისტრაციულ თანამდებობებზეც. მაგალითად, ისეთზე, როგორიც არის განყოფილების, დეპარტამენტის და ა.შ. უფროსი, ნოემბრის გადატრიალებამ გაზარდა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელების ადმინისტრაციული ხელისუფლება დაქირავებული სამუშაო ძალის დაცულობის დასუსტების ხარჯზე. ეს კი, თავის მხრივ, კარგ პირობებს ქმნის კლანობრივი კავშირების განვითარებისათვის. საქართველოს თავდაცვის მინისტრის ოქრუაშვილის გადაყენებას მოჰყვა თავდაცვის სამინისტროს თითქმის ყველა თანამშრომლის გათავისუფლება, რომლებიც დანიშნულნი იყვნენ საკონკურსო წესის საფუძველზე. იმის მიუხედავად, რომ ეს კონკურსები დამთავრდა ოქრუაშვილის გადადგომამდე, რამდენიმე დღით ადრე, ისე, რომ ამ უკანასკნელმა მათი შედეგების დამტკიცებაც კი ვერ მოასწრო, ახალმა მინისტრმა დავით კეზერაშვილმა ისინი გააუქმა და გამოაცხადა ახალი კონკურსი.

**სახელმწიფო მანქანამ, რომელიც შეიქმნა ნოემბრის გადატრიალების შემდეგ, კიდევ უფრო გააძლიერა სახელმწიფოს შერწყმა მთავრობასთან.**

**ვალერიან დოლიძე,**
**პოლიტოლოგი.**

(გაგრძელება იქნება)

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 59, 60, 62-64, 66.**

◎ ინფორმაცია

## აფხაზი სეპარატისტები — სინგაპურში

სეპარატისტული აფხაზეთის ოფიციალური დელეგაცია, რომელსაც ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მაქსიმ ღვინჯია ხელმძღვანელობს, სინგაპურში გაემგზავრა.

აფხაზური მხარის ინფორმაციით, ვიზიტის მიზანი აფხაზეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ბაზრებს შორის პირდაპირი კავშირის დამყარებაა. მაქსიმ ღვინჯიას ინფორმაციით, აფხაზურ დელეგაციაში შედიან ეკონომისტები და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების წარმომადგენლები.

მისივე თქმით, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ბიზნესი სულ უფრო და უფრო აქტიურ პოზიციებს იკავებს.

## „კულტურული გენოციდი" ლაკობასეურად

სეპარატისტული აფხაზეთის ე. წ. უშიშროების საბჭოს მდივანი სტანისლავ ლაკობა განცხადებას საქართველოს პარლამენტში შექმნილი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის მისამართით აკეთებს.

ლაკობა აბსურდს უწოდებს საქართველოს პარლამენტში შექმნილი კომისიის განცხადებებს აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს მატერიალური და სულიერი კულტურის უნიკალური ნიმუშების განადგურების ტენდენციის შესახებ.

„აფხაზეთის ტერიტორიაზე კულტურულ ძეგლებს არავინ ანადგურებს, მეტიც, ქართულ-აფხაზური ომის დასრულების შემდეგ ბევრი მათგანის რესტავრაცია მიმდინარეობს", — აცხადებს ლაკობა და დასძენს, რომ სწორედ საქართველო ახორციელებდა აფხაზების მისამართით წლების განმავლობაში კულტურულ გენოციდს.

„ამჟამად საქართველო ცდილობს ყველაფერი აფხაზეთს გადააბრალოს. ეს ხდება მაშინ, როდესაც ქართველი ჯარისკაცები წვავდნენ და ანადგურებდნენ არქივებს, ბიბლიოთეკებს, სამეცნიერო ინსტიტუტებს და ცხრილავდნენ ძეგლებს. ახლა კი საქართველო ყველაფერს ჩვენ გვაბრალებს. ამას უკვე შეჩვეულები ვართ", — ამბობს ლაკობა.

მისივე თქმით, საქართველოსთვის საერთოდ, ყველაფერი საკამათოა — „საქართველო კამათობს: სომხეთთან, აზერბაიჯანთან, აფხაზეთთან, სამხრეთ ოსეთთან და საერთოდ ყველასთან, ვინც მათ გარს აკრავს".

ჯი-ეიჩ-ენი

№ 68. ოთხშაბათი, 18 აპრილი, 2007 წელი.

# ორიენტირი

● დღეისათვის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სწორედ ის მისია იკისრა, რაც მისმა დიდმა წინამორბედებმა, სამშობლოს კეთილდღეობისა და გადარჩენისათვის საეკლესიო ცხოვრებასთან ერთად პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ-საგანმანათლებლო თუ სხვა ეროვნულ საქმიანობაში ჩართულნი რომ იყვნენ

◉ ქრისტესმიერი გზა

## ღვთისა და ერის კაცი



**წლები გარბის... არადა, რაც დრო გადის, მით უფრო მემატება მოკრძალებული სურვილი — ოცნება, ჩემი სიყვარული და პატივისცემა გამოვხატო, შევბედო, ათეული წლების მანძილზე გულში და გონებაში დაგროვილი აზრი-გრძნობა გავუმხილო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდეს და უნეტარეს ილია II-ს.**

ჩემი აზრით, მხოლოდ ის განასახიერებს, მისსავე სააღდგომო ეპისტოლეში მოცემული აზრის რეალობას: „ყოველი ადამიანის სულიერი წინსვლა და წარმატება დიდად განაპირობებს მთელი ქვეყნის აღორძინებასა და კეთილდღეობას. ერთმანეთის დახმარებით და თანადგომით, გულმოდგინე შრომით მრავალი სასიკეთო საქმის კეთება შეიძლება. თითოეულ ჩვენგანს სხვადასხვა ნიჭი აქვს ბოძებული უფლისაგან და იგი ღვთისა და ქვეყნის სამსახურად გამოვიყენოთ“. დიახ, უწმინდესი და უნეტარესი თავისი მრავალფეროვანი მოღვაწეობით, მაგალითი და სახეა არა მხოლოდ ქართველთა და არა მხოლოდ მორწმუნეთა, არამედ მთლიანად ჩვენი სახელმწიფოსათვის... (აქვე, უნდა აღვნიშნო, რომ ბოლო წლებში შექმნილი საშობაო თუ სააღდგომო ეპისტოლეები, ჩვენთვის კონსტიტუციის — ძირითადი კანონის ტოლფასია).

დღეისათვის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სწორედ ის მისია იკისრა, რაც მისმა დიდმა წინამორბედებმა, სამშობლოს კეთილდღეობისა და გადარჩენისათვის საეკლესიო ცხოვრებასთან ერთად პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ-საგანმანათლებლო თუ სხვა ეროვნულ საქმიანობაში ჩართულნი რომ იყვნენ. ასეთი მოღვაწენი, სწორედ იმ დროს გამოჩნდებოდნენ ჩვენთან, როცა სამშობლოს ძალიან უჭირდა... დიდ ივანე ჯავახიშვილს დავესესხები, რათა მკითხველს შევახსენო ამ აზრის სისწორე: „ჩვენ თვალწინ წარმოგვიდგება ის დიადი ღვაწლი, რომელიც ჩვენ ბერებსა და ამ სამონასტრო მოძრაობას საქართველოს წინაშე მიუძღვის. ამ მოძრაობის მოთავენი და მთავარი მოღვაწენი შეუდრეკელის ხასიათისა და ნების პატრონები იყვნენ, გასაოცარის მხნეობით აღჭურვილნი, თავგანწირულის სულისკვეთებით აღფრთოვანებულნი. მათ ულვივოდათ გულში იმგვარი „დუღარებაი სულისაი“, რომელიც ადამიანს გმირადა ხდის და მის მოღვაწეობას მომხიბლავ მშვენიერებას ანიჭებს, არა ერთხელ აიძულებს ხოლმე მას განზრახული საქმისათვის „დადებად სულისა“, ახალ გზას და მიმართულებას აძებნინებს და იწვევს „ულაღთა და უვალთა გზათა სვლად“. ამ რჩეულ მოღვაწეთა ჯგუფს, რომელთაც, სხვათა შორის, მესხეთის დასახლებას და მის აყვავებას ხელი შეუწყვეს, ეკუთვნოდნენ გრიგოლ ხანძთელი, ხანძთისა, შატბერდისა, გუნათლეს, მერის და უბეს მონასტრების ამშენებელი. სერაპიონ ზარზმელი, ზარზმის მონასტრის დამფუძნებელი, მიქელ პასეხელი, საბა დიდებულ „იშხნის მეორედ მაშენებელი“, — დავით მიქნაძოროელი, ილარიონი წყაროსთავის აღმშენებელი და მრავალნი სხვანი“. ვითარცა ამ საეკლესიო მოღვაწეთა შეუდრეკელ ხასიათსაც შეეფერებოდა, მათი გავლენა მთელს იმდროინდელ ცხოვრებას ატყვია“.

ისტორიის მკაცრი და სამართლიანი მსაჯული, დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომელიც ყველას მოუწოდებდა შეულამაზებლად შეექმნათ ისტორია, იმ მოღვაწეთა შრომით აღფრთოვანებული, მათ „მსოფლიონი ერის კაცთს“ უწოდებს. ზემოთ მოტანილი ვრცელი ამონარიდით, მჯერა მკითხველს მივანიშნე, რომ, ყველაზე დიდი ძნელბედობის დროს ერის გამაერთიანებელნი „შეუდრეკელის ხასიათის“ დიდი საეკლესიო მოღვაწეები იყვნენ. აი, დღესაც, XXI საუკუნეში უწმინდესი და უნეტარესი ილია II მიუძღვის ერს.

სამ ათეულ წელიწადს გასდევს ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქის დიდი სახელი და მადლი, ამ წლების მანძილზე საქვეყნოდ ცნობილ ქართველ მეცნიერთ, მწერლებს, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკებს, მსოფლიოში ცნობილ საეკლესიო და საზოგადო მოღვაწეებს, მრევლს მრავალგზის გულზე აღუბეჭდავს საქმენი საგმირონი ჩვენი წინამძღოლისა...

რა თქმა უნდა, ჩვენ — უნივერსიტეტელებს — მრავალჯერ მოგვისმენია საქართველოს პატრიარქისათვის, როცა ის დავით აღმაშენებელის ხსენებისა და უნივერსიტეტის დაარსების დღეს პარაკლისს იხდიდა, მაგრამ... როცა მეხსიერების მორევში გადავეშვები, წინ დამიდგება 1978 წლის 20 აპრილი, დღე, როდესაც კათოლიკოს-პატრიარქი პირველად ვიხილე ახლოს, საპატრიარქოს რეზიდენციაში მისივე ლოცვა-კურთხევით მიწვეულ უნივერსიტეტის ცნობილ სწავლულებთან ერთად... (აქვე მინდა ვაღიარო ის ფაქტი, რომ ამ რჩეულ საზოგადოებაში, ჩემი ყოფნა სუბიექტურობით იყო განპირობებული: იმ დროს ჩემი და არა მხოლოდ ჩემი, მთლიანად, ისტორიის ფაკულტეტის გამორჩეულად საყვარელი სტუდენტი, უწმინდესის და უნეტარესის შვილად გაზრდილი, მისი მადლიანი ხელით და მხურვალე გულით დავაჟკაცებული მზეჭაბუკი, ლაზათიანი და ჭკვიანი, გიორგი შიოლაშვილი გახლდათ... (ის უდროოდ წავიდა ამ ქვეყნიდანძ. რა დამავიწყებს იმ დღეს, იმ შთაბეჭდილებას... დღემდე ვხედავ უწმინდესისა და უნეტარესის თვალების ბრწყინვალებას, რომლის ნათება-მადლი ჩვენზე გადმოდიოდა, შევცქერით უძველესი ფრესკებიდან და ხატებიდან გადმოსულ მის თბილ, საოცრად კეთილ ღიმილს, ვუსმენთ მის ხმას, ხავერდოვანს, რბილს, თბილს, ბუბუნას, ღუღუნას, თითქოსდა არამიწიერს — ზეციურს...

იმ დღეს ქართული ეკლესიის ისტორიის შექმნის აუცილებლობაზე გვესაუბრა და ისეთი ცოდნა გამოამჟღავნა, შეცბუნდნენ იქ მყოფი ცნობილი მეცნიერები — ისტორიკოსები, ფილოლოგები, რელიგიათმცოდნეები...

იმ ღირშესანიშნავი შეხვედრის აპოთეოზიც მინდა გაგიმხილოთ: შეხვედრის წინ ქარიანი და ღრუბლიანი ამინდი იყო. გარეთ რომ გამოვედი, წყნარი და მზიანი ამინდი დაგვხვდა...

მას შემდეგ თითქმის ოცდაათი წელიწადი გავიდა.

უწმინდესმა და უნეტარესმა, ამას წინათ ხატოვნად ბრძანა, ჩემი მოღვაწეობის პერიოდი მზიან ღამეს ჰგავს, მალე გათენდება და გაბრწყინდება საქართველოშიო... მან იცის, რასაც ამბობს, მას სჯერა და სწამს მომავლის. მისი ყველა სიტყვა თუ საქმე იმდენად დამაჯერებელი და კომპეტენტურია, რომ გვჯერა-გვწამს, იობის მოთმინებით და წმინდა გიორგის ძალით, იესო ქრისტეს ჯვარით, ქართველი ხალხი საბოლოო გამარჯვებას მიაღწევს.

სწორედ ამ მიზნისათვის უნდა იყოს ერი და ბერი ერთად, სწორედ ამისთვისაა საჭირო და აუცილებელი ღვთისა და ერის კაცის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ყურის გდება. დავუჯეროთ, ვირწმუნოთ და გავყვეთ ბოლომდე თავისუფლებისკენ მიმავალ ქრისტესმიერ გზაზე.

**ოთარ მიმინოშვილი,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

***რედაქციისგან: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ უერთდება ბატონ ოთარ მიმინოშვილის მოწოდებას ერისა და ბერის ერთად დგომის აუცილებლობის, ჩვენი სულიერი მამის — უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის წინამძღოლობით მხარდამხარ სვლის აუცილებლობის შესახებ.***

◉ ინფორმაცია

### კათოლიკოს-პატრიარქი ისლამურ ქვეყნებს ეწვევა

**17 აპრილს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ოფიციალური ვიზიტით ქუვეითისა და ბახრეინის რესპუბლიკებში გაემგზავრა. საქართველოს პატრიარქი აღნიშნული ქვეყნების რელიგიურ და სამთავრობო ლიდერებს შეხვდება.**

**ისლამურ ქვეყნებში მისი უწმინდესობის პირველი ოფიციალური ვიზიტია. ილია II იმ ქალაქებს მოინახულებს, სადაც ქართული კულტურის ძეგლებია განთავსებული.**

**„როდესაც ქრისტიანული რელიგიური ლიდერი ოფიციალური მოწვევით არაბულ ქვეყნებში მიდის, მის მიმართ საკმაოდ დიდი პატივისცემის გამოხატულებაა. მისი უწმინდესობის ავტორიტეტი უკვე გასცდა ქრისტიანული სამყაროს საზღვრებს“, — აღნიშნა საპატრიარქოს რელიგიათაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსმა ლელა ჯეჯელავამ.**

**ХО-ЭИВ-ЭНИ**

◉ სტუმარი აფხაზეთიდან

## ვის ეკუთვნის ოქრო?

**მარტის დასაწყისში თბილისს სტუმრად აფხაზი მხატვარი ზურაბ აჩბა ეწვია, საქართველოს ეკლესიების ჩახატვის მიზნით, რომლის გამოფენასაც უახლოეს დღეებში გეგმავს. ეს ფაქტობრივად პირველი ინიციატივა იყო აფხაზური მხრიდან, საქართველოთი დაინტერესებისა, რასაც ჩვენც სიამოვნებით შევხვდით.**

სტუმრის პატივსაცემად აფხაზეთის მხატვართა კავშირში წვეულება გაიმართა. მიუხედავად მცდელობისა სუფრაზე პოლიტიკას განვერიდებოდით, ეს მაინც ვერ მოხერხდა, როგორც ვერ მოხერხდა საერთო აზრის შეჯერება. სტუმარი კატეგორიულად ემიჯნებოდა პოლიტიკას, მე მხატვარი ვარ, პოლიტიკასთან არაფერი მესაქმება, პოლიტიკა ბინძური საქმეაო. თუმცა არ ეტყობოდა პოლიტიკისგან მაინცდამაინც დიდი სიშორე.

ზ. აჩბა ნამდვილი გუდაუთელი აფხაზია, უზომოდ შეყვარებული აფხაზეთსა და აფხაზებზე, მაგრამ, გარკვეული მიზეზების გამო, საომარ მოქმედებაში მას მონაწილეობა არ მიუღია. მსჯელობისა და კამათის ნიუანსებს, ბუნებრივია, ვერ ჩამოვთვლი, ასევე ვერ ჩამოვთვლი კითხვებს



ბ-ნ ზურაბისადმი, რომელიც ჯიუტად ამტკიცებდა, ომი ქართულმა მხარემ დაიწყო, აფხაზები სამშობლოს ვიცავდითო. მიუხედავად ამისა, შევამჩნიე, რომ კონფლიქტის მოწესრიგების ერთ-ერთ საშუალებად ურთიერთნდობის და პატივისცემის აღდგენა მიაჩნდა.

ბოლოს ზურაბმა დაძაბულობის განეიტრალების მიზნით, ასეთი აფხაზური იგავი მიამბო: ორი გლეხი ყანიდან ბრუნდებოდა, გზაში ერთს შეუმჩნევია, რომ ხის ძირას რაღაც ბზინავდა და მეორისთვის უთქვამს, ბიჭო, მიდი, აიღე, იქნებ ოქრო იყოსო. მეორე მისულა და მართლაც ოქრო უპოვია. იქვე გაჩენილა კითხვა, ვისი უნდა ყოფილიყო ნაპოვნი. გლეხი, რომელმაც ოქროს ბზინვარება შეამჩნია, ამტკიცებდა, მე მეკუთვნისო. მეორე კი ამტკიცებდა, ოქრო მე ავიღეო. გადაუწყვეტიათ სოფლის ბრძენისთვის მიემართათ. ბრძენმა ორივეს მოუსმინა, შენ მართალი ხარ და შენც, მაგრამ, ჭეშმარიტება და დავის სწორად გადაწყვეტა პატრონისთვის ოქროს დაბრუნება იქნებაო. ალბათ, ჩვენც — აფხაზებს და ქართველებს, იმ ორი გლეხისოდენა შეგნება რომ გვქონოდა, დავის გადასაწყვეტად იარაღს კი არ ავილებდით, არამედ ბრძენთან წავიდოდით ჭკუის დასარიგებლადო.

მერე დასძინა, ორ მოჩხუბარს შორის მტყუანი ყოველთვის ის არის, ვინც უფრო ბრძენიაო, ანუ ბრძენს უფრო მეტი მოეკითხებაო. რომელი მხარე მიაჩნდა უფრო ბრძენად, ბატონ ზურაბს, არ დაუკონკრეტებია და არც მე ჩავძიებივარ, მაგრამ მომეჩვენა, ამ კონფლიქტში უფრო ბრძენად და, ამდენად, უფრო დამნაშავედაც ქართველები მიაჩნდა.

**ლუდა აბსანძე,**
**საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული.**

ჩემი სულის საკმაოდ დიდი ნაწილი კი ისევ და ისევ ინატრიდა მაგიურ წრეებს, ტრანსცენდენტალურ ფორმულებს, საკმლის კმევას, წმინდა საკლავს. რასაც პეტრუსი „ძველთათვის პატივის მიგებას“ ეძახდა, ჩემთვის უკვე დავიწყებულ, ადრინდელ გაკვეთილებთან სამკურნალო და ფრიად გამამდიდრებული შეხვედრა იყო



ჩვენი ბიბლიოთეკა

ვიღაცამ ზარი დაარისხა, და ძველი კოშკის კამარებქვეშ რეკვის ნახმევი დაირხა. სუყველამ თავები დავხარეთ, და ამის გამო რაინდნი თვალთაგან დაგვეკარგნენ. და როს თავები ისევ წამოვწიეთ, ათნიღა ვიყავით დარჩენილი — ავსტრალიელი რაინდთ გაჰყოლოდა რიტუალურ ნადიმზე.

სამოსელი გამოვიცვალეთ და ერთმანეთს შინაურულად დავემშვიდობეთ. ცერემონია გვარიანად გაჭიანურებული იყო — უკვე თენდებოდა. ჩემი სული უსაზღვრო მარტოობამ მოიცვა.

ვიდექი და შევნატროდი ავსტრალიელს, რომელმაც თავისი მახვილი დაიბრუნა და გზის ბოლოს მიაღწია. მე კი კენტად დავრჩი, და ამიერიდან აღარც ვინმე ეტიკობას გამიწევდა და აღარც კიდევ ჩემს ვარსკვლავს წარმართავდა, რადგან ტრადიციამ — სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთ შორეულ ქვეყანაში არსებულმა, — უარმყო, მომიწყვიტა, ხოლო უკან დასაბრუნებელი გზა არ მიმასწავლა. და თუმცა სანტიაგოს უცხოგვარ გზას კი ვიყავი ადევნებული, რომელიც მართლაც სიარულმა დალია, მაგრამ ვერც ჩემი მახვილის საიდუმლო და ვერც იმისი პოვნის ხერხი ვერ შევიტყვე.

ზარი კი ისევ რეკავდა. კოშკიდან რომ გამოვედი, — უკვე კარგა გათენებული იყო, — მივხვდი, რომ რეკვის ხმა მახლობელი ეკლესიიდან ისმოდა და მრევლს ცისკრის ლოცვაზე უხმობდა. ქალაქი თვალებს იფშვნეტდა, იფხიზლებდა და ემზადებოდა სამუშაო კვირისთვის, უიღბლო სიყვარულისთვის, შორიელი ოცნებებისთვის, გაუსწორებელი ანგარიშებისთვის. და არც ზარს, არც ქალაქს აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ ამ ღამეს კიდევ ერთხელ გაიმართა ძველი რიტუალი და, რაც ასწლეულთა მანძილზე მკვდრად ითვლებოდა, ყოველივე კვლავ განაგრძობდა სიცოცხლეს, განახლებას და ადასტურებდა თავის მოურეველ ძალუმობას.

## სებრეირო

— Პილიგრიმი ხართ? — მკითხა პატარა გოგომ, გოგუცანამ, რომლის გარდა ამ პაპანაქება გადაშუადღევებულზე ვილიაფრანკა-დელ-ბიერსოს თითის სიგრძე ქუჩა-შუკაში ადამიანის ჭაჭანება არ იყო.

ხმა არ გამიცია, ისე შევხედე. გოგუცანამ — აბრანძული, თვალად რვა წლისა იქნებოდა — შადრევანთან მოირბინა, სადაც სულის მოსათქმელად ჩამოვჯექი.

ერთადერთი ჩემი საზრუნავი ის იყო, რაც შეიძლება რომ მალე მივსულიყავი სანტიაგო-დე-კომპოსტელაში და დამემთავრებინა ეს ჩემი ახირებული ხეტიალი. ვერა და ვერ ვივიწყებდი კოშკში ცერემონიის დროინდელ პეტრუსის ნაღვლიან ხმასა და გაუცხოებულ მზერას — მეჩვენებოდა, რომ რაც რამ იმან ჩემს დასახმარებლად იღონა, ყველაფერმა ფუჭად ჩაიარა. ავსტრალიელს საკურთხეველთან რომ მიუხმეს, უცებ რწმენა გამიჩნდა, პეტრუსს უნდა, რომ შემდეგი მე ვიყო-მეთქი. სულ ადვილად შეიძლებოდა ჩემი მახვილის ამ ლეგენდებითა და ძველი სიბრძნით გაცისკროვნებულ კოშკში აღმოჩენა, რადგან ის კოშკი სრულად აკმაყოფილებდა ყველა მოთხოვნას — დგომით უკაცრიელ ადგილას იდგა, თანაც წმინდა მიწაზე, სადაც მარტო ლოცვადმავალნი თუ ხვდებოდნენ.

მაგრამ საკურთხევლის წინაშე წარდგომა მარტოოდენ ავსტრალიელს ერგო წილად. და პეტრუსმა, უნდა ვიფიქროთ, თავი დამცირებულად იგრძნო, ვინაიდან ხელგამდგარი მეგზური გამოდგა, რომელმაც თავის მეურვეობაში მყოფს მახვილი ვერ აპოვნინა.

გარდა ამისა, ტრადიციის ცერემონიამ კვლავ განმიახლა დაფარული სიბრძნის ხიბლი, რაც უკვე გულიდან გადამვარდნოდა კიდეც სანტიაგოს უცხოგვარ გზას, ანუ „ჩვეულებრივ ადამიანთა“ გზას ადევნებულს. სულების გრძნებით შეკვრისა თუ შელოცვის ნიჭი, მატერიაზე თითქმის აბსოლუტური კონტროლი, სხვა სოფელქვეყნებთან კავშირი გაცილებით საგულისყურო იყო, ვიდრე RAM რიტუალები. არ გამოვრიცხავ, რომ ისინი ბევრად უფრო პრაქტიკულად წამადგებიან ჩემს ცხოვრებაში; არც ის არ მაეჭვებს, რომ თავადაც კარგა გვარიანად შევიცვალე იმ დროიდან, რაც სანტიაგოს უჩვეულო გზას ავედევნე. სულაც არა პეტრუსის დაუხმარებლად გავიგე, რომ შეძენილი ცოდნა მშველოდა ჩანჩქერთა დაძლევაში, მტრის დამარცხებაში, მაცნე-მაუწყებლებთან პრაქტიკულ და რეალურ საგნებზე საუბარში. სხვა არა იყოს რა, მოვიხილე ჩემი სიკვდილის ხატი და ქვეყნიერების ამავსებელი ყოვლისმომცველი სიყვარულის ცისფერი სფერო. და მზად ვარ ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ო მ შ ი ჩასაბმელად, რათა ჩემი ცხოვრება ერთ გაბმულ ძლევათა წყებად ვაქციო.




ჩემი სულის საკმაოდ დიდი ნაწილი კი ისევ და ისევ ინატრიდა მაგიურ წრეებს, ტრანსცენდენტალურ ფორმულებს, საკმლის კმევას, წმინდა საკლავს. რასაც პეტრუსი „ძველთათვის პატივის მიგებას“ ეძახდა, ჩემთვის უკვე დავიწყებულ, ადრინდელ გაკვეთილებთან სამკურნალო და ფრიად გამამდიდრებული შეხვედრა იყო. და მარტო იმის გაფიქრებაც კი, რომ ვაითუ სამუდამოდ, ხელგამოუბრუნებლად დამკარგოდა ამ სამყაროსთან მისადგომი ადგილი, თავგზას მიბნევდა და მრევდა.

ცერემონიის შემდეგ სასტუმროში რომ დავბრუნდი, პორტიემ ნომრის გასაღებთან ერთად „პილიგრიმის გზამკვლევიც“ გადმომცა: პეტრუსი ამ წიგნს მაშინ იყენებდა ხოლმე, როცა ფერგადასულ ყვითელ ნიშანთ თვალი კარგად ვერ არჩევდა, არადა საჭირო იყო მანძილის განსაზღვრა ერთი ქალაქიდან მეორემდე. და დილით უკვე დავაგდე პონფერადა — მთელი ღამე არც დამიძინია — და სანტიაგოს გზას გავუდექი. დღის ბოლოს აღმოვაჩინე, რომ რუკა ზუსტი არ იყო, — და ის ღამე ღია ცის ქვეშ გავატარე, კლდის ნაპრალში შეყუჟულმა.

მეტი რა საქმე მქონდა, ვიდექი და გავლილსა და ჩავლილზე ვფიქრობდი, ყველაფერი თვალწინ დავიყენე, რაც რამ მადამ დებრილთან შეხვედრის შემდეგ თავს გადამხდა, და ვერა და ვერ ვიშორებდი იმ ბეზარად წამოგონებულ ამბავს, თუ რა ჯიუტად ჩამაგონებდა პეტრუსი — იმის საწინააღმდეგოდ, რასაც მუდამ გვასწავლიდნენ და ჩაგვჩიჩინებდნენ, — მთავარი მხოლოდ შედეგიაო. რაოდენ ფარსაგი და საჭიროც არ უნდა იყოს ძალისხმევა, ყოველგვარი აზრი ეკარგება, თუ შედეგს რასმე ვერ მივაღწევთო. ჩემი ამდენი ხეტიალისა და ნანახ-განცდილის შედეგი კი მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამ შეიძლებოდა რომ ყოფილიყო — ჩემი მახვილის პოვნა. ის კი არა და არა ჩანდა. ამასობაში სანტიაგომდე ორიოდე დღის სავალი-ღა რჩებოდა.

— თუ პილიგრიმი ბრძანდებით, შენდობის ელამონთან, ანუ კარიბჭესთან მიგიყვანთ, — არ მეშვებოდა პატარა გოგო. — ვინც იმ კარიბჭეში გაივლის, უკვე შეუძლია, რომ სანტიაგოში აღარც წავიდეს.

აჰა შენ რამდენიმე პესეტი-მეთქი, ცოტაოდენი ფული გავუწოდე პატარა გოგოს, რათა ჩემთვის თავი დაენებებინა და თავის გზას სწეოდა. მაგრამ საქმეში ხარ! მან შადრევნის ჭავლს დაუწყო თამაში და იმდენი ქნა, ხალთაგუდაც დამისველა და ბერმუდებიც.

— წავიდეთ, წავიდეთ... — ერთსა და იმავეს იმეორებდა პატარა გოგო.

და ზედდატანებაზე წამომაგონდა პეტრუსის ერთ-ერთი საყვარელი გამონათქვამი: „მხვნელმა უნდა ხნას იმედით, მლეწავმა კი — წილის იმედით“. ეს იყო სიტყვები მოციქულ პავლეს წერილიდან.

და მაინც, ცოტა კიდევ საჭირო იყო ბრძოლა. ძებნა-ძიების ბოლომდე გაგრძელება და დამარცხების შიშზე გამარჯვება. მახვილის პოვნის იმედის შენარჩუნება. საიდუმლოს ამოცნობა.

და — ვინ იცის? — იქნებ ეს პატარა გოგო ისეთი რამის თქმას ცდილობდა, რისი გაგებაც არამც და არამც არ მენიაზებოდა. და შენდობის კარიბჭემ, ეკლესიაში დაყენებულმა, ეგება მართლაც ისეთივე სულიერი ზემოქმედება მოახდინოს, როგორსაც სანტიაგოში მისვლა მოახდენდა. ანდა ჩემი მახვილი თუ სულაც იქ არის?

— კარგი წავიდეთ, — ვუთხარი პატარა გოგოს.

მერე მთას გავხედე, საიდანაც ისის იყო დავეშვი: კვლავ უნდა ამევლო, ამეაღმართებინა. აქეთ მომავალმა ის შენდობის ელამონი კი გამოვიარე, ოღონდ არ დავგულისყურებულვარ, რამეთუ ჩემი ერთადერთი მიზანი სანტიაგოში მისვლა იყო. და აი ახლა, ზაფხულის ამ გავარვარებულ სადამოს, გზად მავანი გოგუცანა გადამეყარა, რომელიც აგრე ჯიუტად ისევ უკან მეწევა იმის გასაგებად, რაც ჩემი თვალოვნობის, ანუ ყურადღების ღირსადაც არა ვცანი. იქნებ მოჩქარეობამ და სულით დაცემამ მიხიმანეს და ამაცდინეს ჩემი მსხემობა-მოგზაურობის მიზანს? ბოლოს და ბოლოს, ფული რატომ არ გამომართვა და არ გაიქცა, თავის გზას არ ეწია პატარა გოგო?

პეტრუსი სულ იმას მეუბნებოდა, მეტისმეტად აღვირაწყვეტილი წარმოსახვა გაქვსო. მაგრამ ის რა, შეუმცდარი ხომ არ არის!..

პატარა გოგოს ადევნებული გზადაგზა შენდობის ელამონის ამბავს ვიხსენებდი. ვინაიდან ამ ადგილიდან მოკიდებული კომპოსტელამდე გზა მთის ხევხუვებს მისდევდა და ძნელად სავალი იყო, ეკლესია თითქოსდა ერთგვარად გაურიგდა ლოცვადმავალთ. XII საუკუნეში რომელიღაც პაპმა რომისამ განაცხადა: ვისაც სნეულებისა თუ სხვა რამ მიზეზისა გამო გზის განგრძობის თავი არა აქვსო, საკმარისია, რომ შენდობის ელამონი გაიაროს და ისევე მიეტევება და შეენდობა ცოდვები, როგორაც კომპოსტელაში მისულთო. ვითომც ჯადოსნური რამ ჯოხი გაექნიოს, ისე იოლად გადაწყვიტა იმ დალოცვილმა პონტიფიკემ ხიფათიანი მთის გზების პრობლემა და ახალ მსხემ-ლოცვადმავალთ შეასხა ფრთები.

იმავე ბილიკთ მივუყვებოდით, რომელთაც სულ ახლახან მოვდევდი, — მიხვეულ-მოხვეულთ და დაცერებულთ. პატარა გოგო წინ ისეთი წარმოუდგენელი სიმკვირცხლით მიხტოდა, რამდენიმეჯერ ვთხოვე კიდეც, ცოტა უფრო ნელა იარე-მეთქი. თავიდან მისმენდა, მაგრამ ძალიან მალე კარგავდა სიჩქარის შეგრძნებას და კვლავ დოსტოღრივ იწყებდა ფრენას. და ჩემი გაუთავებელი ჩივილ-წუწუნისა და თხოვნა-მოთხოვნის შემდეგ ნახევარ საათში მივატანეთ შენდობის კარიბჭეს.

— ეკლესიის კლიტე მე მაქვს, — თქვა პატარა გოგომ. — მე პირველი შევალ და კარიბჭეს გაგიღებ, რათა იქიდან შემოხვიდე.

გოგონა შიგნით შევიდა, მე კი გარეთ დავიწყე ტორღიალი. ეს ეკლესიაც არ იყო, უფრო მცირე ეგვტერი თუ ეთქმოდა, და ჩრდილოეთისკენ მიქცეული კარი ნიჟარებითა და წმინდა იაკობის ცხოვრების სცენებით ჰქონდა შემკობილი. საკლიტეში კლიტე რომ გაჩხაკუნდა, სად იყო, სად არა, ზედდატანებაზე ვეება გერმანული ქოფაკი გაჩნდა, მომეახლოვა და ჩემსა და კარიბჭის შუა აღმოჩნდა.

მთელი ტანსხეული უმალ დამეძაგრა, საბრძოლველად განმეწყო. „ისევ, — გავიფიქრე, — ჩანს, ამ ამბავს დასასრული არ ექნება. კვლავ განსაცდელი, ჭიდილი, დამცირება. მახვილზე კი ერთი გადაკრული სიტყვაც არ ისმის“.

მაგრამ უცებ, როგორც ძველად იტყოდნენ, განიხვნა შენდობის კარიბჭე, და ზღურბლზე პატარა გოგო გამოჩნდა. ქოფაკის დანახვისას, რომელიც თვალში თვალგაყრილი მიმზერდა, მან რამდენიმე ალერსიანი სიტყვა წარმოთქვა, და ძაღლს ერთბაშად დაუცხრა მძვინვარება. კუდი ააქიცინა და ეკლესიაში შერგო თავი.

ვინ იცის, პეტრუსი იქნებ სწორია და მართლაც ნამეტანს ვოცობოდობ? ჩვეულებრივი გერმანული ქოფაკი წამს ზებუნებრივ მხეცად გარდავსახე და საფრთხე დავინახე. ეს კარგის მომასწავებელი არ უნდა იყოს, უცილოდ დაღლილობის ნიშანია, რომელ დაღლილობასაც მარცხთან მივყავართ.

თუმცაღა, იმედი ჯერეთ კიდევ არის. გოგონამ უკან გამიყოლა. ვგრძნობდი, როგორ მევსებოდა მოლოდინით გული, და აგრე გადავაბიჯე ზღურბლს, რაც იმას ნიშნავდა, რომ მეც ისევე შემენდობოდა და მიმეტევებოდა ცოდვები, როგორც სანტიაგოს გზას დამწყემსებულ სუყოველ მსხემსა და ლოცვადმავალს.

იმ ერთი საგნის ძებნა-ძიებაში, რომელიც აგრერიგად მაგულისყურებდა, სულ მივჩხრიკ-მოვჩხრიკე თვალით მთელი ტაძარი, სადაც ერთი რა არის, ერთი წმინდანის აღალმაც კი არ იდგა.

— აქ თქვენ ხედავთ, რომ სვეტისთავებს ნიჟარის სახე აქვთ, — ექსკურსიამძღოლის ხმით დაიწყო პატარა გოგომ. — წმინდა აგედას ხატი განეკუთვნება...

და ძალიან მალე მივხვდი, რომ სულ ტყუილად ამოვბრუნდი აქ.

— ეს კი წმინდა იაკობ მეომრის ხატია, სპათაგანის. ხედავთ მახვილი მოუღერებია და თავისი ცხენის ფლოქვთ ათელინებს მავრთ. ეს ქანდაკება შექმნილია...

დიახ, ეგ სანტიაგოს მახვილია, ოღონდ არა ჩემი. მე კიდევ რამდენიმე პესეტი გავუწოდე ჩემს თანამგზავრს, მაგრამ მან არ გამომართვა. ცოტა არ იყოს, გაწყრა კიდეც, ახსნა-განმარტებას შეეშვა და, მიბრძანდითო, მითხრა.

კვლავ დავითავდაღმართე და კომპოსტელას მხარეს წავედი. ვილიაფრანკა-დელ-ბიერსოს ერთ დღეში მეორედ რომ ვკვეთდი, გზად კაცი ვინმე შემომხვდა, რომელმაც მითხრა, ანხელი* მქვიანო, და მკითხა, წმინდა იოსებ სასწაულმოქმედის ტაძრის ნახვას ხომ არ ისურვებდიო. ანხელის სახელის მაგიამ, ცხადია, თავისი ზემოქმედება იქონია, მაგრამ ჯერეთ წინა იმედის გაცრუება არ მომენელებინა და დავრწმუნდი, რომ პეტრუსი საოცრად ერკვეოდა ადამიანებში. ადამიანებს კი ერთობ იმის გამოგონება ახასიათებთ, რაც არ არსებობს და ვერცრა სასარგებლოს ვერ სწავლობენ იქიდან, რაც თვალწინ გვიძევს.

და ახლა — განსაკუთრებით იმის გულისთვის, რათა ეს ჭეშმარიტება ერთხელ კიდევ დამედასტურებინა — დავეთანხმე ანხელს ეკლესიაში ერთად წასვლაზე. მაგრამ ეკლესია დაკეტილი დაგვხვდა, გასაღები კი ანხელმა ვერ მოიძია. მან შესასვლელის თავზე გამოკვეთილი წმინდა იოსების ქანდაკი დამანახვა, წმინდანს ხელთ დურგლის სამუშაო იარაღი ეჭირა. ქანდაკი გულდაგულ შევათვალიერე, ჩემს მასპინძელს მადლობა ვუთხარი და რამდენიმე პესეტი შევთავაზე. მან ფულზე უარი თქვა და დაატანა:

— როგორ გეკადრებათ, ფულის გულისთვის სულაც არ მომიყვანიხართ. აქაურთ გვეამაყება ჩვენი ქალაქი.

მე კვლავ ჩემს ძველ გზას დავუბრუნდი და თხუთმეტ წუთში უკან მოვიტოვე ვილიაფრანკა-დელ-ბიერსო თავისი ქუჩებიანად, კარიბჭეებიანად და იდუმალ გიდებიანად, რომელნიც მომსახურებისთვის არაფერს არ იღებენ.

* ანხელი — ესპანურად „ანგელოზს“ ნიშნავს.

თარგმნა
გურამ გოგიაშვილმა

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 32-43, 45-66.

№ 68. ოთხშაბათი, 18 აპრილი, 2007 წელი.

● დიღმელები იმედს მაინც არ კარგავენ, რომ მთავრობა მათ პრობლემებს გარკვეულ ყურადღებას დაუთმობს – აქ უკვე იყო ხალხი შესაბამისი უწყებიდან, ტერიტორია გაასუფთავეს, მალე „ბასეინს“ დაქლორავენ, ქვემოთ მოტორს ჩადგამენ და ერთ-ორ კვირაში წყალი გვექნებაო“...



◎ გიხაროდენ!

# მთავრობა თავს იკლავს?

**რა უნდა გვიხაროდეს, კაცო, გაიკვირვებს მკითხველი, მთავრობა თურმე თავს იკლავს და ჩვენ სიხარულისგან ცაში უნდა დავფრინავდეთ? მაგრამ მე ხომ არ მითქვამს, რომ მთავრობას თოკი უკვე ჩამოზმული აქვს და სადაცაა ყულფში თავს გაყოფს. არა, ბატონებო, ტყუილუბრალოდ ნუ აღელდებით, საამისოდ მთავრობა ვერც საკუთარ თავს გაიმეტებს და ვერც ხალხს გაწირავს.**

უბრალოდ იმის თქმა მინდოდა, რომ ხალხის მიერ არჩეული მთავრობა იმავე ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვაში ათენ-აღამებს, როგორც იტყვიან, დღესა და ღამეს ასწორებს, გველის ტყავში ძვრება, შრომით თავს იკლავს, რომ დანაპირები შეასრულოს და ოპოზიციას საყაყანო და საქილიკო არ მისცეს.

მაგრამ ოპოზიცია რის ოპოზიციაა, თუ ყველაფერს, რაც ჩვენს გარშემო ხდება, ვარდისფერი სათვალით უყურა. ამას წინათაც ბატონმა ზვიად ძიძიგურმა საგაზაფხულო ხვნა-თესვაში ოფლით გახვითქულ მთავრობას კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ის ხალხის მიერ არის დაქირავებული და მოვალეა შეასრულოს ყველა ის დაკვეთა, რაც თავის დროზე ხალხმა მას მისცა.

ეს უკვე მეტისმეტია, კაცი მთლად უმადური და დაუნახავი, უფრო სწორად, ორივე თვალით ბრმა უნდა იყო, რომ საქართველოს ჭაბუკ მთავრობას, რომელმაც მთელ მსოფლიოში პირველი რეფორმატორის სახელი მოიპოვა, დანაპირების შესრულება შეახსენო!

იქნებ დააკონკრეტონ ოპონენტებმა, მთავრობამ კერძოდ რომელი დაპირება ან დაკვეთა არ შეასრულა? აკი ვთქვი, რეფორმის ჩატარებაში მთელ დუნიაზე ბადალი არ მოეძებნება, ვერც ეკონომიკისა და უმუშევრობის ზრდაში დაექადნება ვინმე. თანაც, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უმუშევრობა ეკონომიკისგან დამოუკიდებლად კი არა, მასთან პირდაპირპროპორციულად იზრდება, რასაც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ვერც ერთი მაღალგანვითარებულ ქვეყანაში ვერ შეხვდებით.

მთავრობას ვერც ხელფასების ზრდაში დავწამებთ უსულგულობას. ვინმეს მისთვის სიძუნწე რომ არ დაებრალებინა, პირველ რიგში საკუთარ ანაზღაურებაზე იზრუნა – პენსიები რომ გააორმაგა, თავად ხელფასები გაიასმაგა. აბა როგორ, ხალხისგან დაქირავებულ მთავრობას, რომელიც თავწახრილი სულმოუთქმელად შრომობს, შესაბამისი დაფასება და სტიმული ხომ უნდა ჰქონდეს! რატომ უნდა ფიქრობდეს ხალხი, რომ მთავრობა დაჩაგრული ჰყავს, ყოველდღიური მონური შრომისთვის იმდენს არ იღებს, რამდენსაც იმსახურებს?

ქვეყანაში ინფლაცია რომ ჰაიჰარად იზრდება, ვერც ამაში მოვდებთ შარს მთავრობას., ვერა, იმიტომ, რომ ინფლაცია, როგორც წესი, ეკონომიკის ზრდის თანმდევი პროცესია. აი, ეკონომიკა რომ ეცემოდეს და ინფლაცია მატულობდეს, მაშინ კიდევ შეიძლებოდა ხმის ამოღება. ახლა კი, როცა საქართველოში ეკონომიკა ყოველწლიურად 10 პროცენტით იზრდება, ინფლაცია კი რაღაც 9,2 პროცენტით, ცუდის სათქმელად ენა როგორ მოგიტრიალდება!

ეგ კი არა, ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, ეს რაღაც ინფლაცია რომ არ ეხმარებოდეს მთავრობის წევრებს, როგორ შეძლებდნენ ისინი ამხელა ხელფასების გახარჯვას? პენსიონერებს კიდევ რა უჭირთ, დრო თავზე საყრელად აქვთ, არც ბაზრებში სიარული უჭირთ და არც გაორმაგებული თანხის ხარჯვა, მაგრამ მთავრობას ინფლაცია რომ არ ედგეს შემწედ, ეს პრობლემა ნამდვილად კისერს წაამტვრევინებდა.

ასე რომ, მთავრობას მოსაკუნტი და საბოდიშო არაფერი სჭირს, პირიქით, მას შეუძლია მიღწეულით იტრაბახოს, იბაქიბუქოს, მაგრამ ამას არ აკეთებს ჯერ ერთი, იმიტომ, რომ თავმდაბალია, და მეორეც, იმიტომ, რომ შრომაში თავჩარგულს სალაქლაქოდ და საპიაროდ არა სცალია, ამით სარგებლობს ოპოზიცია და ხალხს პიარკამპანიებით „აბოლებს“.

ფაქტები? რამდენიც გნებავთ:

ოპოზიციამ ბოლო დროს საამისოდ კარგად გამოიყენა დედაქალაქის მერიის გონივრული თაოსნობა – საცხოვრებელ კორპუსებში დააყენონ წყლის ხარჯვის მაფიქსირებელი საერთო მრიცხველები. პიარით გაბერილ ბევრ თბილისელს ამის გაგონებაც კი არ სურს, არადა, ქალაქის მერიას საკმაოზე მეტი არგუმენტაცია აქვს იმისათვის, რომ კორპუსების გამრიცხველიანების პერსპექტივა და სარგებლიანობა დაასაბუთოს. კომპანია „თბილისის წყლის“ გენერალური დირექტორის გეგი ქელბაქიანის განმარტებით, უბრალოდ საზოგადოებას გაცნობიერებული არა აქვს ამ ღონისძიების არსი და მნიშვნელობა და ამიტომ არის უკმაყოფილო. არადა, ის (გამრიცხველიანება‚ მისი აზრით მოსახლეობას ზარალს კი არა სარგებლიანობას მოუტანს – საერთო მრიცხველის წყალობით მომხმარებელი უფრო ზნეობრივი და საკუთარი თავისადმი მომთხოვნი გახდება, ის მსწრაფლ შეაკეთებს მოშლილ ონკანებს, მომჭირნედ დახარჯავს წყალს, რითაც პირად სახსრებსაც დაზოგავს და მეზობლისასაც. მაშ რატომ ხართ, ბატონებო, საერთო მრიცხველის წინააღმდეგი, მას ხომ თქვენს სასარგებლოდ აყენებენ და არა საზარალოდ?

ან რატომ გგონიათ, რომ ავტობუსებითა და მეტროთი მგზავრობის ღირებულების გაორმაგება თქვენს ფინანსურ მდგომარეობას გააუარესებს? ხომ აგიხსნეს, რომ მრავალჯერადი მოხმარების ბარათების წყალობით ტრანსპორტის მუდმივ მომხმარებელთათვის მგზავრობის ფასი იგივე დარჩება და ის მხოლოდ იმათთვის გაიზრდება, ვინც იშვიათად მგზავრობს. თქვენც ნუ იზარმაცებთ, მთელ დღეს ხან ავტობუსში ჩაჯექით, ხან მეტროში და დიდ მოგებას გამოჰკრავთ ხელს (!ძ ასევე დიდად მოგებული დარჩებიან ის მაცხოვრებლებიც, რომლებიც ისტორიულ უბნებში ბინადრობენ, თუ უარს არ იტყვიან მათი ბინების სარეაბილიტაციოდ მოსაკრებლის დაწესებაზე. ნუ წამოეგებით ოპოზიციონერთა ანკესზე, თითქოს მთავრობას თქვენი ბინებიდან გაყრა და იქ უცხოელი მილიონერების ჩასახლება სურდეს. პირიქით, ისტორიული უბნების განახლება თქვენ მოგცემთ შანსს, რაღაც კაპიკები დახარჯოთ, თქვენი ბინების ღირებულება კი ასმაგად გაზარდოთ.

ნუ დაკარგავთ ჩვენი მთავრობის კეთილგონიერებით მოპოვებულ ამ ისტორიულ შანსს!

რა თქმა უნდა, მთავრობას, ამ დიდ მიღწევებთან ერთად, რაც მთელმა მსოფლიომ უკვე აღიარა, აქვს ნაკლიც, უფრო სწორად, ხელისუფლებას კი არა აქვს ნაკლი, როგორც გიგა ბოკერია განმარტავს, მის ნაკლად ის უნდა ჩაითვალოს, რომ სუსტი ოპოზიცია ჰყავს.

და აი, ოპოზიცია უკვე იწყებს გაძლიერებას, კერძოდ, ლეიბორისტული პარტია ხალხს საყოველთაო გაფიცვისა და მთავრობის გადაყენებისკენ მოუწოდებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ მთავრობა ოპოზიციის გააქტიურებას ამჯერადაც ხალხის სასარგებლოდ გამოიყენებს იმ ერთადერთ ნაკლსაც, რაზეც ბოკერია მიუთითებს, უმოკლეს დროში გამოასწორებს.

მე თქვენ გეტყვით, მუშაობა გაუჭირდება ან გონიერება აკლია!

**ოთარ ხუციშვილი**

◎ ინფორმაცია

## სუბარი მხარს უჭერს



**სოზარ სუბარი პოლიტიკური მოძრაობა „იმედის“ მიერ გამართულ საპროტესტო აქციასა და სახალხო დამცველის ოფისში პარტიის წევრების მიერ დაწყებულ შიმშილობას ეხმაურება.**

**როგორც სუბარმა განაცხადა, ეთანხმება აქციის მონაწილეების პოზიციას, რომ სამშობლოს ღალატის ბრალდებით დაკავებული იგორ გიორგაძის მომხრეთა პროცესი ღია უნდა იყოს.**

**„ერთადერთი რაშიც „იმედის“ თავმჯდომარეს ირინა სარიშვილს ვეთანხმები აღნიშნული საკითხია. არ არის კანონიერი და მიზანშეწონილი, რომ სასამართლო პროცესი სრულად იხურება“,– აღნიშნა სუბარმა, რომელიც სამშობლოს ღალატში ბრალდებულების ადვოკატებისგან პროცესის დახურვის შესახებ მოსამართლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს ელოდება.**

**„ამ დოკუმენტის გაცნობის შემდეგ ჩემთვის უფრო ნათელი გახდება, იყო თუ არა მოტივირებული და დასაბუთებული პროცესის დახურვის გადაწყვეტილება. ამ ეტაპზე პროცესის დახურვაზე ჩემი უარყოფითი აზრი მაქვს. გადაწყვეტილების გაცნობის შემდეგ კი იურიდიულად შემეძლება შეფასება გავაკეთო“,–აღნიშნა სუბარმა.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ სოფელი

# დიღომში ზოგი წვიმის წყალს სვამს, ზოგი – „ნაბეღლავს“

**30 წელიწადია უწყლობით იტანჯება სოფელი დიღომი, მაგრამ უარესი ის არის, ჭირსაც რომ ეჩვევა ადამიანი და ისე ითავისებს, ბრძოლის სურვილიც კი ეკარგება. სხვას რას შეიძლება მიეწეროს ამ სოფლის ოცდაათწლიანი მოუგვარებელი პრობლემა?**

დიღომი ადრე მცხეთის რაიონს ეკუთვნოდა, მალე ვაკე-საბურთალოს გადასცემენ და სწორედ მაშინ ელიან საშველს დიღმელები.

მეტს მოველოდი, მაგრამ არც თუ უინტერესო გამოდგა მათთან საუბარი – წყალი არა აქვთ, თუმცა სარეცხისთვის ხევიდანაც ეზიდებიან, აი, დასალევს რაც შეეხება, ზოგმა წვიმის წყალი დალია და... ზოგიც „ნაბეღლავს“ მიირთმევს – ვისაც რისი საშუალება აქვს!

მოსახლეობას შიშის სინდრომი 30 წლის განმავლობაში ვერ გადაულახავს და საკუთარი პრობლემების ირგვლივ თვითონვე უჭირთ საუბარი – თავს მარიდებენ და აქტიურ რესპოდენტებსაც მალავენ. სოფელში 12 ათასი სული ცხოვრობს და... ერთი კაცი ძლივს ალაპარაკდა. მისი ნაამბობიდან გავიგე, რომ მათ წყლის პრობლემაზე არანაკლებ გაზის პრობლემა აწუხებთ. არა აქვთ ბუნებრივი გაზი. სხვა სახის საწვავი, მოგეხსენებათ, საკმაოდ ძვირია და ამის გამო 2000 სასათბურე მეურნეობა გაუქმებულია – ... ახლა რომ ბუნებრივი გაზი გვქონდეს, ეს 2000 სათბური კიტრით, პამიდვრითა და სხვადასხვა სახის ბოსტნეულით არა მხოლოდ თბილისის, მთლიანად საქართველოს ბაზრებს უზრუნველყოფდა, – ზხამქიმიკატებით სავსე ბოსტნეული რომ შემოაქვთ გარედან – თქვა მან. რაც მართალია, მართალია – ვინ არ ისურვებდა დიღმის განთქმული, სალი და პიკანტური ხილ-ბოსტნეულით გაჯერებულ ქართულ ბაზრებს?! თურმე, სულ მილიონი ლარია საჭირო, რომ ეს ჩანაფიქრი განხორციელდეს დ სოფლის მთლიანი გაზიფიცირება მოხდეს, შედეგად კი, სულ ცოტა 10 ათასი კაცი მაინც დასაქმდება. მოგეხსენებათ, დღევანდელ საქართველოში ნებისმიერ ხელისუფლებას გაუჭირდებოდა ამდენი ხალხის ერთდროულად დასაქმება.

როგორც მითხრეს, მთავრობას ამის თაობაზეც მიმართეს – **„იმედი გვაქვს, მოგვხედავენ, თუ არ მოგვხედავენ, ისტორიამ არაერთი მაგალითი გვიჩვენა იმისა, თუ როგორ იცვლება ცუდი მთავრობა ახლით. ასე, რომ, უკმაყოფილო მასას ველარავინ მოერევა, უკმაყოფილება კი მძიმე სოციალური ფონის შესაბამისად დღითი დღე იზრდება – გავუძელით კომუნისტებს, შევარდნაძის მთავრობას. უწყლობას, უგაზობას... მეტის მოთმენას აღარ ვაპირებთ, თუმცაღა ისიც გვესმის, წლების მანძილზე გაფუჭებული საქმე ერთ დღეში რომ ვერ გამოსწორდება“...**

დიდი ყურადღება ეთმობა დღეს კულტურული დასვენებისა და სპირტული ობიექტების მშენებლობასა და მოწყობას. სოფელი დიღომი აქაც ყურადღების მიღმა დარჩენილა – არც ერთი მოედანი, კლუბი, თუ კულტურული დასვენების სხვა საშუალებები აქ არ არსებობს. რაც შეეხება სკოლის შენობას, ისეთ სავალალო მდგომარეობაშია, შორიდან დანახვაც კი დაგაფრთხობთ (!ძ... სამაგიეროდ, ნაკლებია კრიმინალი.

...„ჩვენ თვალყური გვიჭირავს მოზარდებზე და ხშირი შეკრებისა და საუბრების შედეგია ის, რომ მძიმე დანაშაული აქ თითქმის არ ხდება – მეუბნება ჩემი „ინკოგნიტო“ რესპონდენტი, რომელმაც ვინაობის გამხელა არა და არ ისურვა, თუმცა განათლების სფეროში არსებულ პრობლემებს გვერდი ვერ აუარა:

**„რა საჭიროა სკოლაში სექსუალური ცხოვრების სწავლება, არ სჯობს ეკლესიური გაკვეთილები ჩაუტარონ ბავშვებს და ღვთის შიში და სიყვარული ჰქონდეთ?, ადამიანს ღმერთის უნდა ეშინოდეს, თორემ, მეორე ადამიანი ვერ შეაშინებს, ახლა იძულებით ან „ვლასტით“ ვერავინ ვერავის შეიაშინებს, ეს უფრო დიდ აგრესიას იწვევს და აგერ შედეგიც – ყოველდღე ახალ-ახალი მკვლელობის ფაქტებს გვაცნობენ ტელევიზიით“.**

– პრეტენზიებს რა გამოგვილევს მთავრობისა და ხელისუფლების მიმართ – „ისეთი ცუდი ხასიათის ბავშვი ვიყავი მე და მამაჩემი ერთმანეთს ვერ ვეგუებოდით, აგრძელებს ჩემი რესპონდენტი, 15 წლისა სახლიდან წავედი, ძალიანაც დიდი სურვილი ჰქონდა მამას, რომ თავის ჭკუაზე ვეტარებინე, მაგრამ ჩემთან არაფერი გაუვიდა. დანა მაშინაც გვედო ჯიბეში და ჩხუბიც ხდებოდა, მაგრამ ჩემი დანაშაულისთვის, ისეთი პატიოსანი და მშრომელი კაცი, როგორიც მამაჩემი იყო, ციხეში როგორ უნდა ჩაესვათ?! ახლა კი შვილმა რაღაც დააშავა, მამებს რას ერჩიან, შვილი დასაჯონ. იმის ნაცვლად, რომ მოზარდები რაიმეთი დაასაქმონ და გამოასწორონ, პირიქით, არასრულწლოვანთა ასაკი 12 წლამდე სურთ დაიყვანონ და ბავშვები დააპატიმრონ, ასე არაფერი გამოსწორდება, ხალხი თუ არ დასაქმდა, ბუნებრივია, დანაშაულის რიცხვი უფრო და უფრო გაიზრდება“...

დიღმელები იმედს მაინც არ კარგავენ, რომ მთავრობა მათ პრობლემებს გარკვეულ ყურადღებას დაუთმობს – აქ უკვე იყო ხალხი შესაბამისი უწყებიდან, ტერიტორია გაასუფთავეს, მალე „ბასეინს“ დაქლორავენ, ქვემოთ მოტორს ჩადგამენ და ერთ-ორ კვირაში წყალი გვექნებაო“...

თუკი მხოლოდ ეს იყო საჭირო და 30 წელი ვერ მოხერხდა, მართლაც „შეჩვეული ჭირის“ სინდრომს უმოქმედია, ყოველ შემთხვევაში, „იმედი გვაქვსო“ და ისინიც ელიან... თუ მოლოდინმა ფუჭად არ ჩაუარათ!

**ანა ბოლქვაძე**

№ 68. ოთხშაბათი, 18 აპრილი, 2007 წელი.

# გადასახედი

**ბატონი ილიას მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა ნათელი მაგალითია მეცნიერების ერთგულებისა, თავისი ქვეყნის და ხალხის უანგარო სამსახურისა**



**◎ უკვდავი სახეები**

# სამი დიდი პრეზიდენტი

## 2. ილია ვეკუა — გამოჩენილი მეცნიერი და მამულიშვილი

**აკადემიკოსი ილია ვეკუა 1964 წელს გავიცანი, როდესაც ის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. ბატონ ილიასთან პირველივე შეხვედრამ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს იყო მასშტაბური, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების ადამიანი მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობით.** ბედნიერი ვარ, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში ვმუშაობდი ბატონ ილიასთან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში და მასთან ერთად მიხდებოდა ყოფნა მივლინებებში — მოსკოვში, ერევანსა და ბაქოში, აგრეთვე ხანმოკლე გასვლებში რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში.

სამურზაყანოს (დღეს — გალის რაიონი) სოფელ შეშელეთის მკვიდრთ ნესტორ ვეკუასა და მის მეუღლეს ლიზას 1907 წლის 23 აპრილს შეეძინათ ვაჟი, რომელსაც ილია დაარქვეს. ოჯახის სიყრმის შვილს წილად ხვდა გამხდარიყო მსოფლიოში განთქმული მათემატიკოსი, მეცნიერების დიდი ორგანიზატორი და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე.

1925 წელს წარმატებით დაამთავრა ზუგდიდის საშუალო სკოლა და იმავე წლის შემოდგომაზე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. მათემატიკა მას სკოლის წლებშივე იზიდავდა თავისი სიზუსტით და მსჯელობათა შინაგანი ლოგიკური თანამიმდევრობით.

ეს იყო ის დრო, როდესაც თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ ნიკოლოზ მუსხელიშვილი, გიორგი ნიკოლაძე, ანდრია რაზმაძე და არჩილ ხარაძე. სწორედ მათი წყალობით ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ჩინებულად ისწავლებოდა მათემატიკის წამყვანი დარგები.

ქართველ ახალგაზრდა მათემატიკოსთა დიდი ჯგუფი უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, ბატონი ნიკო მუსხელიშვილის თაოსნობით, ასპირანტურის გასავლელად მოსკოვისა და ლენინგრადის სამეცნიერო ცენტრებში გაიგზავნა.

1930 წლის ოქტომბერში შევიდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში, რომელიც მაშინ ლენინგრადში იყო. მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკა-მათემატიკის ინსტიტუტსა და ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ დროს მუშაობდნენ გამოჩენილი მათემატიკოსები, სახელგანთქმული პეტერბურგის მათემატიკური სკოლის ტრადიციების სახელოვანი გამგრძელებლები: ი. ვინოგრადოვი, ნ. გიუნტერი, ნ. კოჩინი, ა. კრილოვი, ვ. სმირნოვი და სხვ.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ (1933 წელი) საქართველოში ბრუნდება და მუშაობას იწყებს თბილისის უნივერსიტეტში დოცენტის თანამდებობაზე. აქ ის არა მარტო ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას ეწევა, არამედ სასარგებლო ორგანიზაციულ საქმეებსაც წყვეტს.

1935 წელს ი. ვეკუა ახალგახსნილ მათემატიკის ინსტიტუტში ინიშნება სწავლულ მდივნად, 1936-1938 წლებში მუშაობს საქართველოს ფილიალის გეოფიზიკის ინსტიტუტში განყოფილების გამგედ, 1940-1941 წლებში — მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ, ხოლო 1940-1944 წლებში — უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანად.

1937 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „დრეკად რხევათა გავრცელება უსასრულო შრეში“, ხოლო ორი წლის შემდეგ, 32 წლის ასაკში — სადოქტორო დისერტაცია: „ელიფსური ტიპის დიფერენციალურ განტოლებათა ამოხსნების კომპლექსური წარმოდგენა და მათი გამოყენება სასაზღვრო ამოცანებში“.

1944 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად ირჩევენ, ამ დროისთვის ის უკვე ცნობილი მეცნიერია.

1946 წელს აირჩიეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

აკადემიკოსი ი. ვეკუა იმ გამოჩენილ მათემატიკოსთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა მეცნიერული ასპარეზი ფართო და მრავალწახნაგოვანია. „ნიჭიერ ქართველ მათემატიკოსთა შორის, — წერდა აკადემიკოსი ს. სობოლევი, — რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს საბჭოთა მათემატიკური მეცნიერების განვითარებაში, ილია ვეკუას სახელი ბრწყინავს როგორც პირველი სიდიდის ვარსკვლავი“.



ეკლიანი და ძნელია დიდი მეცნიერის ცხოვრების გზა. სერიოზული დაბრკოლებები და სიძნელეები ამ გზაზე ი. ვეკუასაც ხვდებოდა, მაგრამ მისი დიდი ტალანტი, ნებისყოფა და მკაფიო ორგანიზებულობა მუშაობაში ყოველთვის იმარჯვებდა. უფრო მეტიც, როგორც მისი კოლეგები აღნიშნავდნენ, სწორედ მის ცხოვრებაში ამ გზაზე წარმოშობილი სიძნელეების დროს შეინიშნებოდა განსაკუთრებით დიდი შემოქმედებითი აღმავლობა, სწორედ ცხოვრებაში ამ გზაზე წარმოშობილი სირთულეების დროს შექმნა მან საუკეთესო მეცნიერული ნაშრომები.

1951 წლის შემოდგომის მიწურულს ი. ვეკუა ოჯახთან ერთად გაემგზავრა მოსკოვში და მუშაობა დაიწყო ცენტრალური ჰიდროაეროდინამიკური ინსტიტუტის (ცაგი) განყოფილების გამგედ. პარალელურად იყო მოსკოვის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის თეორიული მექანიკის კათედრის გამგე.

ი. ვეკუას გამოკვლევები, რომლებიც შეეხება ანალიზურ კოეფიციენტებიან ელიფსური ტიპის დიფერენციალურ განტოლებებს, მისი მოწაფეების ზოგიერთ შედეგებთან ერთად, თავმოყრილია მონოგრაფიაში „ელიფსურ განტოლებათა ამოხსნის ახალი მეთოდები“ (რუსულ ენაზე), რომელიც 1948 წელს გამოიცა მოსკოვში და 1950 წლის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია დაიმსახურა.

1952 წელს, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ზუსტი მექანიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა მ. ლავრენტიევმა ბატონი ილია მიიწვია თავის მოადგილედ მეცნიერების დარგში. აქ ორი წლის განმავლობაში შემოქმედებით თანამშრომლობაში განმტკიცდა ი. ვეკუას მეგობრობა მსოფლიოში ისეთ განთქმულ მეცნიერებთან, როგორებიც იყვნენ მ. ლავრენტიევი და ს. ლებედევი.

1955 წელს ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკური ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა ი. ვინოგრადოვმა ბატონი ილია მიიწვია თავის მოადგილედ ამ თანამდებობიდან წასულ აკადემიკოს მ. კელდიშის ადგილზე.

ი. ვეკუას სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო მოღვაწეობამ მაღალი შეფასება მიიღო. 1957 წელს იგი აირჩიეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად).

1959 წელს მოსკოვში გამოქვეყნდა ილია ვეკუას ფუნდამენტური მონოგრაფია — „განზოგადებული ანალიზური ფუნქციები“ (რუსულ ენაზე), რომელშიც თავმოყრილია ავტორისა და ზოგიერთი მისი მოწაფის გამოკვლევები განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორიაში და ამ თეორიის სხვადასხვა გამოყენებაში. ამ მონოგრაფიისათვის ილია ვეკუას 1963 წელს ლენინური პრემია მიენიჭა.

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ 1959 წლის იანვარში მიიღო გადაწყვეტილება ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების შესახებ, რომლის პირველ რექტორად ილია ვეკუა დაინიშნა.

ჩვეული ენერგიით შეუდგა ი. ვეკუა ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის შექმნასთან დაკავშირებულ ამოცანათა მთელი კომპლექსის პრაქტიკულ განხორციელებას. მისი ხელმძღვანელობით ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტი გადაიქცა ერთ-ერთ წამყვან უმაღლეს სასწავლებლად, უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების სამჭედლოდ საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთ რაიონებისთვის.

1964 წლის ნოემბერში მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი თბილისში ბრუნდება. ამავე წელს ბატონი ილია აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად. ამ დროიდან მან მთლიანად დაუკავშირა თავისი საქმიანობა რესპუბლიკაში მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების შემდგომი განვითარების საქმეს.

1965 წლის დეკემბერში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად ინიშნება. მისი ხელმძღვანელობით გაფართოვდა და განმტკიცდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ახალგაზრდებს შორის ამაღლდა სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის დონე, დამთავრდა საუნივერსიტეტო კომპლექსის მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ეტაპი.

1972 წლის მაისში აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტად აირჩიეს, ხოლო მისი მოწაფე აკადემიკოსი ილია ვეკუა — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად.

აქაც, პრეზიდენტის თანამდებობაზე მთელი სისრულით გამომჟღავნდა ი.ვეკუას განსაკუთრებული ნიჭი, მისი უდიდესი ცხოვრებისეული გამოცდილება, სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობის დიდი პრაქტიკა.

1973 წელს ი.ვეკუას ირჩევენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრად.

იყო სამეცნიერო კადრების შესანიშნავი აღმზრდელი. ყველგან, სადაც კი იგი მოღვაწეობდა — თბილისში, მოსკოვსა და ნოვოსიბირსკში — თავის გარშემო ნიჭიერ ახალგაზრდობას იზიდავდა, რომელთაც შრომის, ძიების, მეცნიერული მუშაობის დიდ სიყვარულს უნერგავდა. ბატონმა ილიამ მეცნიერთა მთელი პლეადა აღზარდა.

მისმა მრავალფეროვანმა სამეცნიერო და ორგანიზატორულმა, პედაგოგიურმა და საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ მაღალი შეფასება მიიღო. მინიჭებული ჰქონდა შრომის გმირის წოდება, დაჯილდოებული იყო მთავრობის უმაღლესი ჯილდოებით, სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრი გახლდათ.

1984 წელს (სიკვდილის შემდეგ) მეორედ მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მონოგრაფიისათვის — „გარსთა თეორიის სხვადასხვა ვარიანტების აგების ზოგიერთი ზოგადი მეთოდი“. ეს ნაშრომი, ერთი წლის შემდეგ, ინგლისურად გამოიცა ლონდონში.

ბატონი ილიას მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა ნათელი მაგალითია მეცნიერების ერთგულებისა, თავისი ქვეყნის და ხალხის უანგარო სამსახურისა. მეცნიერის უდიდესმა ავტორიტეტმა, მისმა ადამიანურმა თვისებებმა მას საყოველთაო პატივისცემა და სიყვარული მოუპოვა.

**ლევან მგალობლიშვილი,**
**ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

(დასასრული იქნება)

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 64.**

# სხვადასხვა

• „დავით გარეჯში“ VIII-XIV საუკუნის ფრესკებია, იქ ყველგან მხოლოდ ქართული წარწერებია, იქვე ვნახავთ თამარ მეფის ფრესკას, აზერბაიჯანულ ენაზე კი მხოლოდ იმ წარწერებს თუ შევხვდებით, რომლებიც ფრესკებზე ამოკაწრეს ვაი-ტურისტებმა“



◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## შეუთანხმებლობა მონასტრების გამო

**საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მწიფდება სასაზღვრო კონფლიქტი. სტრატეგიულ მოკავშირეებს ვერ გადაუწყვეტიათ „დავით გარეჯის“ სამონასტრო კომპლექსის ბედი. თბილისი ბაქოს სთავაზობს ტერიტორიების გაცვლას, რათა შეინარჩუნოს ეს წმინდა ადგილი, მაგრამ ბაქო დათმობას არ აპირებს.**

ორი ათეული მონასტერი და კლდეში ნაკვეთი რამდენიმე ასეული სენაკი, მართლაც რომ, წმინდა ადგილად



ითვლება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისთვის. მაგრამ მუსლიმანი აზერბაიჯანელები ასე არ ფიქრობენ. მათ მიაჩნიათ, რომ კომპლექსის ტერიტორიაზე განლაგებული რამდენიმე მონასტერი არის კავკასიის ალბანეთის დროის ძეგლები, ანუ, აზერბაიჯანელთა აზრით, ეს მათი წინაპრების კულტურული მემკვიდრეობაა.

თავდაპირველად ბაქომ და თბილისმა სცადეს კონფლიქტის მოგვარება. ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ სსრ კავშირის დროს „დავით გარეჯის“ კომპლექსი მოექცა ორი რესპუბლიკის ტერიტორიების საზღვარზე, რაც იწვევს სამართლებრივ კოლიზიას. საქართველოს პრეზიდენტის თქმით, მიმდინარეობს კონსულტაციები და არის იმედი, რომ მხარეები შეძლებენ გამოსავლის პოვნას.

მაგრამ შემდეგ კამათში ჩაერია აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხალაფ ხალაფოვი. მისმა გამონათქვამმა თბილისში დიდი აღშფოთება გამოიწვია. ხალაფოვმა კატეგორიულად უარყო თბილისის იდეა ტერიტორიების გაცვლის შესახებ, სადავო მონაკვეთი „ალბანური ეკლესიად“ მოიხსენია და გამოთქვა გაოცება, თუ რატომ უწოდეს ქართველებმა კომპლექსს „დავით გარეჯა“.

საქართველოს საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურმა გელა ბეჟუაშვილმა, რომელიც ვერ მალავდა აღშფოთებას, აზერბაიჯანელ კოლეგას მსოფლიო ისტორიის წაკითხვა ურჩია. მაგრამ ოპოზიციას მაინც მიაჩნია, რომ ხელისუფლება სათანადოდ არ რეაგირებს „მეზობლების პროვოკაციაზე“. ოპოზიციონერები მიხეილ სააკაშვილს გუნდს „ეროვნული ინტერესების“ ღალატში ადანაშაულებენ, რადგან, მათი აზრით, ხელისუფლებას სურს მართლმადიდებლური სიწმინდეები გაცვალოს ნავთობზე, გაზსა და შეღავათიან კრედიტებზე.

„დავით გარეჯში“ VIII-XIV საუკუნის ფრესკებია, იქ ყველგან მხოლოდ ქართული წარწერებია, იქვე ვნახავთ თამარ მეფის ფრესკას, აზერბაიჯანულ ენაზე კი მხოლოდ იმ წარწერებს თუ შევხვდებით, რომლებიც ფრესკებზე ამოკაწრეს ვაი-ტურისტებმა“, – აღშფოთებული აცხადებდნენ თბილისში, აზერბაიჯანის საელჩოს წინ გამართული მიტინგის მონაწილეები.

საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, გამონახოს გამოსავალი ამ დიპლომატიურ-რელიგიური ჩიხიდან, მაგრამ ამაოდ. მაგალითად, კულტურის სამინისტრომ გამოთქვა წინადადება, რომ „დავით გარეჯის კომპლექსი“ გადაიქცეს „ღია ტურისტულ ზონად“. ეს იქნება თავისებური ნეიტრალური ტერიტორია, რომელიც დაექვემდებარება როგორც თბილისს, ისე ბაქოს. მაგრამ ამის წინააღმდეგ გაილაშქრა ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ. საქმე ის არის, რომ „დავით გარეჯში“ ცხოვრობენ ბერები, კომპლექსის წინამძღვრად კი თვით სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე ითვლება. ასეთ შემთხვევაში ლაპარაკიც კი ზედმეტია ტურიზმზე, პიკნიკებზე და მწვადზე...

არსებობს კიდევ ერთი ვარიანტი, რომელიც გამოთქვა აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ. ამ ვარიანტის თანახმად, „დავით გარეჯა“ სამონასტრო რესპუბლიკად უნდა გამოცხადდეს, ისევე როგორც საბერძნეთში, ათონის მთაზე არსებული სამონასტრო კომპლექსი. აზერბაიჯანში ჯერჯერობით არანაირი რეაგირება არ მოუხდენიათ ამ წინადადებაზე.

**ალექსანდრე იაშვილი**

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

◉ საქველმოქმედო კონცერტები

## „ჯადოსნური ხმები“ კეთილი საქმის სამსახურში

**15 აპრილს, კვირაცხოვლობას, პროდიუსერ თამაზ ქაჯაიას თაოსნობით, პროფკავშირების კულტურის ცენტრში ზედიზედ ორი საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა. კონცერტებს ესწრებოდნენ აღსაზრდელები „მომავლის სახლიდან“ (ამ ბავშვების დასწრება ასოციაცია „ჯადოსნური ხმების“ მიერ გამართულ ღონისძიებებზე უკვე ტრადიციად არის ქცეული).**

მაყურებელი გამორჩეული სიყვარულით შეხვდა ბოლნისის რაიონის დაბა კაზრეთის I საჯარო სკოლის ანსამბლს „მართვეს“. პატარა ხელოვანთა მიერ შესრულებულ ეროვნულ ცეკვებს გულგრილი არავინ დაუტოვებია. არაერთი საინტერესო კოლექტივი წარსდგა იმ დღეს მაყურებელთა წინაშე: ქორეოგრაფიული ანსამბლები „მზიური“ და „მიმინო“ (გორის რაიონიდან), მუსიკალური თეატრი „ჭინჭრაქა“. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ნიჭიერი, პატარა მომღერლები – ალეკო ნალეხაშვილი და თეონა ჩერქეზია, ანი ილურიძე და ლიკა კოშცევა, მარიამ აბულაძე, ბოკა კვეკვესკირი და ნინო მეფარიძე... ქორეოგრაფიულმა ჯგუფებმა „ვიქტორიამ“ და „ვაილდ სტაილმა“, რომელიც „მომავლის სახლის“ აღსაზრდელებით არის დაკომპლექტებული, კიდევ უფრო გამოაცოცხლეს დარბაზი.

საღამოს პროგრამა დაამშვენეს ანსამბლებმა „ლომისმა“ და „ივერიელმა“, შოუ-ბალეტმა „ფანტაზიამ“ და ანსამბლმა „მადლმა“... თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა სიმღერებს ასრულებდნენ – გიორგი კვატაშიძე, მარი ლორია, სალომე სვანაძე, გიორგი ნაზღაიძე, საქველმოქმედო კონცერტებში ტრადიციულად მონაწილეობა მიიღეს ყველასათვის ცნობილმა, პატარა მომღერალმა – ბაჩომ, ზურა დოიჯაშვილმა, ნუგზარ კვაშალმა, გურამ ჯაშმა და სხვებმა...

ანსამბლ „მართვეს“ ხელმძღვანელმა გია ტატიშვილმა აღნიშნა, რომ მას ორი ქორეოგრაფიული ანსამბლი ჰყავს – დმანისსა და დაბა კაზრეთში. „მართვე“ ძირითადად უმცროსი ასაკის ბავშვებით არის დაკომპლექტებული. **„სამწუხაროდ, რაიონში უამრავი პრობლემაა, კულტურის სახლიც კი არ არის ნორმალური, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც ვახერხებთ არსებობას. 4 წელია ვთანამშრომლობთ ასოციაცია „ჯადოსნურ ხმებთან“ და მის ხელმძღვანელთან – თამაზ ქაჯაიასთან. ძალიან გვიჭერს მხარს კაზრეთის I საჯარო სკოლის დირექტორი იზოლდა აფაქიძე. რაც შეეხება ფორმებს, ჩვენი ბავშვებისათვის ისინი შეიძინა კულტურის ცენტრის ხელმძღვანელმა მერაბ ბერძენიშვილმა. ასეთი ადამიანების დამსახურებაა, რომ რეგიონებში ქართული ხელოვნება ჯერ კიდევ არ ჩამკვდარა“,** – ამბობს ბატონი გიორგი ტატიშვილი.

ასოციაცია „ჯადოსნური ხმების“ ხელმძღვანელის თამაზ ქაჯაიას თქმით, კეთდება დიდი ეროვნული საქმე: ამ ბავშვების ჩამოყვანა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან და მათი წარდგენა ფართო საზოგადოებრიობის წინაშე ძალიან დიდი სტიმულია მათთვის. ასეთი ბავშვების წარმოჩენა იძლევა იმედს, რომ ქართულ კულტურას, ხელოვნებას საიმედო მომავალი ეზრდება.

**ხათუნა ჩიგოგიძე**



## პოლონეთი და საქართველო შეთანხმების მიღწევას ცდილობენ

**პოლონეთი კვლავ ცდილობს იმის მიღწევას, რომ კასპიის რეგიონიდან და ცენტრალური აზიიდან ევროპაში ენერგოშემცველების მიწოდება განხორციელდეს რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით.**

16 აპრილს, თბილისში ვიზიტის დროს, პოლონეთის პრეზიდენტმა ლეხ კაჩინსკიმ თავისი ქართველი კოლეგა მიხეილ სააკაშვილი მიიწვია ვარშავაში, სადაც 11-12 მაისს უნდა გაიმართოს ენერგეტიკის საკითხებისადმი მიძღვნილი სამიტი. ამ ღონისძიებაზე დასასწრებად მიწვეულები არიან ასევე უკრაინის, აზერბაიჯანის და ყაზახეთის მეთაურები, თუმცა, ყაზახეთის პრეზიდენტს ნურსულთან ნაზარბაევს ჯერჯერობით არ გამოუთქვამს თანხმობა სამიტში მონაწილეობაზე.

საქმე ეხება ოდესა-ბროდის ნავთობსადენის გაყვანას პლოცკამდე და გდანსკამდე, რათა ნავთობის შესყიდვა მოხდეს ყაზახეთსა და აზერბაიჯანში, მისი ტრანსპორტირება კი განხორციელდეს საქართველოს ტერიტორიის გავლით – შავი ზღვის სანაპირომდე, საიდანაც ამ ნედლეულს ტანკერებით ჩაიტანენ ოდესამდე და ჯერჯერობით ვირტუალური ნავთობსადენით გადატუმბავენ ბალტიის რეგიონისკენ.

საქართველო მხარს უჭერს ამ იდეას. მაგრამ როგორც საქართველოს ეკონომიკური უშიშროების ასოციაციის თავმჯდომარემ გიორგი ხუხაშვილმა განაცხადა, „ამ გეგმის განხორციელება ძალზე გაძნელდება რუსეთის მხრიდან წინააღმდეგობის გამო, რომელიც დიდი ზემოქმედებას ახდენს ყაზახეთზე. გარდა ამისა, არც თურქეთი უნდა დაგვავიწყდეს, ქვეყანა, რომელსაც ასევე სურს გახდეს ევროპაში ენერგეტიკული მარშრუტების საკვანძო გამანაწილებელი“.

პოლონეთში მომავალი ვიზიტის დროს მიხეილ სააკაშვილი გახსნის ქართველი მეომრების მემორიალს, რომლებიც იოზეფ პილსუდსკის მხარდამხარ იბრძოდნენ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ (პილსუდსკი სათავეში ედგა პოლონეთს 1919-22 წლებში), აგრეთვე მეორე მსოფლიო ომის დროს ებრძოდნენ გერმანელ ფაშისტებს პოლონეთის ტერიტორიაზე.

**მიხეილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ
НОВОСТЕЙ

№ 68. ოთხშაბათი, 18 აპრილი, 2007 წელი.

რეკლამა 98-96-32;
„საქართველოს რესპუბლიკაში" 899 328576



# შპს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს კონკურსს

## შპს „საქართველოს რკინიგზის“ კუთვნილი №№1054, 1456, 1457 სატრანსფორმატორო ქვესადგურების (შემდგომში „საიჯარო ქონება“) იჯარის ფორმით, გადაცემის მიზნით

***1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები***

• **საიჯარო ქონების იურიდიული მისამართი** – ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2

• **საიჯარო ქონების დახასიათება:**

– №1054 სატრანსფორმატორო ქვესადგური შედგება შემდეგი დანადგარებისაგან: ტრანსფორმატორი (ტმ-250/6, გ/წ 1978), ტრანსფორმატორი (ტმ-250/6, გ/წ 1985), 6 ცალი გამთიშველის კომპლექტი (კსო-266, გ/წ 1977), 4 ცალი გამთიშველის კარადა (შო-59, გ/წ 1977), 1200 მეტრი ალუმინის ბრონ. სადენი (ასბ 3X240);

– №1456 სატრანსფორმატორო ქვესადგური შედგება შემდეგი დანადგარებისაგან: 2 ცალი ტრანსფორმატორი (ტმ-1000/6, გ/წ 1986), 2 ცალი ტრანსფორმატორი (ტმ-630/6, გ/წ 1985), 17 ცალი გამთიშველის კომპლექტი (კსო-272, გ/წ 1986), 4 ცალი გამთიშველის კარადა (შო-70, გ/წ 1987), 23 ცალი გამთიშველის კარადა (პდო-77, გ/წ 1986), 3400 მეტრი ალუმინის ბრონ. სადენი (ასბ 3X240);

– №1457 სატრასფორმატორო ქვესადგური შედგება შემდეგი დანადგარებისაგან: 2 ცალი ტრანსფორმატორი (ტმ-630/6, გ/წ 1986), 3 ცალი გამთიშველის კომპლექტი (კსო-366, გ/წ 1974), 4 ცალი გამთიშველის კარადა (შობ-59, გ/წ 1987), 600 მეტრი ალუმინის ბრონ. სადენი (ასბ 3X185);

• **საწყისი თვიური საიჯარო ქირა** 1000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში, დღგ-ს გარეშე.

• **„ბე“** 1000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში.

• **იჯარის ვადა** 48 წელი.

• **განაცხადების მიღების ადგილი –** ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, ტელ.: 56-33-51, 56-33-61, 56-47-47.

• **განაცხადების მიღების ვადა –** 2007 წლის 18 აპრილიდან 2007 წლის 2 მაისის ჩათვლით, 12.00 საათიდან 17.00 საათამდე.

• **კონკურსის ჩატარების თარიღი (მონაწილის წინადადებების შემცველი კონვერტების გახსნის თარიღი) ადგილი და დრო –** 2007 წლის 3 მაისი. ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, 14.00 საათი.

• **შპს „საქართველოს რკინიგზის“ საბანკო რეკვიზიტები –** „ბანკი რესპუბლიკა“, ცენტრალური ფილიალი, ა/ა №3407003205, ბანკის კოდი №220101757, საიდენთიფიკაციო კოდი №202886010.

• **კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ –** საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

***2. კონკურსის პირობები***

• მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის ყოველთვიურად გადახდა.

• მოიჯარე ვალდებულია საჭიროებიდან გამომდინარე, თავისი სახსრებით განახორციელოს საიჯარო ქონების მიმდინარე და კაპიტალური რემონტი, რათა საიჯარო ვადის განმავლობაში შენარჩუნებული იქნეს მისი ნორმალური მდგომარეობა.

• მოიჯარემ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა დაიცვას ტექნიკური უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, უზრუნველყოს საიჯარო ქონების მოვლა-პატრონობა, აგრეთვე იმგვარად ისარგებლოს აღნიშნული ქონებით, რომ საფრთხე არ შეუქმნას სარკინიგზო მოძრაობასა და მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილებას შენობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. თუ მოიჯარის ბრალეული ქმედებით შენობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ზიანი მიადგა მესამე პირებს, მოიჯარე ვალდებულია აუნაზღაუროს მათ ეს ზიანი.

• იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ საიჯარო ქონება უბრუნდება შპს „საქართველოს რკინიგზას“ ნორმალური ფუნქციონირებისათვის ვარგის მდგომარეობაში. ამასთან, სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე დახარჯული თანხები მოიჯარეს არ აუნაზღაურდება.

• იჯარის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის №1-1/209 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ“ დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომა.

***3. საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმები***

• საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმია მაქსიმალური საწყისი საიჯარო ქირის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საიჯარო ქირას და საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება

***4. იჯარის ხელშეკრულების დადება***

• კონკურსის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს „საქართველოს რკინიგზასთან“ გააფორმოს იჯარის ხელშეკრულება, რომელიც უნდა დამოწმდეს ნოტარიული წესით. ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმების და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯებს ფარავს მოიჯარე.

• მოიჯარე ვალდებულია, ყოველ 6 თვეში ერთხელ, შპს „საქართველოს რკინიგზას“ წარუდგინოს ანგარიში იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

• სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მოიჯარე იღებს გაფრთხილებას წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად. ამასთან, თუ მოიჯარე დაარღვევს საიჯარო ქირის გადახდის ვადებს, იგი ჯარიმდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე თვიური საიჯარო ქირის 0,1%-ის ოდენობით (ჯარიმა მოიჯარეს ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე).

• თუ გაფრთხილებით გათვალისწინებულ ვადაში მოიჯარე არ აღმოფხვრის დარღვევას ან უარს განაცხადებს ჯარიმის გადახდაზე შპს „საქართველოს რკინიგზას“ უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს იჯარის ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში მოიჯარე კარგავს გაწეული ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

***5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები***

• დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს საიჯარო ქონების დასახელება და კონკურსანტის თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე.

• კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ. წინადადებები საიჯარო ქირის შესახებ მოცემული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის სახით. დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე (ასეთი წინადადებები არ განიხილება).

• „ბე“-ს გადახდის ქვითარი („ბე“ გადაიხდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით).

• კონკურსში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

• იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.

• კონკურსში მონაწილეთა ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.

• გადაწყვეტილება კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ ცხადდება, როგორც წესი, კონვერტის გახსნის დღეს. ამასთან, საკონკურსო კომისიას უფლება აქვს გადაწყვეტილება საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს კონვერტის გახსნიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

• კონკურსი ითვლება არშემდგარად, თუ კონკურსის გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი ან წარმოდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის პირობებს.

***6. შენიშვნები და დათქმები***

• თვიური საიჯარო ქირის ოდენობა, მეიჯარის მოთხოვნით, შეიძლება გადაიხედოს ყოველ 2 წელიწადში ერთხელ, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანოს მიერ დადგენილი ეროვნული სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით, რისთვისაც ბაზისად აღებული იქნება იჯარის ხელშეკრულების გაფორმების დღე. ამასთან, საიჯარო ქირა არ შეიძლება შემცირდეს მოცემული საკონკურსო პირობებით განსაზღვრულთან შედარებით.

• საიჯარო ქირის გადახდა ხორციელდება ანგარიშსწორების მომენტისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო კურსის მიხედვით.

• მოიჯარეს გადახდილი „ბე“ ჩაეთვლება ანგარისწორებისას.

• განაცხადის შემოსვლის თარიღი განისაზღვრება მისი რეგისტრაციის თარიღით.

• თუ განაცხადების მიღების ბოლო დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღის იმავე საათზე.

• მეიჯარეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეუფერხებლად დაათვალიეროს იჯარით გაცემული ქონება, მათ შორის შეამოწმოს ტექნიკური უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მდგომარეობა.

**საიჯარო ქონებისა და კონკურსის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს „საქართველოს რკინიგზაში“.**

***შპს „საქართველოს რკინიგზა“***

№ 68. ოთხშაბათი, 18 აპრილი, 2007 წელი.

# დღის ამბები

● პოლიტიკური მოძრაობა „იმედი“ და მისი ხელმძღვანელი ირინა სარიშვილი კვლავ შიმშილობის აქციას იწყებენ



## ◉ ინფორმაცია

### საქართველოს ელჩი აზერბაიჯანის პრეზიდენტს შეხვდა

**გუშინ აზერბაიჯანში საქართველოს ახლად დანიშნულმა და საგანგებო ელჩმა ნიკოლოზ ნათბილაძემ აზერბაიჯანის პრეზიდენტს ილჰამ ალიევს რწმუნებათა სიგელები გადასცა.**

შეხვედრისას მხარეებმა სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს და გარკვეული დეტალებიც შეათანხმეს.

აღინიშნა, რომ სამომავლოდ საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობები უფრო გაღრმავდება.

### სკოლებში სასწავლო პროცესი არ შეწყვეტილა

**უმაღლესი სასწავლებლები და სკოლები ლეიბორისტული პარტიის მოწოდებას გაფიცვის შესახებ არ გამოეხმაურნენ.**

როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, გუშინ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესი არ შეწყვეტილა.

— სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები არ გამოხმაურებიან ოპოზიციის მოწოდებას. მოსწავლეები და სტუდენტები დილიდან გამოცხადდნენ თავიანთ სასწავლებლებში, — განაცხადა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა მარიკა გერსამიამ.

ამასთან, სკოლაში გუშინ მხოლოდ ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარის შალვა ნათელაშვილის შვილები არ გამოცხადებულან. თბილსის მე-20 საჯარო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის ქეთი იაკობაშვილის განცხადებით, სკოლის სხვა მოსწავლეები ჩვეულებისამებრ დაესწრნენ გაკვეთილებს.

### ირინა სარიშვილმა შიმშილობა დაიწყო



**პოლიტიკური მოძრაობა „იმედი“ და მისი ხელმძღვანელი ირინა სარიშვილი კვლავ შიმშილობის აქციას იწყებენ.** პარტიის წევრები ჯერ უზენაეს სასამართლოსთან, შემდეგ კი სახალხო დამცველის ოფისთან თეატრალიზებულ საპროტესტო აქციასაც გამართავენ.

### თურქი ინვესტორები ჰესებით დაინტერესდნენ

**თურქი ინვესტორები აჭარაში მცირე და საშუალო ჰესების მშენებლობას გეგმავენ.** პროექტის დეტალები თურქეთის ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის წარმომადგენლებმა აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს ლევან ვარშალომიძეს უკვე გააცნეს. პირველ ეტაპზე თურქი სპეციალისტები აჭარაში არსებულ წყლის პოტენციალს შეისწავლიან და მხოლოდ ამის შემდეგ დაზუსტდება ის მდინარეები, რომლებზეც მომავალში თურქი ენერგეტიკოსები ჰიდროელექტრო სადგურებს ააშენებენ.

### სასტუმროს ანგრევენ — ლტოლვილებს ქუჩაში ყრიან

**ქუთაისში სასტუმრო „ქუთაისში“ მცხოვრებმა დევნილებმა საპროტესტო აქცია გამართეს.**

ამის მიზეზი ის გახდა, რომ სასტუმროში განთავსებულ 80 ოჯახს ადმინისტრაციამ შენობის დატოვება მოსთხოვა.

სასტუმრო „ქუთაისი“ ერთი წლის წინათ გაიყიდა. დევნილებს ინვესტორმა 4500 აშშ დოლარი შესთავაზა, აქციის მონაწილეები ამ თანხის 10 000 აშშ დოლარამდე გაზრდას ითხოვენ და წინააღმდეგ შემთხვევაში, შენობის დატოვებას არ აპირებენ.

არსებული ინფორმაციით, პირველი მაისიდან ინვესტორი სასტუმროს ნგრევასა და რეკონსტრუქციას იწყებს.

### ტრენინგი გუდაურში

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ტრენერთათვის გუდაურში, ოთხდღიანი ტრენინგი მიმდინარეობს.**

როგორც იუსტიციის სამინისტროდან იტყობინებიან, სწავლება შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტის „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დახმარების ფარგლებში“ ხორციელდება.

ღონისძიება იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გივი მიქანაძემ და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა კობა ღლონტმა გახსნეს.

მათ ხაზი გაუსვეს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის განვითარებისათვის აღნიშნული პროექტის მნიშვნელობას.

ტრენინგში სასწავლო ცენტრის 20 ტრენერი მონაწილეობს. ისინი სწავლების საერთაშორისო აპრობირებულ მეთოდებს და ამ კუთხით უცხოური ქვეყნების გამოცდილებას ეცნობიან.

### გვესტუმრნენ იტალიელი მეღვინეები

**გუშინ საქართველოს ხუთდღიანი ვიზიტით 20 იტალიელი მეღვინე ესტუმრა.**

იტალიელი მეღვინეები ღვინის კომპანია „შუმს“ დაათვალიერებენ და ღვინის დეგუსტაციაშიც მიიღებენ მონაწილეობას, რომელიც წინანდალში გაიმართება.

იტალიელი მეღვინეები კახეთში ორ დღეს დარჩებიან და „თელიანიველისა“ და „თელავის ღვინის მარანსაც“ მოინახულებენ.

### „კომანდოს“ ბატალიონში ჯარისკაცი დაიჭრა

**თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში „კომანდოს“ ბატალიონის დაჭრილი ჯარისკაცი შოთა ვარდუკაძე მოათავსეს.**

მედპერსონალის ინფორმაციით, დაჭრილი საავადმყოფოს მიმღებში სასწრაფო დახმარების მანქანამ გვიან ღამით მიიყვანა. მათივე განცხადებით, დაჭრილს გულ-მკერდისა და მუცლის არეში მიყენებული ცეცხლნასროლი ჭრილობები აღენიშნებოდა.

მკურნალი ექიმის ნოდარ მაისურაძის თქმით, პაციენტს ჩაუტარდა ოპერაცია და ამჟამად მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

დაჭრილის ოჯახის წევრების განცხადებით, ვარდუკაძე ვაზიანის სამხედრო ბაზაზე დაიჭრა, სადაც იგი მსახურობს.

### სტუდენტთა სარეზერვო კურსი დასრულდა

**კახეთის რეგიონის 510-მა სტუდენტმა თელავში 18-დღიანი სავალდებულო სარეზერვო კურსი გუშინ დაასრულა.**

კურსის დასრულება მათ თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის უფროსმა ნიკა ჯანჯღავამ, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგებმა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიულოცეს და შესაბამისი სერტიფიკატები გადასცეს.

ეროვნული გვარდიის სარდლის განცხადებით, ახალგაზრდებმა 18 დღის განმავლობაში სამხედრო, ტაქტიკური, საინჟინრო და სამედიცინო მომზადება გაიარეს.

### ექიმები ატესტაციას გაივლიან



**თბილისის სასწრაფო დახმარების ექიმებს სასწავლო რესურსცენტრში თეორიული და პრაქტიკული გადამზადების კურსი უტარდებათ.**

როგორც გუშინ თბილისის ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა ქაცარავამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სამი თვის განმავლობაში სამასი ექიმი ერთკვირიანი ტრენინგების შემდეგ ატესტაციასაც გაივლის.

მისი განმარტებით, თუ ექიმი ატესტაციის დროს დადებით შედეგს აჩვენებს, მათ სერტიფიკატები გადაეცემათ და „03“-ში განაგრძობენ სამსახურს.

ექიმთა ტრენინგების პრეზენტაციასა და პრესკონფერენციას „03“-ის ახალი უფროსი ივა ყაჭიურიც დაესწრო, რომლის ინფორმაციით, უახლოეს პერიოდში „03“-ის სერვისი თბილისის მოქალაქეებს თანამედროვე ევროპული სტანდარტებით მოემსახურება. მოხდება სასწრაფო-სამედიცინო დახმარების გადაიარაღება, კომპიუტერიზაცია, ახალი შენობა-ნაგებობების აშენება და ახალი რეანიმობილებისა თუ სასწრაფო დახმარების მსუბუქი მანქანების შეძენა, რისთვისაც ტენდერი უკვე გამოცხადებულია.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

## ◉ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვარ 86 წლის, დამსახურებული ჟურნალისტი, პერსონალური პენსიონერი, დაჯილდოებული შრომის ვეტერანის მედლით, მარტოხელა, რეპრესირებული და შემდგომში რეაბილიტირებული. არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარე (სამი მედლით დაჯილდოებულიძ. ჩემი დამსახურების მიხედვით, მეკუთვნის თუ არა ხელისუფლებიდან ყოველთვიურად თუნდაც 20 ლარი?**

**ანა კეკუა**

**პასუხი:** შეკითხვაში აღნიშნული პიროზების მიხედვით, თქვენი შრომითი წარსულისა და დამსახურების მქონე პიროვნებას, ჩემი აზრით, მაღალი პენსია და სხვადასხვა შეღავათები გეკუთვნით, მაგრამ მთავარია, როგორ არის გადაწყვეტილი ეს საკითხი მოქმედი კანონით: — თუ თქვენ პენსიას იღებთ, როგორც რეპრესირებული (ე.ი. პირი, რომელმაც უშუალოდ განიცადა პოლიტიკური რეპრესია და შემდგომში იქნა რეაბილიტირებულიძ, მისი ოდენობა ყოველთვიურად 50 ლარი უნდა იყოს. გარდა ამისა, დამატებით გეკუთვნით თვეში 7 ლარი კომუნალური მომსახურების გადასახადების დასაფარავად. პერსონალური პენსიის ოდენობა დღეს მოქმედი კანონით იგივეა, რაც ჩვეულებრივი, სახელმწიფო პენსია. პენსიის გარდა ყოველთვიური სოციალური დახმარება ერთსულიან (მარტოხელაძ ოჯახზე, თვეში 30 ლარის ოდენობით მოქმედი კანონით



მხოლოდ იმ პენსიონერებს ენიშნებათ, რომლებიც დარეგისტრირებული არიან სიღატაკის დაძლევის პროგრამასთან დაკავშირებით მოქმედ ერთიან ბაზაში და მოიპოვებენ შესაბამის სარეიტინგო ქულას. ზოგადი პასუხისათვის ბოდიშს გიხდით, ვინაიდან თქვენს შეკითხვაში აღნიშნული პირობები არ გვაძლევს უფრო კონკრეტული პასუხის მოცემის შესაძლებლობას.

* * *

**კითხვა: დავკარგე შრომის წიგნაკი 30 წლის საერთო სტაჟით. შრომის წიგნაკის აღსადგენად მივმართე სახელმწიფო არქივს (ვმუშაობდი ვაჭრობის სისტემაში მაღაზიის დირექტორადძ, არქივიდან გამგზავნეს ეკონომიკის სამინისტროში. იქ მითხრეს, ვერ მოგეხმარებით, ვინაიდან სავაჭრო ორგანიზაციებს მუშაკთა მონაცემები არ გადმოუციათო. გთხოვთ, გამარკვიოთ, ვის მივმართო?**

**როლანდ მაჭავარიანი**

**პასუხი:** შრომის წიგნაკის დაკარგვის შემთხვევაში, საჭიროა თავდაპირველად პიროვნებამ წერილობით მიმართოს შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებას, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ აღნიშნული ორგანო ოფიციალურად დაადასტურებს წიგნაკის დაკარგვის ფაქტს, დაინტერესებული პირი აღნიშნული საბუთითა და განცხადებით მიმართავს იმ დაწესებულებას, სადაც იგი მუშაობდა, — მისცენ შრომის წიგნაკის დუპლიკატი, რომელსაც კანონის მიხედვით, იგივე ძალა აქვს, რაც მის დედანს. თუ აღნიშნული ვერ მოხერხდება, მხოლოდ საარქივო მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ოფიციალური ცნობების აღება თქვენი შრომითი საქმიანობის შესახებ (ზუსტი თარიღებისა და დანიშვნა-გათავისუფლების ბრძანებების მითითებით), რომელსაც შრომის სტაჟის დადასტურების დროს იგივე ძალა ექნება, როგორც შრომის წიგნაკს.

თუ სახელმწიფო არქივში თქვენი შრომის სტაჟის დამადასტურებელი საბუთები არ აღმოჩნდა (იმის გამო რომ არ გადაუციათძ, გირჩევთ მიმართოთ ადგილობრივ არქივს.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

# სპორტი

— ბულგარეთში იმედიანად მივემგზავრებით, — მითხრა 2006 წლის მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების მეორე პრიზიორმა დავით ბედინაძემ. — ბიჭები ჯანზე არიან, კარგი საწვრთნელი შეკრება გავიარეთ და, ფორტუნამ ზურგი თუ არ გვაქცია, შარშანდელი შედეგები უნდა გავაუმჯობესოთ. მე, მაგალითად, ყველაფერი გავაკეთე საიმისოდ, რომ წინა წლების დანაკლისი ავინაზღაურო



**ორბიტაზე**



## სირბილით — რეანიმაციაში!

**ნიდერლანდებისთვის აპრილის უჩვეულო სიცხეების გამო — (25 გრადუსიძ დროზე ადრე შეწყდა როტერდამის ტრადიციული მარათონი. ორგანიზატორებმა ეს გადაწყვეტილება მიიღეს, რადგან ბევრი მონაწილე სტოვებად დისტანციას, ბევრი მათგანი ქალზე შეაწუხა გაუწყლოების სიმპტომებმა, თუმცა მარათონის მთელი ტრასის გასწვრივ სასმელი წყლის უამრავი პუნქტი იყო. დაახლოებით ოცამდე მარათონელი გადახურების გამო საავადმყოფოში მოხვდა, მათგან ორი — პირდაპირ რეანიმაციაში.**

იმ სპორტსმენების გადასაყვანად, ვინც ფინიშს ვერ მიაღწია, ავტობუსები გააგზავნეს. როგორც მარათონის საორგანიზაციო კომიტეტის თავკაცმა მარიო კადიკსმა განაცხადა, მარათონის ყველა მონაწილე მაინც მიიღებს პრიზს, იმისდა მიუხედავად, თუ სად შეწყვიტა მან სირბილი.

თუმცა სპორტსმენთა ელიტური ჯგუფი მაინც მივიდა ფინიშთან. გაიმარჯვა 34 წლის კენიელმა ჯოშუა ჩალანგამ, რომელმაც 42 კმ და 195 მეტრი 2 საათში, 8 წუთსა და 21 წამში გაირბინა. ქალებიდან პირველი იყო იაპონელი ხირომი ომინამი (2, 11, 03 სთძ. სტარტზე კი 7700 მორბენალი გავიდა.

## საჩოგბურთო ბატალიები

**ჩალსტონში დამთავრდა 1 კატეგორიის ქალთა საჩოგბურთო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი მილიონ 340 ათასი დოლარი იყო. ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სერბი ელენა იანკოვიჩი და რუსეთელი დინარა საფინა.**



22 წლის ელენამ მატჩი დიდი აღმავლობით ჩაატარა და გაიმარჯვა კიდევაც — 6:2,6:2. მის კარიერაში ეს მესამე დიდი გამარჯვებაა.

ჰიუსტონში კი ვაჟთა ტურნირზე, 416 ათას დოლარიანი საპრიზო ფონდით, თავის პირველ დიდ წარმატებას მიაღწია 28 წლის ხორვატმა ივო კარლოვიჩმა. მან არგენტინელი საბალეტა დაამარცხა — 6:4, 6:1.

**ველოსპორტი**

# წინ შავი ზღვა და აფრიკაა

**თბილისსა და რუსთავში დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი საგზატკეცილო ველოსპორტში. საასპარეზოდ თბილისის, ქუთაისისა და აჭარის 60 სპორტსმენი გამოვიდა. ისინი ორ ასაკობრივ ჯგუფში ცდიდნენ ძალებს. საგულისხმოა, რომ ახალგაზრდებში სამივე დისტანცია ამირან სვანიძემ მოიგო.**

შეჯიბრების შედეგებიდან გამომდინარე, დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრები გუნდები. ახალგაზრდებიშავი ზღვის პირველ თამაშებში იასპარეზებენ, ხოლო უფროსები ჯერ ირანის საერთაშორისო ტურნირზე გამოვლენ, შემდეგ კი სამხრეთ აფრიკაში პეკინის 2008 წლის ოლიმპიადის საგზურებისთვის იბრძოლებენ.

გაუწყებთ საქართველოს ჩემპიონატის გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას:

**ახალგაზრდები. ინდივიდუალური რბოლა (10 კმ.ძ.** 1. ამირან სვანიძე, 2. სანდრო ხუციშვილი, 3. აჩიკო დოლიძე. **წრიული რბოლა (40 კმ, 10 ფინიშითძ.** 1. ამირან სვანიძე, 2. სანდრო ხუციშვილი (ყველა — თბილისიძ, 3 ნოდარ კაცაძე (აჭარაძ. **ჯგუფური რბოლა (40 კმ.ძ** 1. სვანიძე, 2 ხუციშვილი, 3. დოლიძე (საერთო ჩათვლაშიც ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდაძ.

**უფროსები. ინდივიდუალური რბოლა (25 კმ.ძ.** 1-2. გიორგი ნადირაძე და კახაბერ ლოსეურაშვილი (ორივე — თბილისიძ, 3. ნოდარ ყვავაძე (ქუთაისიძ. **წრიული რბოლა (60 კმ. 15 ფინიშითძ.** 1. ნადირაძე, 2. ყვავაძე, 3. კოტე ალავერდაშვილი (თბილისიძ. **ჯგუფური რბოლა (105 კმ.ძ.** 1. ლოსეურაშვილი, 2. ნადირაძე, 3. ყვავაძე. **საერთო ჩათვლა.** 1. ნადირაძე, 2. ლოსეურაშვილი, 3. ყვავაძე.



**ფეხბურთი**

# მოკლედ

**გუშინ საქართველოს სტადიონებზე გაიმართა დავით ყიფიანის სახელობის „ყაზბეგის“ თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩები. გაუწყებთ მათ შედეგებს:**
**„ამერი“ — „სიონი“ 3:0, „ზესტაფონი“ — „ბათუმი“ 4:0.**

**რაგბი**

# ჯგუფიდან ვერ გავიდნენ

**ირლანდიაში 20 აპრილს დამთავრდა 19 წლის მორაგბეთა მსოფლიო პირველობა B ჯგუფში, სადაც საქართველოს ნაკრებიც გამოდის.** ახალგაზრდა ბორჯღალოსნებმა წარმატებით განვლეს გზა ნახევარფინალამდე, იქ კი კანადური ბარიერი ვერ გადალახეს — 3:19 დამარცხდნენ და გაისადაც B ჯგუფში იასპარეზებენ. ელიტაში გადასასვლელად კი კანადელები და ამერიკელთა მძლეველი (31:6ძ იტალიელები ითამაშებენ. საქართველოს ნაკრები მე-3 ადგილისთვის აშშ-ს გუნდს შეხვდება.

**ევრო — 2008**

# შუმახერი — ფეხბურთის ელჩი

**თუმცა შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონი ავტორბოლაში „ფორმულა — 1“ მიხაელი შუმახერი გერმანელია, ახლა შვეიცარიაში ცხოვრობს, მაგრამ ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ სწორედ ის დაითანხმა, სხვა სახელგანთქმულ სპორტსმენებთან ერთად ყოფილიყო ფეხბურთში 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე შვეიცარიის ელჩი.**

ავტომრბოლთან ერთად ეს საპატიო მისია დაეკისრათ აგრეთვე პლანეტის უძლიერეს ჩოგბურთელს როჯე ფედერერს, ფეხბურთში შვეიცარიის ნაკრების ექს-კაპიტანს სტეფან შაპიუიზს, ყოფილ სამთო მოთხილამურეს ბერნჰარდ რუსის და „ფორმულა-1“-ის საჯინიბოს მფლობელს პეტერ ზაუბერს.

როგორც გახსოვთ, ავტორბოლაში თავისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში „შუმიმ“ უამრავი რეკორდი დაამყარა — ყველაზე მეტი ჩემპიონის ტიტული, მოგებული რბოლები, როგორც საერთოდ, ისე ერთ სეზონში, უსწრაფესი წრეები და ა.შ.



მიხაელ შუმახერს იცნობენ აგრეთვე როგორც აზარტულ ფეხბურთელსა და გულშემატკივარს. ის მრავალჯერ აწყობდა და მონაწილეობდა საქველმოქმედო მატჩებში, აგრეთვე დრო და დრო თამაშობდა ადგილობრივ კლუბში „ეჩიჩენი“.

ერთი წლის შემდეგ შვეიცარიისა და ავსტრიის ტერიტორიებზე გასამართი ამ დიდი ტურნირის პოპულარიზაციისთვის შუმახერთან ერთად მიიწვიეს სპორტულ ორიენტაციაში 12-გზის მსოფლიო ჩემპიონი ქალი ზიმონა ნიგლი ლიუდერი.

**ჭიდაობა**

# მძიმე გამოცდის ექვსი დღე

**გუშინ ბულგარეთის დედაქალაქში დაიწყო მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელიც ექვს დღეს გასტანს. ასპარეზობა „კლასიკოს“ ქალთა ტურნირით გაიხსნა.**



ამავე სახეობაში ხვალ ხალიჩაზე ვაჟები გავლენ. საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ სულ დარჩეული ბიჭები იახლა თან. სოფიაში ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ **ირაკლი ჭოჭუა (55ძ, დავით ბედინაძე (60ძ, მუხრან მაჭუტაძე (66ძ, მანუჩარ კვირკველია (74ძ, ბადრი ხასაია (84ძ და რამაზ ნოზაძე (96ძ.** მძიმე წონაში წარმომადგენელი არ გვეყოლება, რადგან რამდენიმე ფალავანმა სერიოზული ტრავმების გამო ჩემპიონატისთვის მომზადება ვერ შეძლო.

— ბულგარეთში იმედიანად მივემგზავრებით, — მითხრა 2006 წლის მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების მეორე პრიზიორმა **დავით ბედინაძემ.** — ბიჭები ჯანზე არიან, კარგი საწვრთნელი შეკრება გავიარეთ და, ფორტუნამ ზურგი თუ არ გვაქცია, შარშანდელი შედეგები უნდა გავაუმჯობესოთ. მე, მაგალითად, ყველაფერი გავაკეთე საიმისოდ, რომ წინა წლების დანაკლისი ავინაზღაურო.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ბედინაძემ ვაჟა კრავეიშვილის ხელმძღვანელობით, მართლაც, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა წინ. მის სპორტულ კოლექციებს უკვე ამშვენებს ევროპის ჩემპიონატების „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“, ახლა კი „ოქროს“ ჯერია, თუმცა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა იოლი არ იქნება. მართალია, ბულგარეთის სახელით მოასპარეზე სახელოვანი ფალავანი არმენ ნაზარიანი (მან ამას წინათ საერთაშორისო ტურნირზე ტრავმა მიიღოძ და რუსეთელი ვიაჩესლავ ჯასტე (მსოფლიო ჩემპონატისთვის საგანგებო პროგრამით ემზადებაოძ შეჯიბრებაზე არ გამოვლენ, მაგრამ ჩემპიონობისთვის ბრძოლის სიმწვავეს ეს ნამდვილად ვერ გაანელებს.

ჭიდაობის მოყვარულთათვის, ალბათ, საინტერესო იქნება, რუსთა „მთავარსარდალმა“ გოგი კოღუაშვილმა ვის უხმო ბულგარეთში სალაშქროდ. ესენი არიან: ზაურ კურამაგომედოვი (55ძ, ისლამბეკ ალბიევი (60ძ, სერგეი კოვალენკო (66ძ, მიხეილ ივანჩენკო (74ძ, ალექსეი მიშინი (84ძ, ვასილ ტეპლიუხოვი (96ძ და ჰასან ბაროევი (120ძ.

21-22 აპრილს პაექრობაში თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ჩაებმებიან. ჩვენ უკვე გაუწყეთ, მაგრამ ისევ შეგახსენებთ ქართული დესანტის შემადგენლობას: **ბესარიონ გოჩაშვილი (55ძ, გიორგი ბალიაშვილი (60ძ, კობა კაკალაძე (66ძ, გელა საღირაშვილი (74ძ, ლერი ქუთიშვილი (84ძ, გიორგი გოგშელიძე (96ძ და ალექსი მოდებაძე (120ძ.**

როგორც ვხედავთ, მთავარმა მწვრთნელმა ზაზა თურმანიძემ რამდენადმე გადაახალისა ეროვნული გუნდის შემადგენლობა. ყველაზე მეტად 2001 წლის მსოფლიო ჩემპიონი და შარშანდელი ვერცხლის პრიზიორი გიორგი გოგშელიძე გვეიმედება. უცხოელებსაც ის მიაჩნიათ მთავარ ფავორიტად. მით უმეტეს, რომ მისი უპირველესი კონკურენტი ჰაჯიმურატ გაცალოვი სოფიაში არ იასპარეზებს. ოლიმპიური ჩემპიონის ნაცვლად რუსებს შირვანი მურადოვი მიჰყავთ. დანარჩენ წონებში კი ბესიკ კუდუხოვი (55ძ, ადამ ბატიროვი (60), ირბეკ ფარნიევი (66ძ, მახაჩ მურთაზალიევი (74ძ, გიორგი კეტოევი (იგივე ქეთიშვილი (84ძ, ანუ ჩვენი ლერი ქეთიშვილის უმცროსი ძმაძ და კურამაგომედ კურამაგომედოვი (120ძ. სხვა ქვეყნების სპორტულ ღირსებასაც არანაკლებ სახელოვანი ფალავნები დაიცავენ ევროპის ჩემპიონატზე.



როგორ მოემზადნენ ჩვენი ბიჭები ამ მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის და რისი შემძლე ვართ, ხვალიდან გამოჩნდება.

**ლექსო ცინცაძე**

# დღევანდელობა

ქვეყანაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ ყოველგვარი დანაშაული შეიძლება ეპატიოს პიროვნებას, თუ იგი დაახლოებულია „ნაციონალების“ ელიტასთან, შსს-სა და პროკურატურის მაღალჩინოსნებთან



## მეოცესაუკუნელები

**საქართველოს მათემატიკოსთა კავშირი (პრეზიდენტი – პროფესორი ჯონდო შარიქაძე) აგრძელებს ცხოვრებიდან წასული თავისი ღირსეული წევრების ხსოვნის პატივმისაგები სხდომების სერიას. ჩვენს მკითხველს უკვე ვაუწყეთ და-ძმის, პროფესორების ნინო და ლევან მაღნარაძეებისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვლადიმერ ჭელიძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ფორუმების თაობაზე.**

## ხუთი შვილი მაინც გავზარდე...

ბოლო გაფართოებული სხდომა, რომელსაც წევრთა გარდა დაესწრნენ საჯარო („ძველი სტილით“ – საშუალო) სკოლების მასწავლებლები და სხვა მოწვეული პირები, მირანდა კაკაბაძის 60 წლისთავს დაუკავშირდა.

ბუნებაა თუ ბედია, ზოგჯერ არ უჭირს ხოლმე უსამართლობის ჩადენა. ამ შესანიშნავი ქალბატონის ნაადრევი წასვლა დიახაც იყო უსამართლობა, მაგრამ მირანდამ იმდენი მოასწრო, რისი გადანაწილებაც უფრო ხანგრძლივ სიცოცხლესაც მოერგება.

მირანდაში და იმის გარშემო ბევრი რამ იყო მათემატიკური, თვით სახელით დაწყებული (კარლო მირანდა თვალსაჩინო იტალიელი მათემატიკოსი გახლდათ): ნიჭიერება, საგნის ფანატიკური სიყვარული და ერთგულება, სხვებში ამ სიყვარულის ჩანერგვის უარი, არაჩვეულებრივი პედაგოგიური ლომონაცემებიანი ვაგლახად ვერცვინ შეხედავს...



ისევ ჩემთვის, მირანდას ნაყოფიერი მოღვაწეობის გარდა, ძალზე შთამბეჭდავია დიდებული ოჯახის შექმნა (1975 წელს) ცნობილ მათემატიკოსთან კოტე ცისკარიძესთან ერთად (ეს ბატონი კოტე იყო, რამდენიმე წელიწადს რომ მედლებით ჩამოჰყავდა შეგირდები საერთაშორისო მათემატიკური ოლიმპიადებიდან). ცოლ-ქმარმა აღზარდა და მათემატიკით „დაასავადა“ ხუთი მშვენიერი შვილი – ორი ქალიშვილი და სამი ვაჟი – რომელთაგან ორი მოსკოვში, ერთი ინგლისში და ორიც თბილისში ეწევიან წარმატებულ საქმიანობას.

სწორედ ოჯახისათვის უპირატესობის მიკუთვნებამ „გადაახვევინა“ მირანდა კაკაბაძეს სამეცნიერო კარიერისაგან და „ძარღვი“, მათემატიკის სწავლებასა და პოპულარიზაციაში მუდამ ახლებურის, ნოვატორულის ძიებები და მიგნებები...

ნიჭს რაც შეეხება, პირადად ჩემთვის მრავლისმეტყველი ისაა, რომ მირანდა იყო ჩვენი გამოჩენილი მკვლევრის, აკადემიკოს ივანე კოლურაძის მოწაფე, მის ხელში ჩამოყალიბდა დიფერენციალურ განტოლებათა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად და არაერთი საყურადღებო ნაშრომიც გამოაქვეყნა. მე ხომ კარგად ვიცი, რომ მეცნიერულად აღსაზრდელის როლში ბატონ ვანოს საშუამთლიანად შვილების მიხედვასა და პედაგოგიურ სარბიელზე გადართო. ის კოტე ცისკარიძის მრავალრიცხოვანი საგანმანათლებლო პროექტის თანაავტორი და აქტიური მონაწილე გახდა, მათემატიკური ცოდნის პოპულარიზაციით მოიარა გორი, ხაშური, ოზურგეთი, ბათუმი, სამტრედია, სენაკი, ზუგდიდი, რუსთავი, გურჯაანი... მირანდა გახლდათ უთვალავი მათემატიკური წრის, კლასის, სკოლა-ბანაკის, შეჯიბრების, კონკურსის, საინფორმაციო-მეთოდური კრებულის გამოცემის ორგანიზატორი და ასე გასინჯეთ, საჭიროებისას შეკრებებზე ბავშვების დედების დამრაზმველი და იმათთან ერთად სასადილოს მომწყობი და მზარეულის ფუნქციების მკისრებელი!

დაფასებული იყო ამ ქალბატონის ასეთი ღვაწლი – თბილისის საუკეთესო მასწავლებლის წოდებაზე ჩატარებული კონკურსის ლაურეატობით, უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის წოდების, მათემატიკის მეთოდისტის წოდების მინიჭებით, ი. გოგებაშვილის სახელობის გმირი დედის მედლით დაჯილდოებით, საბჭოურ ხანაში მრავალშვილიანი ოჯახისათვის ხელისუფალთა მხრიდან დიდი, კეთილმოწყობილი ბინის გამოყოფით და ბოლოს, მოსწავლეებისა და მშობლების საერთო სიყვარულ-პატივისცემით.

მირანდა კაკაბაძის პიროვნების დაფასება და პატივმიგება გასდევდა ლაიტმოტივად კავშირის სხდომაზე გამოსულთა სიტყვებსა და მოგონებებსაც...

**თამაზ ეზანოიძე**

## ჩვენებური

## „ორი ვარიანტი: საფრანგეთი და მშობლიური საქართველო...“

**– გადავწყვიტე ევროვიზიის სახელგანთქმულ კონკურსზე ბედის ცდა. დიდხანს ვფიქრობდი და მივხვდი, რომ ეს შესანიშნავი შანსია იმ ყველაფრის წარმოსაჩენად, რაც კი მუსიკაში შემიძლია. მით უფრო, რომ ბოლო დროს ჩემს რეპერტუარში სულ უფრო ხშირად გაისმის ევროპიზებული და პოპსური სიმღერები.**

რასაკვირველია, ძალიან მინდოდა რუსეთის წარმოდგენა, მაგრამ ეს ადგილი სხვისმა პროექტმა დაიკავა. ორი ვარიანტი მაქვს: საფრანგეთი და მშობლიური საქართველო. საფრანგეთში ხომ ცოტა ხანს ვცხოვრობდი კიდევაც. მაინც თუ არაფერი გამოვიდა, გაისად გავემგზავრები მაგ ევროვიზიაზე. მანამდე გამოსვლისთვის შესაფერის მუსიკალურ კომპოზიციას შევარჩევ.

ერთი თვის წინათ გადაღებები დავამთავრე ახალი სიმღერის კლიპისათვის „ჰაეროვანი კოცნა“ – პეტერბურგში, ელაგინის სასახლეში. განმაცვიფრა ამ ნაგებობამ. შემიძლია თქმა, რომ ადრე არცროდის მიმიქცევია განსაკუთრებული ყურადღება არქიტექტურისა და დიზაინისათვის. ახლა კი, როცა ჩემი ქალაქგარე სახლი შენდება, ყველაფერს დავუწყე ყურადღების მიპყრობა, რაც კი ინტერიერების გაფორმებას უკავშირდება...

კიდევ ერთი გატაცება გამიჩნდა – ანტიკვარიატი. მეც მექნება საკუთარი ელაგინის სასახლე...

**ცნობილი ქართველი მომღერლის თამარ გვერდწითელის ეს მონოლოგი „სობესედნიკის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა.**

## მეზობლებთან

## ხელფასები კვლავ მოემატებათ

**რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ მესამე მოსმენით მისცა ხმა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობის (შამოძ გაზრდას: ახლანდელი 1100 რუბლიდან (დაახლოებით 70 ლარიძ 2300 რუბლამდე (144 ლარამდეძ თვეში, რაც წლევანდელი პირველი სექტემბრიდან მოხდება.**

გარდა ამისა, მიღებულია შესწორებები „შამოს შესახებ“ კანონში: რეგიონებს ნება ეძლევათ საკუთარი შამოს დადგენისა და საბიუჯეტო ხელფასების თავისებურად გათვლისა; ოღონდ ასეთი შამო ფედერალურზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ადგილებზე ხელისუფალთა თვითშემოქმედება რომ არ დაუშვან, აუკრძალეს სატარიფო განაკვეთების, სარგოებისა და სახელფასო განაკვეთების შემცირება.

ამრიგად, რუსეთში ექიმებს, მასწავლებლებს და სხვებს, ვისაც სახელმწიფო ხაზინიდან ეძლევათ ფული, ხელფასები ორჯერ მეტად მოემატებათ.

...რუსეთში ჰო, მაგრამ ჩვენთან?..

## ჩვენ და პოლიცია

# შერჩევითი სამართალი

**ქვეყანაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ ყოველგვარი დანაშაული შეიძლება ეპატიოს პიროვნებას, თუ იგი დაახლოებულია „ნაციონალების“ ელიტასთან, შსს-სა და პროკურატურის მაღალჩინოსნებთან. თუ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ და საქმე სასამართლომდე მაინც მივიდა, ისინი, მოსამართლის მაგივრად წყვეტენ პიროვნების ბედს, რომელსაც მოსამართლე მხოლოდ ახმოვანებს განაჩენის სახით. რაც უნდა მძიმე და თვალშისაცემი იყოს დანაშაული, თუ არ არსებობს ძლიერთა ამა ქვეყნისათა ნება, ყოველგვარი აჟიოტაჟი, დავა-კამათი უაზრობაა, ამტკიცებენ ადამიანის უფლებების დამცველი არასამთავრობოები, რასაც პრაქტიკაც ადასტურებს.**

მიმდინარე წლის იანვრის ბოლოს ახალციხის პოლიციამ ქურდობის ბრალდებით დააკავა ადგილობრივი მცხოვრები გოგა დალალიშვილი. მის მიერ პროკურატურაში შეტანილი საჩივრით ირკვევა, რომ დაკავებული 3 დღის განმავლობაში მხოლოდ ხალათითა და შარვლით ჰყავდათ უკანონოდ ჩამწყვდეული ცივ საკანში მას დღე-ღამის არც ერთ მონაკვეთში ძილის საშუალებას არ აძლევდნენ. ყოველ ერთ საათში საკნიდან გამოჰყავდათ და პოლიციის უფროსთან ვახტანგ გეწაძესთან, ხანაც კრიმინალური პოლიციის სხვა თანამშრომლებთან აჰყავდათ, მისგან მოითხოვდნენ აღიარებით ჩვენებებს, ყოველი უარის მიღების შემდეგ ემუქრებოდნენ – სხვა რამეზე გაგიშვებთ ციხეშიო. დალალიშვილი მართალია არ უცემიათ, მაგრამ იმხელა იყო მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, რომ მესამე დღეს გულის შეტევა დაემართა და იძულებული გახდნენ, სასწრაფო გამოეძახათ. ბოლოს, იძულებული გახდნენ „ეჭვმიტანილი“ დაზარალებული გაენთავისუფლებინათ. ამჟამად იგი ჩივის და ითხოვს მორალური და მატერიალური



(შერყეული ჯანმრთელობის გამო), ანაზღაურებას, მისი აზრით პროკურატურა საქმეს შეგნებულად აჭიანურებს.

ანალოგიურ სიტუაციაში პროკურატურამ „შეუვალობა“ გამოიჩინა და ისანი-სამგორის პოლიციის მეორე განყოფილების 4 თანამშრომელს რასოევს, გუგეშაშვილს, თვალავაძესა და პაპავას სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სამსახურებრივი სიყალბის ჩადენის მუხლით წარუდგინა ბრალდება.

„ოთხეულმა“ 11 მარტს დააკავა კახა ჩხიკვაძე და თამაზ დონაძე. პოლიციის შენობაში ერთსაათიანი ყოფნის შემდეგ, მეორე განყოფილების უფროსის მოადგილემ პაატა გოგიაშვილმა თავის 4 თანამშრომელთან ერთად დაკავებულები წაიყვანა შანდორ პეტეფის ქუჩაზე, სადაც გოგიაშვილის მითითებით ჩაუტარეს პირადი ჩხრეკა და იქ ადრე მომხდარი მძიმე დანაშაულის შესახებ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე მოახდინეს მტკიცებულებების ფალსიფიკაცია. ეს გახდა ჩამოთვლილ პოლიციელთა დაკავების მიზეზი.

ამ შემთხვევაში დიდი როლი შეასრულა შემდეგმა გარემოებამ: მოგვიანებით გაირკვა, რომ „ეჭვმიტანილი“ დონაძე გურამ დონაძის (რომელიც მართალია ოფიციალურად განთავისუფლებულია შსს-ს პრესცენტრის უფროსის თანამდებობიდან, მაგრამ დე ფაქტო ხელმძღვანელად რჩება. სწორედ პრესცენტრის სამონტაჟოში მზადდება სატელევიზიო გადაცემები „პატრული“, „უბნის ინსპექტორი“, რომელთა პროექტის ავტორი გურამ დონაძეაძ, ახლო ნათესავია. საქმეში გავლენიანი პირის ჩარევის შემდეგ ფალსიფიკატორებს ყველაფერი ბუმერანგივით დაუბრუნდათ. საგულისხმოა, რომ გურამ დონაძემ არ გაწირა განყოფილების უფროსის მოადგილე გოგიაშვილი, არადა ხელქვეითები მის ბრძანებას ასრულებდნენ. საქმეში ჩახედულ ხალხს კარგად მოეხსენება, რა ბედი შეიძლება ეწიოს უფროსის ნების წინააღმდეგ წამსვლელ პოლიციელს დღევანდელ შსს-ში – მინიმუმ სამსახურიდან გაგდება, მაქსიმუმ მისი გვამის სადღაც აღმოჩენა.

საგამოძიებო ორგანოებში გამეფებულ განუკითხაობასა და კორუფციაზე ბევრს საუბრობენ. ამბობენ იმასაც, რომ თბილისში არსებული მდგომარეობა ბევრად უკეთესია რეგიონებისაზე. რაც უფრო შორდებით ცენტრს, მის უფრო მატულობს განუკითხაობის პროცენტი, მოსახლეობას ხელი აქვს ჩაქნეული თავისი უფლებებისა და სამართლიანობის დაცვაზე, მაგრამ, როგორც ირკვევა, ყველა ამგვარად არ ეთრევინება ცხოვრებას, ზოგიერთები მაინც ცდილობენ პრინციპულობის გამოჩენას.

შსს-ს გენერალურმა ინსპექციამ მოქალაქისათვის ქრთამის გამოძალვის ფაქტზე დააკავა მარნეულის პოლიციის ინსპექტორ-გამომძიებელი სოსო ცოტაძე. მან თავის სამოქმედო უბანზე მეწარმეობის თავისუფალი საქმიანობისათვის ერთ-ერთ მოქალაქეს (კონფიდენციალურობის შეთანხმების საფუძველზე სამართალდამცავები გვარს არ ასახელებენძ 1500 აშშ დოლარი გამოსძალა. ფულის მისაღებად თავად არ მისულა, პოლიციელი ზურაბ ქიმაძე გააგზავნა. ცოტაძე დაკავებულია. აღიძვრება თუ არა ქიმაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე, გამოძიების მასალებში მისი ბრალეულობის დადასტურების შემდეგ გადაწყდება.

**ზაზა ბილიხოძე**

# სულთათანა

● თქვენ ჩვენთვის როგორ არა ხართ,
ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის!



**ხსოვნა**

## ბაბულია კოვზირიძე-ჩინჩალაძისა



გლოვის ზარმა ჩამოკრა თბილისის 57-ე საჯარო სკოლაში. გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ბაბულია კოვზირიძე.

დახედავთ თუ არა შეუქცევადა მადლით მოსილ სანდომიან სახეს, თვალწინ დაგიდგებათ ქვეყნისა და ერისთვის ამაგდარი სახელოვანი ქართველი ქალი, შესანიშნავი მეუღლე, ღირსეული დედა, მოსიყვარულე ბებია, საუკეთესო მეგობარი, საიმედო ახლობელი, ჭირისა და ლხინის დამამშვენებელი პიროვნება.

დიახ, ასეთი გახლდათ დიდებული ქალბატონი ბაბულია კოვზირიძე, რომელმაც თავისი შეგნებული სიცოცხლე ახალგაზრდობის აღზრდას დაუკავშირა.

აღნიშნულ სკოლაში ქ-მა ბაბულიამ დაარსების დღიდან 65 წელი გაატარა. მისი აღზრდილები სიყვარულითა და დიდი პატივისცემით იგონებენ უზადო პროფესიონალ მასწავლებელს, რომელმაც ქიმიასთან ერთად მოყვასის სიყვარულიც ასწავლა. ახლა თავდახრილები, თვალცრემლიანები, ყვავილებით მიაცილებენ სამუდამო სასუფევლისაკენ.

ძნელია შევეგუოთ იმ აზრს, რომ ადამიანი, რომელიც შენს გვერდით ტრიალებდა, ფუსფუსებდა, შრომობდა, ილვწოდა, დღეს აღარაა. ვინ იცის, რამდენი უფიქრია, რამდენი უძილო ღამე გაუტარებია, რომ ახალგაზრდის გულის გასაღები ეპოვა და იქ სიკეთის თესლი დაეთესა; მოიმკა კიდეც, რაც ყველაზე დიდი ჯილდო და გვირგვინია მისი ამქვეყნიური ცხოვრებისა.

ქალბატონო ბაბულია, თქვენს სახელს დავიწყება არ უწერია. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია ვილოცოთ, რათა უფალმა ნათელში ამყოფოს მარადისობაში გადასული თქვენი ლამაზი სული.

თბილისის 57-ე საჯარო სკოლის პედკოლექტივი

---

თალიკო, გივი რევიები, ოჯახის წევრებთან ერთად, ულრმესი მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის

თეიმურაზ რუბენის ძე თოფურიას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

---

საქართველოს ქალთა საბჭო თანაუგრძნობს და სამძიმარს უცხადებს ქალბატონ ლეილა წეროძეს დის

რიონეტა წეროძის

გარდაცვალების გამო. პანაშვიდი 18 IV, 16 სთ. გამოსვენება 19 IV, 14 სთ. მიცკევიჩის 23, II სად, მე-4 სართ.

---

შპს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი — ქ. თბილისი, სპირიდონ კედიას ქ. №7, აცხადებს კონკურსს ცენტრის ბალანსზე რიცხული ფართის შენობის პირველ სართულზე 167 კვ.მ-ზე. საწყისი საკონკურსო ღირებულებაა 2 აშშ დოლარის შესაბამისი კურსით ლარებში ელ.ენერგიის, წყლის, დასუფთავების, გადასახადის გარეშე. ცენტრის პრივატიზების შემთხვევაში იჯარის ხელშეკრულება ჩაითვლება გაუქმებულად.

ობიექტის იჯარით გაცემის საკონკურსო პირობები: 1. საიჯარო ვადა განისაზღვროს არაუმეტეს 2 წლით; 2. მოიჯარემ დროულად დაფაროს წყლის, ელ. ენერგიისა და დასუფთავების გადასახადები.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება იწარმოებს გაზეთში გამოცხადების დღიდან ბოლო 15 კალენდარული დღის განმავლობაში. კონკურსი გაიმართება შპს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის შენობაში, 2007 წლის 2 მაისს 12 საათამდე, სპირიდონ კედიას ქ. №7, ოთახი №20. ტ. 34-80-47.

---

**ინფორმაცია**

## ყალბი პასპორტის აღებას ცდილობდა

**იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ბათუმის სამსახურში დააკავეს მოქალაქე ეკატერინე ბ., რომელიც დის ფოტოსურათითა და საკუთარი მონაცემებით საქართველოს მოქალაქის პასპორტის აღებას ცდილობდა.**

როგორც სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან იტყობინებიან, ბათუმის სამსახურში 31 წლის ეკატერინე ბ. 30 მარტს გამოცხადდა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასაღებად საჭირო დოკუმენტები და ფოტოსურათები წარადგინა.

გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ იგი პასპორტის აღებას თავისი მონაცემებითა და დის, 32 წლის ხათუნა ბ.-ს სურათით ცდილობდა. აღმოჩნდა, რომ ხათუნა ბ. თურქეთიდან იყო დეპორტირებული და ამ ქვეყანაში ხელახლა ჩასასვლელად ყალბი პასპორტი სჭირდებოდა.

ეკატერინე ბ. ბათუმის რაიონის შს სამმართველოს თანამშრომლებმა ეჭვმიტანილის სტატუსით დააკავეს.

ინტერპრესნიუსი

---

**ხსოვნა**

## თეიმურაზ თოფურია



საქართველოს ომის ვეტერანულმა მოძრაობამ დაკარგა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინაშე უაღრესად დიდი დამსახურების მქონე პიროვნება — გარდაიცვალა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, მედიცინის სამსახურის პოლკოვნიკი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, საქართველოს ომის ინვალიდთა და ვეტერანთა კავშირის მრავალი წლის ყოფილი თავმჯდომარე, მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის პრეზიდენტი თეიმურაზ რუბენის ძე თოფურია.

თეიმურაზ თოფურია დაიბადა 1920 წლის დეკემბერში, სამტრედიის რაიონში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახში. მან 1943 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და დანიშნეს აკადემიკოს გ. მუხაძის კათედრაზე სუბორდინატორად. ახალგაზრდა კაცს გული მაინც სამშობლოს დასაცავად დიდ სამამულო ომში მიუწევდა, რაც სულ მალე აუსრულდა კიდევაც. თეიმურაზი აქტიურად ჩაება დაჭრილ-დასახიჩრებულ მებრძოლთა გადარჩენისათვის მეტად რთულ, საპასუხისმგებლო და ზედმიწევნით ადამიანურ საქმიანობაში. მისმა მადლიერმა, მზრუნველმა ხელმა მრავალი დაჭრილი მებრძოლი დააბრუნა მწყობრში.

თეიმურაზ თოფურიამ თითქმის 25 წელი იმსახურა პირნათლად და წარმატებით თავდაცვის სამინისტროსა და შინაგანი ჯარების შემადგენლობაში, წარჩინებით ხელმძღვანელობდა სამედიცინო დარგს, გახდა სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი. იგი გადაიყვანეს გაგრის საუწყებო სანატორიუმ „კოლხეთის" უფროსად. თეიმურაზმა აქაც საუკეთესოდ გაართვა თავი მასზე დაკისრებულ მოვალეობებს და მალე დააწინაურეს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მეოთხე მთავარი სამმართველოს უფროსად, სადაც 15 წელზე მეტი წარმატებით უხელმძღვანელა ამ მეტად რთულ სამედიცინო სამსახურს.

მისი თაოსნობით 1972-1987 წლებში თბილისში, აფხაზეთსა და აჭარაში მრავალი ახალი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება დაარსდა.

დადგა დრო, როდესაც თეიმურაზ თოფურიას ახალგაზრდებისათვის უნდა დაეთმო ადგილი. ამ შემთხვევაშიც გაითვალისწინეს მისი უდიდესი გამოცდილება, ორგანიზატორული უნარი და სათავეში ჩაუყენეს საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ახლად დაარსებულ ფონდს, სადაც სიცოცხლის ბოლო წლებამდე განაგრძობდა ფრიად ნაყოფიერ საქმიანობას, რითაც დაიმსახურა უდიდესი ავტორიტეტი, პატივისცემა და სიყვარული იმ კონტინგენტისა, რომელსაც ხსენებული ფონდი ემსახურება.

თეიმურაზი მრავალი წლის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის ომის ვეტერანული ორგანიზაციის საქმიანობაში, იყო ამ ორგანიზაციის თავმჯდომარე.

და მაინც, ვინ იყო თეიმურაზ თოფურია? მოკლედ რომ ვთქვათ, ეს იყო პიროვნება, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ადამიანების კეთილდღეობას, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას, სიცოცხლესა და მუშაობის უნარის გახანგრძლივებას შეალია. უბრალოდ, მას იცნობდნენ როგორც გაჭირვების ტალკვესს.

სამსახურებრივ დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის, თ. თოფურიას მიღებული ჰქონდა მთავრობის მაღალი ჯილდოები: ორდენები და მედლები, მათ შორის „ვ. გორგასლისა" და „ღირსების" ორდენები. თვითონ თეიმურაზი ყველაზე უდიდეს ჯილდოდ ადამიანთა მიერ მის მიმართ გამოვლენილ მადლიერებას და სიყვარულს მიიჩნევდა. 86 წლის გადასახედიდან თეიმურაზ თოფურიას, ბევრი რამ კარგი მოსაგონარი ჰქონდა. მისი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება არა მარტო ოჯახის წევრებისათვის, არამედ მეგობრებისა და უახლოესი ამხანაგებისათვის, ყოფილი პაციენტებისათვის.

საქართველოს ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირი, საქართველოს ომის ვეტერანთა კავშირი, ქ. თბილისის ომის, შრომის და სამხედრო ძალების კავშირი.

---

## თეიმურაზ თოფურია

ქართულ სამედიცინო საზოგადოებას გამოაკლდა ქვეყნის ღირსეული მოქალაქე, ჯანდაცვის აღიარებული ორგანიზატორი, საქართველოს დამსახურებული ექიმი, სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი თეიმურაზ თოფურია.



ცხოვრების რთული და მრავალმხრივ საინტერესო გზა განვლო ბატონმა თეიმურაზმა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ახალკურსდამთავრებულს ომის წინა ხაზზე მოუწია საექიმო საქმიანობა.

ომის დამთავრების შემდეგაც კვლავ სამხედრო ფარაჯაში აგრძელებდა საექიმო მოღვაწეობას — საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო ნაწილებში მეთაურობდა სამედიცინო სამსახურს, შემდგომ გაგრაში სანატორიუმ „კოლხეთისა" და „თბილისის" უფროსის თანამდებობიდან იწვევს სამოქალაქო სამსახურს და ჯანდაცვის სამინისტროს IV სამმართველოს ხელმძღვანელობს.

ამ პერიოდში ბატონმა თეიმურაზმა მრავალ წამოწყებას დაუდო სათავე: აშენდა და გალამაზდა ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი სამკურნალო-დასასვენებელი კერა და შეივსო თანამედროვე სადიაგნოსტიკო და სამკურნალო საშუალებებით, დაკომპლექტდა ნიჭიერი ახალგაზრდა სამედიცინო კადრებითა და სხვა.

შემდგომ წლებში ბატონი თეიმურაზი სათავეში ჩაუდგა საქართველოში პირველად შექმნილ მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდს, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა.

ბატონი თეიმურაზი დაჯილდოებული იყო მრავალმხრივ გამორჩეული თვისებებით. კერძოდ: ადამიანთა მიმართ კეთილი განწყობით, გაჭირვებულთა თანადგომით, სამართლიანობით, ახალგაზრდობისათვის გზის გაკვლევით, ქვეყნის, ხალხის სამსახურში თავდადებითა და სხვა. ყოველივე ეს მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დამახასიათებელი თვისება იყო.

ის ვალმოხდილი წავიდა ამქვეყნიური ცხოვრებიდან. დარჩა სახელი და დიდება ადამიანისა, რომლის ძირითადი მიზანი იყო ქვეყნისადმი ერთგულება, ხალხისა და პროფესიისადმი უანგარო სამსახური.

თამაზ ბერიძე;
შოთა გოგოხია;
ნიკოლოზ იობაშვილი;
ჯანგირ მამალაძე;
მინდია უჩანეიშვილი;
ზეზვა ღუღუნიშვილი.


რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-96-32; 899 328576

# ბოლო გვერდი



● სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ცივი ამინდების გამო ხვნა-თესვით სამუშაოებში ნათესების აზოტოვანი სასუქებით გამოკვება შეფერხდა. ამასთან, შეჩერებულია ხეხილის ჰერბიციდებით დამუშავება და გასხვლითი სამუშაოებიც



## ინფორმაცია

# ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის



**„ნაციონალური მოძრაობა“ ადგილობრივ მმართველობებში კადრების ოპტიმიზაციის ხარჯზე რეგიონების ინფრასტრუქტურის განვითარებას აპირებს.**

როგორც პარტიის გენერალურმა მდივანმა დავით კირკიტაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, გასულ წელს ადგილობრივი ხელისუფლების შენახვის ხარჯი 65.225 მილიონი ლარი იყო, წელს კი ეს თანხა 40.539 ლარამდე შემცირდა.

მისი თქმით, დაზოგილი 25 მილიონი ლარის მობილიზება ინფრასტრუქტურის განვითარებას მოხმარდება. კერძოდ, 48 ათასი ოჯახისთვის წყალსადენების რეაბილიტაცია მოხდება, რისთვისაც 7.9 მლნ ლარი დაიხარჯება. გაზიფიცირება 10.500 ოჯახისთვის განხორციელდება, რასაც 5.5 მლნ ლარი მოხმარდება.

ამასთან, 167 ქუჩის რეაბილიტაციისთვის 4.7 მლნ ლარი დაიხარჯება., 3 სპორტული კომპლექსისა და 50 მოედნისთვის - 3.9 მლნ ლარი, 150 პარკისთვის და სკვერისთვის კი - 2.6 მლნ ლარი.

კირკიტაძემ აღნიშნა, რომ თანხები, რომლებიც ადრე რეგიონული ჩინოვნიკების პირადი კომფორტის მოწყობისთვის იფლანგებოდა, ხალხის კეთილდღეობას მოხმარდება.

## საგაზაფხულო სამუშაოები შეფერხდა



**საქართველოში ამინდის გაუარესებამ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები შეაფერხა.**

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ცივი ამინდების გამო ხვნა-თესვით სამუშაოებში ნათესების აზოტოვანი სასუქებით გამოკვება შეფერხდა. ამასთან, შეჩერებულია ხეხილის ჰერბიციდებით დამუშავება და გასხვლითი სამუშაოებიც.

მათივე ინფორმაციით, 16 აპრილს მოსულ თოვლს ყინვები არ მოჰყოლია, შესაბამისად, არც ბაღ-ვენახებია დაზიანებული.

როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, ხელსაყრელი ამინდების დადგომისთანავე სამუშაოების ტემპი მოიმატებს და ძირითადი დატვირთვა მაისის თვეზე გადავა.

## „პატარა იურმალა“ ურეკში

**დაბა ურეკში პროექტის „პატარა იურმალას“ განხორციელებისთვის მზადება მიმდინარეობს. როგორც ოზურგეთის გამგებელმა ვალერი ჩიტაიშვილმა აღნიშნა, ინვესტორთან მოლაპარაკებები ამჟამადაც მიმდინარეობს და პროექტის გარკვეული დეტალები თანხმდება.**

პროექტის ღირებულება 100 მილიონია და როგორც ამბობენ, მის უკან ცნობილი მეცენატი ბიძინა ივანიშვილი დგას.

დაბა ურეკში, შეკვეთილში გათვალიწინებულია ღია ცის ქვეშ საკონცერტო დარბაზის მშენებლობა სათანადო ინფრასტრუქტურით.



„პატარა იურმალას“ ფარგლებში იგეგმება აგრეთვე საკონცერტო დარბაზთან ნავმისადგომის მშენებლობა. როგორც ოზურგეთის გამგებელი განმარტავს, მთელი ეს ინფრასტრუქტურა გადაჭიმული იქნება 28 ჰექტარზე.

გათვალისწინებულია თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სასტუმროს მშენებლობაც.

## ანადგურებენ მუხასა და ცაცხვს

**გარემოს დაცვის ინსპექციის დასავლეთ ცენტრალური ბიუროს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ლენტეხისა და ოზურგეთის რაიონებში 100 კუბური მეტრი უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყე აღმოაჩინეს. აქედან 40 კუბური მეტრი წითელ წიგნში შეტანილი მუხა და ცაცხვია.**

სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანი 40-44 ათას ლარს აღწევს. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

## ჯილეხი სამტრედიაში

**ჯილეხის ფაქტი გამოვლინდა სამტრედიის რაიონში. სოფელ ეწერის მკვიდრი გოჩა რაზმაძე პირუტყვთან უშუალო შეხების შედეგად დაავადდა.**



დაზარალებული ქუთაისის ინფექციურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ექიმ ნანა გოგნაძის განცხადებით, პაციენტის მდგომარეობა ამჟამად დამაკმაყოფილებელია. სოფელში პირუტყვის შემოწმება უკვე დაიწყო. ჯერჯერობით ჯილეხის სხვა შემთხვევა არ გამოვლენილა.

ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით

## კრიმინალი

### რვა აბი „სუბოტექსი“ ამოიღეს

**მეტროსადგურ დიდუბესთან საგზაო წესების დარღვევის ფაქტზე გაჩერებული ავტომანქანის მგზავრებს ნარკოტიკული ნივთიერება აღმოაჩნდათ.**

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება, ავტომანქანაში მსხდომმა პირებმა გაჩერებისას ნარკოტიკული ნივთიერების გადაგდება სცადეს. დაკავებულები არიან ჯამბულ სამუშია, გენადი გვილავა, გელა მორგოშია.

შსს-ს ინფორმაციით, მათ ჩხრეკისას რვა აბი ნარკოტიკული ნივთიერება „სუბოტექსი“და სამი ათასი ლარი აღმოაჩნდათ.

ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით

## ლარის კურსი

18 აპრილიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3693 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,6915 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2903 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0656 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9546 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4603 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,3615 ლარი. |

## კადრი



## ანეკდოტები

— მიხო, დღეს სათევზაოდ წამოხვალ?
— არა.
— რატომ?
— ჰოროსკოპში წავიკითხე, დღეს თევზებისთვის ხელსაყრელი დღეაო.

* * *

— რა არის კრივში ყველაზე ძნელი? — ეკითხებიან მოკრივეს.
— ხელთათმანების მოუხსნელად საკუთარი კბილების აკრეფა.



* * *

— ეს რა არის, თქვენი კატა ჭერზე რომ დადის?
— მეზობელს ძლიერი მტვერსასრუტი აქვს.

* * *

მიხო სახლში მარტო დარჩა. ორი დღის მერე ძმაკაცს ეწუწუნება:
— რამდენჯერმე ვცადე, „კულინარული წიგნის“ მიხედვით მომემზადებინა რაიმე კერძი, მაგრამ არაფერი გამომივიდა.
— რატომ?
— ყველა რეცეპტი ერთნაირად იწყება: „აიღეთ სუფთა თეფში“...

* * *

ამბობენ, რომ როდესაც არისტოტელემ ლოგიკა მოიგონა, გახარებულმა ღრეობა მოაწყო და ორმოცი ცხვრის დაკვლა ბრძანა.
მას მერე ცხვრებს ლოგიკა არ უყვართ.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა მაქსიმუმში“. მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14. ☎: 899 537616; 98-96-33.
შპს „თანადგომა -1“ ქიზიყის ქ. № 12. ☎: 899 797679; 98-96-32.

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი ვილენ მარდალეიშვილი

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.